Compare: კაც-ი (nom.) – კაც-ო (voc.), ქალ-ი (nom.) – ქალ-ო (voc.) and დედა (nom.) – დედა-ვ (voc.) or დედა-ო (voc.), მამა (nom.) – მამა-ვ (voc.) or მამა-ო (voc.)

3. Conjugation of the verb “to want” ნდომა in the present tense:

I (don't) want	(არ) მინდა
you (don't) want	(არ) გინდა
he/she/it (doesn't) want(s)	(არ) უნდა
we (don't) want	(არ) გვინდა
you [pl.] (don't) want	(არ) გინდათ
they (don't) want	(არ) უნდათ

The subject of the verb “to want” ნდომა is always in the dative case for the III person singular and plural. “Him/her/it” (dative) is მას/ამას/იმას and “them” is მათ/ამათ/იმათ.

he/she/it wants	მას უნდა
they want	მათ უნდათ
the man wants	კაცს უნდა
the woman wants	ქალს უნდა
the men want	კაცებს უნდათ
the women want	ქალებს უნდათ

4. The word “or” is თუ and is the conjunction for interrogative alternative forms:

big or small?	დიდი თუ პატარა?
boy or girl?	ბიჭი თუ გოგო?

Text

- გამარჯობა! როგორ ბრძანდებით?
- გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ გიკითხოთ?
- კარგად, უღრმესი მადლობა.
- დღეს რა დღეა, შაბათია?
- არა, შაბათი გუშინ იყო, დღეს კვირაა. ახლა შუადღეა.

- რა რიცხვია?
- თერთმეტი, გუშინ ათი იყო და დღეს თერთმეტია.
- ხვალ თორმეტია. თოთხმეტში მინდა სეულში წასვლა.
- სეული ლამაზი ქალაქია. მე ძალიან მომწონს ეს ქალაქი.
- დღეს კარგი ამინდია.
- დიახ, ძალიან სასიამოვნო დილაა.
- ნახვამდის.
- კარგად ბრძანდებოდეთ.

Exercises

1. Translate:

- a) – მე ხვალ მინდა თბილისში წასვლა. შენ არ გინდა? – არა, ხვალ დედაჩემი მოდის ლონდონიდან თვითმფრინავით.
- b) – რა დღეა დღეს? – დღეს კვირაა და გვინდა სოფელში წასვლა.
- c) – კლასში არის ოთხი გოგო და შვიდი ბიჭი. თამარ, დათვალე, რამდენია? – შვიდი და ოთხი არის თერთმეტი.
- d) რამდენი სტუდენტია შენს კლასში?
- e) აქ არის სამი ძაღლი და ერთი კატა. კატას უნდა ჩიტი. ძაღლს არ უნდა კატა. ეს კატა ვისია?
- f) – როგორია თქვენი კატა? – ნაცრისფერია და ძალიან ლამაზი. – მე არ მომწონს კატები. მე მომწონს დიდი ძაღლები.
- g) – რომელია იმისი კატა? – ეს შავია. – ეს პატარა ყავისფერი ძაღლი ვისია?
- h) ვის უნდა იქ წასვლა? ვის უნდა აქ მოსვლა? დათვალე, რამდენ სტუდენტს უნდა აქ მოსვლა.
- i) – როგორი ამინდია დღეს? – ძალიან სასიამოვნო და კარგი ამინდია. გუშინ ცუდი ამინდი იყო.
- j) ისინი გუშინ იყვნენ სოფელში და დღეს მათ არ უნდათ ჩვენთან წამოსვლა. ისინი ხვალ ლონდონში მიდიან.

2. Translate and answer the questions:

- a) What time is it now?

- b) Whose are these books? Where are they?
- c) What color do you like – yellow or brown?
- d) What day is today? What day was yesterday? What day is tomorrow? Is it Sunday now?
- e) Where are they going? Where are you parents from? Are they coming to Tbilisi or they want to travel to Seoul?
- f) Do your friends want to travel by bus or by plane?
- g) Where do you want to go – to Rome or to London?
- h) Which is your dog?
- i) How do you like traveling?
- j) Is there good weather now?

3. Translate:

- a) – ნანა, რომელი საათია ახლა? – სამი საათია. დრო მიდის.
- b) – გუშინ სად იყავი? – უნივერსიტეტში ვიყავი და თხუთმეტი სტუდენტი იყო კლასში.
- c) – რა ნომერია ეს მატარებელი? – ეს არის ნომერი ცხრამეტი. – სად მიდის ის? – ეს მწვანე მატარებელი სეულიდან ჩონანში მიდის. – თქვენი მშობლები მატარებლით მიდიან? – არა, მათ არ უნდათ მატარებლით მგზავრობა. ისინი მიდიან ავტობუსით. – რომელი ავტობუსით მიდიან? – ყვითელი ავტობუსია, ნომერი თორმეტი.
- d) – გიორგი, ეს ორი კაცი ვინაა? – ისინი ჩემი მეგობრები არიან. – თამარ, დათვალე, რამდენი სტუდენტია აქ!
- e) – დავით, გინდა მანქანით წასვლა თბილისში? – ძალიან მინდა, უღრმესი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.
- f) – სად იყვნენ ისინი გუშინ? – მე აქ ვიყავი და ის სტუდენტები სეულში არ იყვნენ გუშინ.
- g) – რომელი დრო მოგწონს: დილა, შუადღე თუ საღამო? – მე მომწონს ღამე, ლურჯი ზეცა და ყვითელი მთვარე ცაზე.
- h) – გუშინ რა რიცხვი იყო? – თვრამეტი იყო, დღეს ცხრამეტი და ხვალ – ოცი.
- i) გუშინ კარგი ამინდი იყო. დღეს არ არის კარგი ამინდი.

- j) გუშინ აქ არ ვიყავით და დღეს აქ ვართ სეულში. ხვალ ჩვენი ათი სტუდენტი მატარებლით მიდის ტოკიოში.
- k) – არ გინდათ ჩვენთან მოსვლა? – დიდი მადლობა. ძალიან გვინდა.
- l) კაცს უნდა სტუდენტთან შეხვედრა. მას არ უნდა.
- m) სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა. ძალიან მინდა თქვენთან მოსვლა.
- n) – როგორ გიკითხოთ? – გმადლობთ, უღრმესი მადლობა. ჩვენ კარგად ვართ და თქვენ როგორ ბრძანდებით?
- o) – მე არ მომწონს ცუდი ამინდები. – კარგია, დღეს კარგი ამინდია.

Homework

Create 10 new sentences in Georgian.

Lesson 8

Vocabulary

turtle	კუ
knife	დანა
fork	ჩანგალი
spoon	კოვზი
napkin	ხელსახოცი
vegetable(s)	ბოსტნეული
meat(s)	ხორცი
potato(es)	კარტოფილი
bred	პური
piece, slice	ნაჭერი
fish	თევზი
water	წყალი
salt	მარილი
sugar	შაქარი
coffee	ყავა
tea	ჩაი
hot	ცხელი
cold	ცივი
warm	თბილი
eating	ჭამა
drinking	სმა
eat!	შეჭამე!
drink!	დალიე!
love	სიყვარული
to like	მოწონება
name	სახელი
many	ბევრი, მრავალი
little	ცოტა
the day after tomorrow	ზუგ
in two days	მაზუგ

before	ადრე; წინათ; უწინ
when?	როდის?
such	ასეთი/ისეთი
so	ასე/ისე
more or less	ასე თუ ისე
not so	არც ისე
please	გეთაყვა

Phrases

my name is _____	ჩემი სახელია _____ OR მე მქვია _____
what is your name?	რა გქვია შენ?
(polite) please enjoy (eat)	მიირთვით! OR ისიამოვნეთ!
wouldn't you enjoy it?	ხომ არ გესიამოვნებოდათ? OR ხომ არ ისიამოვნებდით?
please, here you are	ინებეთ, გეთაყვა
pass me please	მომაწოდეთ, გეთაყვა OR მომაწოდეთ, თუ შეიძლება
if it's not too much trouble	თუ ძალიან არ შეწუხდებით [lit. if it doesn't disturb you much]

Grammar

- The genitive case is produced by the suffix “-ის”. Words ending on “-ნ-”, “-რ-”, “-ლ-”, “-მ-” with “ო-”, “ა-”, “ე-” vowels in front of them lose these vowels. In other words, the last vowels are missing in words ending on: -ან-, -ენ-, -ონ-, -ამ-, -ემ-, -ომ-, -არ-, -ერ-, -ორ-, -ალ-, -ელ-, -ოლ-.

Compare: ბავშვი – ბავშვ-ის and მეგობარი – მეგობრ-ის, სოფელი სოფლ-ის.

2. Conjugation of the verb “to be” ყოფნა in the future tense:

I will be	მე ვიქნები
you will be	შენ იქნები
he/she/it will be	ის იქნება
we will be	ჩვენ ვიქნებით
you [pl.] will be	თქვენ იქნებით
they will be	ისინი იქნებიან

3. Conjugations of the verb “to love” სიყვარული and “to like” მოწონება in the present tense:

I love him/her/it	მიყვარს (ის)	I like him/her/it	მომწონს (ის)
you love him/her/it	გიყვარს (ის)	you like him/her/it	მოგწონს (ის)
he/she loves him/her/it	უყვარს (ის)	he/she likes him/her/it	მოსწონს (ის)
we love him/her/it	გვიყვარს (ის)	we like him/her/it	მოგვწონს (ის)
you [pl.] love him/her/it	გიყვართ (ის)	you [pl.] like him/her/it	მოგწონთ (ის)
they love him/her/it	უყვართ (ის)	they like him/her/it	მოსწონთ (ის)

Using the personal pronouns is not obligatorily in Georgian. The III person subject (sing. and pl.) is in the dative case:

მას უყვარს (ის)	მათ მოსწონთ (ის)
კაცს უყვარს (ის)	კაცებს მოსწონთ (ის)

4. Negative imperatives often use “ნუ”.

Don't be so bad!	ნუ იქნები ასეთი ცუდი!
Don't be afraid!	ნუ გეშინია!

But “არ” is also used: Don't be! – არ იყო! The negative forms with “არ” usually are more categorical.

Texts

- გამარჯობა! რა გქვია შენ?
- მე მქვია გიორგი და თქვენ რა გქვიათ?
- ჩემი სახელია დავითი.
- დავით, მე მომწონს ხორცი და ბოსტნეული. მომწოდეთ, გეთაყვა, ცოტა პური.

- ინებეთ!
- მე ძალიან მიყვარს კარტოფილი. თქვენ არ გიყვართ?
- დიახ. მე მომწონს ბოსტნეული.
- თქვენ რას ისიამოვნებთ?
- გმადლობთ. მე ჩაი მინდა.
- შაქრით?
- დიახ, ჭიქაში ორი კოვზი შაქარი, გეთაყვა.
- აი, ინებეთ, გეთაყვა.
- დიდი მადლობა.

მაგიდაზეა დანები, ჩანგლები, თეფშები, კოვზები, ჭიქები და ხელსახოცები. აქ არის ბოსტნეული, ხორცი, თევზი და პურის პატარა ნაჭრები. მარილი და შაქარი მაგიდაზეა.

- ეს ჩაი ცივია. მე არ მინდა ცივი ჩაი. მე არ მიყვარს ასეთი ცივი.
- თქვენი ჩაი არც თუ ისე ცივია. ვის უყვარს და ვის მოსწონს თბილი ჩაი ან ყავა!? მე ცხელი ყავა მინდა. თქვენ ჩაი გინდათ თუ ყავა?
- მე ყავა არ მიყვარს. ჩაი მომაწოდეთ, თუ ძალიან არ შეწუხდებით, გეთაყვა.
- მიირთვით!
- მომაწოდეთ, გეთაყვა, ხორცის ეგ პატარა ნაჭერი.
- პურის ნაჭერი არ გინდათ? არა, მე არ მიყვარს პური.

Exercises

1. Translate:

- a) ზეგ ჩვენი მშობლები აქ იქნებიან. მაზეგ ბებიაშისი მოდის ჩვენთან.
- b) – როდის მიდიან ეს კორეელი სტუდენტები საქართველოში? – ისინი ზეგ მიდიან თვითმფრინავით. – (მათ) მოსწონთ თვითმფრინავით მგზავრობა?
- c) – როდის გინდა თბილისში წასვლა? – ხვალ ან მაზეგ. – რა მატარებელი მიდის იქ?
- d) – ინებეთ, გეთაყვა, ცხელი ყავა. ეს ძალიან კარგი მექსიკური ყავაა. მოგწონთ მექსიკური ყავა? – არა, მე ბრაზილიური ყავა მიყვარს.
- e) თუ ძალიან არ შეწუხდებით, მომაწოდეთ, გეთაყვა, ეგ თევზი. ბავშვებს არ

უყვართ თევზი. მათ მოსწონთ კარტოფილი.

- f) ყავას ვინ ისიამოვნებს? თქვენ ხომ არ ინებებთ ცივ ყავას?
- g) – რა არის მაგიდაზე? – დანა და ჩანგალი, კოზები და ჭიქები. – სად არის ხელსახოცი? – ხელსახოცი აქ არის თევშთან.
- h) – მათ ბოსტნეული მოსწონთ თუ ხორცი? იმათ თევზი უყვართ თუ ხორცი? – მას პური არ უყვარს. – უნდა მას პური?
- i) – დალიე ეს ჩინური ჩაი და შეჭამე თევზი! არ გიყვარს თევზი? – არა, გმადლობთ, არ მინდა.
- j) – დალიე ქართული ღვინო. ეს ძალიან კარგი ღვინოა. თეთრი გინდა თუ შავი? ქართველებს უყვართ შავი ღვინო? – მათ მოსწონთ ეს ღვინოები.

2. Translate:

- a) – Please, pass me the salt. I like these pieces of meat. Do you want some bread? – Yes, please.
- b) Georgia is a country of wine. I like Georgian wines. I love white wine very much.
- c) There are meat, vegetables and some fish on this plate. Where is my napkin?
- d) Please, pass me some sugar. I want tea with sugar. But my tea is warm. It is not cold or hot, it's warm. I don't like warm tea. I love hot tea.
- e) Eat the meat! Drink this water!
- f) Wouldn't you enjoy some meat? Do you like meat or fish? This fish is very good. It's from Korea. I like Korean fish.
- g) – Enjoy the Brazilian coffee. Do you want it with sugar? – Yes, please two spoons of sugar.
- h) – Do they love traveling by car? When do they want to come here? – The day after tomorrow.
- i) – What is your name? – My name is David.
- j) – This tea is not so cold. It's Ok. Do you want some sugar? – No, thank you.
- k) When do your friends go to Seoul? Do they like traveling by plane or by train?
- l) – I want some bread. Pass me these small pieces of bread, please! – Here you are, please.
- m) Do you live in Seoul or in London? Do they love this city?

- n) Do you like Madrid or London? Which city it this?
o) – Do you want some potatoes? – Yes, please. I love it.

3. Translate:

- a) რამდენი კოვზი შაქარი, ერთი თუ ორი? – ერთი. – აი, ინებეთ. – დიდი მადლობა.
b) – რა გქვია შენ? რა გქვიათ თქვენ? – მე მქვია თამარი, ჩემი სახელია თამარი და თქვენ გქვიათ ნინო, თქვენი სახელია ნინო.
c) – რას ისიამოვნებთ? ჩაი თუ ყავა? – არა, გმადლობთ, არ გვინდა.
d) მომაწოდეთ, გეთაყვა, ეს კოვზი. მე მინდა ორი კოვზი შაქარი ჩაიში.
e) ეს არის ჩემი მეგობრის სახლი. ეს არის კაცის წიგნი. ეს არის ქალის ჩანთა.
f) – ვისია ეს რვეული? – ეს არის ჩემი მეგობრის რვეული. მომაწოდეთ, თუ შეიძლება.
g) ინებეთ ეს დიდი ხორცის ნაჭერი, ეგ ძალიან პატარაა.

Homework

Create 10 new sentences in Georgian.

Lesson 9

Vocabulary

taste	გემო
with bad (no) taste	უგემური
with good taste; delicious	გემრიელი
without sugar	უშაქრო
with sugar	შაქრიანი
without salt	უმარილო
with salt	მარილიანი
cake	ნამცხვარი
ice cream	ნაყინი
fruit	ხილი
to make a table	სუფრის გაშლა
food	საჭმელი
drink, beverage	სასმელი
tomato	პომიდორი
cucumber	კიტრი
salad	სალათი
cheese(s)	ყველი
milk	რძე
butter	კარაქი
egg	კვერცხვი
hen	ქათამი
chicken	წიწილა
lemon	ლიმონი
boiled	მოხარშული
fried; roasted	შემწვარი
only	მხოლოდ
toast	სადღეგრძელო
toastmaster	თამადა
party	ქეიფი
a table with food	სუფრა

breakfast	საუზმე
dinner	სადილი
lunch (after dinner, before supper)	სამხარი
supper	ვახშამი
to have breakfast	საუზმობა
to have dinner	სადილობა
to have lunch	სამხრობა
to have supper	ვახშმობა
together	ერთად
more	მეტად
too much	მეტისმეტად, ნამეტანი (dialectal)
less	ნაკლებად
already	უკვე
hey	აბა
don't (?)	ხომ
or	ანუ ("or in other words") OR ან (allows for more than one choice to be chosen)

Phrases

I love you	მე შენ მიყვარხარ
I like you	მე შენ მომწონხარ
enjoy it! (have it!)	მიირთვი(თ)
I already had (enjoyed) it	უკვე მივირთვი OR უკვე გეახლით
I will have (eat) it	(მე) მივირთმევ
let's	მოდი(თ)
let's have a breakfast / dinner / lunch / supper together	მოდი(თ), ერთად ვისაუზმოთ / ვისადილოთ / ვისამხროთ / ვივახშმოთ
if you wish (want)	თუ გინდათ OR თუ გნებავთ (polite form)
don't worry	ნუ შეწუხდებით OR ნუ წუხდებით
very well!	ძალიან კარგი!
cheers!	გაუმარჯოს!
cheers to Georgia!	საქართველოს გაუმარჯოს!

Grammar

1. Conjugation of the verb “to have” ქონა and ყოლა (for inanimate and animate objects) in the past tense:

I s.	მქონდა / მყავდა	I pl.	გვქონდა / გვყავდა
II s.	გქონდა / გყავდა	II pl.	გქონდათ / გყავდათ
III s.	ჰქონდა / ჰყავდა	III pl.	ჰქონდათ / ჰყავდათ

2. Conjugation of the verb “to have” ქონა and ყოლა (for inanimate and animate objects) in the future tense:

I s.	მექნება / მეყოლება	I pl.	გვექნება / გვეყოლება
II s.	გექნება / გეყოლება	II pl.	გექნებათ / გეყოლებათ
III s.	ექნება / ეყოლება	III pl.	ექნებათ / ეყოლებათ

3. The adverbial case has the marker “-ად”. Words ending on “-ნ”, “-რ”, “-ლ”, “-მ” with “ო-”, “ა-”, “ე-” vowels in front of them lose these vowels. In other words, the last vowels are missing in words ending on: -ან-, -ენ-, -ონ-, -ამ-, -ემ-, -ომ-, -არ-, -ერ-, -ორ-, -ალ-, -ელ-, -ოლ-.

Compare: ბავშვი – ბავშვ-ად and მეგობარი – მეგობრად, სოფელი – სოფლ-ად.

4. Conjugation of the verbs “to have breakfast” საუზმობა, “to have dinner” სადილობა, “to have lunch” სამხრობა, “to have supper” ვახშმობა and “to live” ცხოვრება:

- a) Present tense:

I s.	ვსაუზმობ	ვსადილობ	ვსამხრობ	ვვახშმობ	ვცხოვრობ
II s.	საუზმობ	სადილობ	სამხრობ	ვახშმობ	ცხოვრობ
III s.	საუზმობს	სადილობს	სამხრობს	ვახშმობს	ცხოვრობს
I pl.	ვსაუზმობთ	ვსადილობთ	ვსამხრობთ	ვვახშმობთ	ვცხოვრობთ
II pl.	საუზმობთ	სადილობთ	სამხრობთ	ვახშმობთ	ცხოვრობთ
III pl.	საუზმობენ	სადილობენ	სამხრობენ	ვახშმობენ	ცხოვრობენ

b) Past tense:

I s.	ვისაუზმე	ვისადილე	ვისამხრე	ვივახშმე	ვიცხოვრე
II s.	ისაუზმე	ისადილე	ისამხრე	ივახშმე	იცხოვრე
III s.	ისაუზმა	ისადილა	ისამხრა	ივახშმა	იცხოვრა
I pl.	ვისაუზმეთ	ვისადილეთ	ვისამხრეთ	ვივახშმეთ	ვიცხოვრეთ
II pl.	ისაუზმეთ	ისადილეთ	ისამხრეთ	ივახშმეთ	იცხოვრობთ
III pl.	ისაუზმეს	ისადილეს	ისამხრეს	ივახშმეს	იცხოვრობენ

c) Future tense:

I s.	ვისაუზმებ	ვისადილებ	ვისამხრებ	ვივახშმებ	ვიცხოვრებ
II s.	ისაუზმებ	ისადილებ	ისამხრებ	ივახშმებ	იცხოვრებ
III s.	ისაუზმებს	ისადილებს	ისამხრებს	ივახშმებს	იცხოვრებს
I pl.	ვისაუზმებთ	ვისადილებთ	ვისამხრებთ	ვივახშმებთ	ვიცხოვრებთ
II pl.	ისაუზმებთ	ისადილებთ	ისამხრებთ	ივახშმებთ	იცხოვრებთ
III pl.	ისაუზმებენ	ისადილებენ	ისამხრებენ	ივახშმებენ	იცხოვრებენ

5. In addition to the verbal conjugations, adverbial forms exist for “to have breakfast / dinner / lunch / supper” as საუზმედ / სადილად / სამხრად / ვახშმად ქონა. In a question these forms appear as the following:

What are we having for breakfast / dinner / lunch / supper?

რა გვაქვს საუზმედ / სადილად / სამხრად / ვახშმად?

6. Toasting is very important in Georgia. Whatever is toasted to is dative: გაუმარჯოს დედას! გაუმარჯოს მამას! გაუმარჯოს ჩვენს მშობლებს! გაუმარჯოს საქართველოს და კორეას! Toasts are made only to positive situations.

Texts

– მოდიოთ, დღეს ერთად ვისადილოთ. აქ მინდა სუფრის გაშლა. მაგიდაზე არის დანა-ჩანგალი, კოვზები, თევზები, ჭიქები და ხელსახოცები. თქვენ ხომ ისადილებთ ჩვენთან ერთად? თქვენ რას ისიამოვნებთ, შემწვარი წიწილა გინდათ თუ მოხარშული ხორცი? – გმადლობთ, მე უკვე გეახელით. მე მხოლოდ ბოსტნეულის სალათს მივირთმევ. – ნაყინი ან ნამცხვარი არ გნებავთ? – დიახ, ცოტა მომაწოდეთ, თუ არ შეწყუბდებით.

– ახლა მე ვსადილობ. იმათ უკვე ისადილეს. თქვენ როდის ივახშმებთ? – სადამოს ვივახშმებ. – ხილი მიირთვით. – გმადლობთ, უკვე გეახელით და ნუ შეწუხდებით.

– მე არ მიყვარს უშაქრო ყავა. ეს თევზი ძალიან მარილიანია. – არა, ეს არც თუ ისე მარილიანია. ეს ნამცხვარი მეტისმეტად (ნამეტანი) შაქრიანია. – ხომ მოგწონთ ცხელი ჩაი ნამცხვრით?

– აბა, ვინ ისადილებს ჩვენთან ერთად? ვის უნდა მოხარშული ქათამი და შემწვარი კარტოფილი? – ჩვენ უკვე ვისადილეთ. უკვე გეახელით. ჩვენ მხოლოდ ყავა, ნაყინი და ნამცხვარი გვინდა. – მეგობარო, მე შენ მომწონხარ.

– დედა, მე შენ ძალიან მიყვარხარ. რა გვაქვს დღეს საუზმედ? – შემწვარი კვერცხი და ჩაი ნამცხვრით. – ძალიან კარგი და სადილად რა გვექნება? – მოხარშული თევზი, შემწვარი წიწილა, შემწვარი კარტოფილი, ბოსტნეულის სალათი და პური. – ვახშმად რა გვექნება? – კიტრის სალათი, ხილი, ჩაი და ნამცხვარი.

– თქვენ როგორ მოგწონთ ჩვენი ნამცხვარი? როგორია ჩვენი ნამცხვრის გემო? გემრიელია თუ უგემური? – მე მიყვარს თქვენი ნამცხვრის გემო. ძალიან გემრიელია.

– ვინ არის აქ თამადა? ეს არის თქვენი სადღეგრძელო? – არა, ეს არის საქართველოს და თბილისის სადღეგრძელო. – მშობლების სადღეგრძელო უკვე იყო? – დიახ. თქვენ უკვე დალიეთ? – დიახ, უკვე მივირთვით. – ძალიან კარგი!

Exercises

1. Translate:

- a) რა გვაქვს სადილად? როდის ივახშმებთ? რა მიირთვით?
- b) მე არ მიყვარს მხოლოდ ბოსტნეულის სალათი, მე მომწონს ქათმის სალათი. მე არ მინდა კიტრი და პომიდორი საუზმედ.
- c) – მე საუზმედ მინდა მხოლოდ ერთი პურის ნაჭერი ყველით და კარაქით. ყველი მარილიანი მოგწონს თუ უმარილო? – ნაკლებ მარილიანი კარგია.
- d) – რა გნებავთ სადილად? – ბოსტნეულის სალათი და შემწვარი თევზი და ერთი ჭიქა შავი ღვინო.
- e) – ჭამე ეს საჭმელი და დალიე რძე! – ეს გემო მე არ მომწონს.

2. Translate:

- a) Is it delicious? How do you like this chicken?
- b) – Would you like to have some vegetable salad for supper? – No, I want some cake and tea for supper.
- c) Let's have dinner together at our house. We'll have roasted meat, potato, some fish, cheese, salad of cucumber and tomato.
- d) – I love salad! – Please enjoy it. – Thank you. Would you please pass me the salt? It's not delicious. It's without salt.
- e) What will they have for supper? What will we have for dinner? What did you have for lunch?
- f) How do you like its taste? Is this cake good? Is it with sugar or without sugar?
- g) I'll have eleven students in this class. They will have the class here in Seoul.
- h) – Will you have your dinner here? – No, I'll have my dinner at my house.
- i) Who will have supper together with Ann?
- j) What will you have for your breakfast tomorrow?
- k) How do you like boiled eggs? Do you like fish or meat?
- l) Cheers to Georgia! Cheers to Tbilisi! Cheers to our friends!
- m) I don't want to make a table today. I don't want this party.
- n) Where are the napkins and ice cream?
- o) What drinks do you like? Wine or water – which do you want?
- p) I love you. I like you.
- q) Here you are some fried potatoes with less salt. Please enjoy it.
- r) Don't worry. I've already had my supper. Thank you.
- s) – I just want a cup of black hot tea. – Here, please here you are. – Thank you very much.
- t) I don't like this fish with lemon.

3. Translate:

- a) გაუმარჯოს ჩვენს მეგობრებს! გაუმარჯოს ჩვენს მშობლებს! გაუმარჯოს ჩვენს შვილებს!
- b) გაუმარჯოს თბილისს! გაუმარჯოს სეულს! გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს კორეას!

- c) – რა გვაქვს სასმელი? – თეთრი ღვინო. – მე შენ ძალიან მიყვარხარ, ჩემო მეგობარო! შენ გაგიმარჯოს! კარგად იყავი!
- d) მე მიყვარს ჩემი თბილისი! მოდით, თბილისს გაუმარჯოს! ეს არის თბილისის სადღეგრძელო.
- e) დალიეთ ჩვენი ლამაზი მეგობრების სადღეგრძელო, გეთაყვა.
- f) თქვენ გნებავთ ეს მოხარშული ქათამი და თეთრი ღვინო? მოდით. ერთად ვისადილოთ.
- g) პური კარაქით და ყველით, უმარილო სალათი და ნამცხვარი გვექნება დღეს ვახშმად.
- h) – მე არ ვივახშმებ. მე არ მიყვარს ასეთი ვახშამი. – რა არ მოგწონს? – მე არ მიყვარს უმარილო სალათი. ეს ძალიან უგემურია.
- i) – თქვენ ხომ ივახშმებთ აქ ჩვენთან ერთად? – დიდი მადლობა, მაგრამ ნუ შეწუხდებით. არ გვინდა, უკვე გეახელით.
- j) – ხომ მოგწონთ ეს შემწვარი წიწილა? – ძალიან კარგია. მე არ მიყვარს ნამეტანი მარილიანი საჭმელი. ეს ნაკლებ მარილიანია და კარგია.
- k) საქართველოში ქეიფი მოსწონთ და სუფრის გაშლა. მინდა თბილისში წასვლა.
- l) მე მეყოლება ერთი ძმა და ათი მეგობარი.
- m) აბა, ხომ გვაქვს სადილად ქათამი და ვახშმად მოხარშული კვერცხები და ბოსტნეული?
- n) დალიე და ჭამე! ისადილე!
- o) ნაკლებად მომწონხარ დღეს.

Homework

Create a few new sentences in Georgian. Make a toast!

Lesson 10

Vocabulary

nature	ბუნება
source	წყარო
mountain	მთა
forest	ტყე
zoo	ზოოპარკი
human	ადამიანი
wolf	მგელი
fox	მელია, მელა
elephant	სპილო
zebra	ზებრა
hippopotamus	ბეჰემოტი
deer	ირემი
fawn	ნუკრი, შველი, შვლის ნუკრი
giraffe	ჟირაფი
kangaroo	კენგურუ
hyena	აფთარი, გიენა
leopard	ლეოპარდი
cheetah	ავაზა
monkey	მაიმუნი
tiger	ვეფხვი
lion	ლომი
bear	დათვი
snake	გველი
frog	ბაყაყი
crocodile	ნიანგი
shark	ზვიგენი
whale	ვეშაპი
dolphin	დელფინი
penguin	პინგვინი
ostrich	სირაქლემა

eagle	არწივი
peacock	ფარშევანგი
parrot	თუთიყუმი
crane	წერო
seagull	თოლია
sparrow	ბელურა
dove	მტრედი
crow	ყვავი
(Eurasian) jay	ჩხიკვი
thrush, blackbird	შაშვი
swallow	მერცხალი
nightingale	ბულბული
animal	ცხოველი
wild	გარეული
wild birds	გარეული ფრინველები
fear	შიში
cage	გალია
safe	უსაფრთხო

Phrases

I am afraid	მეშინია
you are afraid	გეშინია
don't be afraid!	ნუ გეშინია!
it's dangerous!	საშიშია!
to be safe	უსაფრთხოდ ყოფნა
I doubt	მეეჭვება OR ეჭვი მეპარება
with no doubt	უეჭველია OR უეჭველად OR ეჭვგარეშეა
I am not sure	არ ვარ დარწმუნებული
let's see	ვნახოთ OR მოდით, ვნახოთ
let's go	წავიდეთ OR მოდით, წავიდეთ
may I? can I?	შეიძლება?

4. Cases of the subject and direct object with transitive verbs:

a) In transitive verbs the subject is nominative in present and in future tenses, but it's ergative in past tense:

კაცი მგელს ხატავს. (present)

კაცმა მგელი დახატა. (past)

კაცი მგელს დახატავს. (future)

b) In transitive verbs the direct object is in the dative case in present and in future tenses, but it's nominative in past tense:

კაცი მგელს ხატავს. (present)

კაცმა მგელი დახატა. (past)

კაცი მგელს დახატავს. (future)

c) Direct object is in genitive with infinitive form preceding it:

მგლის დახატვა to paint / painting a wolf

წერილის დაწერა to write / writing a letter

5. The direct object doesn't have any markers in the III person singular and plural. Only the indirect object is marked in the III person.

The markers of objects:

I s.	მ	-----	I pl.	გვ	-----
II s.	გ	-----	II pl.	გ	----- თ
III s.	ჰ, ს, Ø	-----	III pl.	ჰ, ს, Ø	-----

6. Conjugation of the verb “can” შეძლება:

Note: The III person subject of this verb is always dative.

a) Present tense:

I s. შემიძლია I pl. შეგვიძლია

II s. შეგიძლია II pl. შეგიძლიათ

III s. შეუძლია (მას/კაცს) III pl. შეუძლიათ (მათ/კაცებს)

b) Past tense:

I s. შემეძლო	I pl. შეგვეძლო
II s. შეგეძლო	II pl. შეგეძლოთ
III s. შეეძლო (მას/კაცს)	III pl. შეეძლოთ (მათ/კაცებს)

c) Future tense:

I s. შემეძლება	I pl. შეგვეძლება
II s. შეგეძლება	II pl. შეგეძლებათ
III s. შეეძლება (მას/კაცს)	III pl. შეეძლებათ (მათ/კაცებს)

7. In Georgian nouns are used in singular with “many”, “much”, “a few” – unlike English.

Compare:

many animals	მრავალი/ბევრი ცხოველი
a few persons	რამდენიმე ადამიანი

8. The conjugation “that” is “რომ”. For example:

არ ვარ დარწმუნებული, რომ შეიძლება აქ მოსვლა.

“I’m not sure that I can come here.”

Texts

დღეს ჩემი პატარა ბავშვები მიდიან ზოოპარკში. ზოოპარკში მრავალი ცხოველი და ფრინველია. ზოოპარკის გალიებში არიან საშიში გარეული ცხოველები, მაგრამ იქ ადამიანები უსაფრთხოდ არიან. მოდით, წავიდეთ დღეს სალამოს და ვნახოთ გარეული ცხოველები და ფრინველები.

– საქართველოს ტყეებში არის დათვი? – დიახ, საქართველოს ბუნებაში მრავალი გარეული ცხოველია. – საშიშია ტყეში წასვლა? – მთის ტყეებში საშიშია. მოდით აქ, თბილისის ზოოპარკში ვნახოთ ეს ცხოველები და ფრინველები.

– რომელი ცხოველები და ფრინველებია ბერლინის ზოოპარკში? – ეს ძალიან დიდი და ლამაზი ზოოპარკია. აქ არის ვეფხვი, ლომი, დათვი, აფთარი, ლეოპარდი, ავაზა, მგელი, მელია, სპილო, ბეჰემოტი, ზებრა, ირემი, შველის ნუკრი, ჟირაფი, კენგურუ, მაიმუნი, ნიანგი, გველი, ბაყაყი, ზვიგენი, ვეშაპი, დელფინი, პინგვინი. – რა

ფრინველებია ზოოპარკში? – ზოოპარკის გალებში ბევრი ფრინველია: სირაქლემა, არწივი, ფარშევანგი, თუთიყუში, წერო, თოლია, ჩხიკვი, შაშვი, მერცხალი, ბულბული, მტრედი, ყვავი. – ბელურა არ არის გალიაში? – არ ვარ დარწმუნებული, რომ ბელურები ჰყავთ ზოოპარკის გალიაში. ბელურები ხომ ქალაქში დაფრინავენ.

– ცხოველებს მოსწონთ ზოოპარკი? – ძალიან საეჭვოა. ვის უნდა გალიაში ყოფნა?

– თუ შეგიძლია, დახატე ეს ლომი. ძალიან ლამაზია. არ შემიძლია, მეშინია. – ნუ გეშინია! ის გალიაშია. მოდი, ვნახოთ. – ლომები ხომ საშიშია ადამიანისათვის? – ნუ გეშინია, აქ უსაფრთხოდ ვართ. – ძალიან კარგი, არ მეშინია. – შენ ხომ არ გეშინია? – არა. ახლა დავხატავ ლომს და ვეფხვს.

წყალი არ გინდათ? აქ კარგი ცივი წყაროა. – მომაწოდეთ, გეთაყვა ეგ ჭიქა, თუ არ შეწუხდებით. – უღრმესი მადლობა. ძალიან გემრიელი წყალია.

– შეიძლება წასვლა სახლში? – დიახ, უკვე დროა. მოდით, ახლა სახლში წავიდეთ. – ხვალ და ზეგ ხომ შეგვეძლება აქ მოსვლა? – დიახ. გუშინაც შეგვეძლო ზოოპარკში წასვლა.

Exercises

1. Translate:

- ა) მომაწოდეთ, გეთაყვა ეგ ჭიქა, თუ არ შეწუხდებით. უღრმესი მადლობა. ძალიან გემრიელი წყალია.
- ბ) ხვალ და ზეგ ხომ შეგვეძლება აქ მოსვლა?
- გ) ზოოპარკის გალებში არიან საშიში გარეული ცხოველები, მაგრამ იქ ადამიანები უსაფრთხოდ არიან. მოდით, წავიდეთ და ვნახოთ ისინი.
- დ) გარეული ცხოველებია: ვეფხვი, ლომი, დათვი, აფთარი, ლეოპარდი, ავაზა, მგელი, მელია, სპილო, ბეჭემოტი, ზებრა, ირემი, შველის ნუკრი, ჟირაფი, კენგურუ, მაიმუნი, ნიანგი, გველი, ბაყაყი, ზვიგენი, ვეშაპი, დელფინი.
- ე) გარეული ფრინველებია: სირაქლემა, არწივი, ფარშევანგი, თუთიყუში, წერო, თოლია, ჩხიკვი, შაშვი, მერცხალი, ბულბული, მტრედი, ყვავი, ბელურა, პინგვინი.
- ფ) – შენ ხომ არ გეშინია? ნუ გეშინია, აქ უსაფრთხოდ ვართ. – ძალიან კარგი, არ

მეშინია.

- g) – მოსწონთ ცხოველებს გალიაში? – ძალიან მეეჭვება.
- h) გუშინ შეგვეძლო წასვლა თბილისში. დღეს შეგვიძლია წასვლა სეულში. ხვალ შეგვეძლება წასვლა ტყეში.
- i) – რა ფრინველებია ზოოპარკში? – ზოოპარკის გალებში ბევრი ფრინველია: სირაქლემა, არწივი, ფარშევანგი, თუთიყუში, წერო, თოლია, ჩხიკვი და შაშვი.
- j) – სად ვისადილებთ ხვალ და რა გვექნება სადილად? – ხვალ აქ ვისაუზმებთ და უეჭველად თქვენთან ერთად ვისადილებთ. და სადილად გვექნება სალათი, ქათამი და თევზი. – ძალიან კარგი!

2. Translate:

- a) This is a turtle. Don't be afraid!
- b) Are you afraid of wolf? You're safe. This wolf is in the cage.
- c) – What are you afraid of? – I'm afraid.
- d) There are many wild animals in this zoo. Here are wolves, foxes, elephants, zebras, hippopotamuses, deers, fawns, a nice giraffe, kangaroos and four monkeys.
- e) The dangerous animals are hyenas, wolves, leopards, cheetahs, tigers, lions, bears, snakes, crocodiles and sharks.
- f) Do you like frogs? Do you like whales?
- g) Which do you like a dolphin or a penguin?
- h) Wild birds are eagles, ostriches, peacocks, cranes, seagulls, crows, jays, blackbirds, nightingales and swallows.
- i) – My friend has four parrots and two doves. Do you have birds? – No, I don't have them now, but I'll have them tomorrow. I will have a nice parrot.
- j) There are a few sparrows on the tree. How many sparrows are on that tree? David, please count them!

3. Translate:

- a) დახატე მგელი და ზებრა. მე დავხატავ ვეფხვს. ის დახატავს ჩიტს.
- b) მე დღეს არ შემიძლია მაიმუნის დახატვა. გუშინ უკვე დავხატე ერთი სპილო. ხვალ დავხატავ გარეულ ცხოველებს.
- c) გარეული ფრინველები მათ უკვე დახატეს. ისინი არ დახატავენ ჩიტებს ახლა.

- d) მე შემიძლია მოსვლა. კაცს შეუძლია მოსვლა. ქალს არ შეუძლია ხატვა.
- e) კაცი მგელს ხატავს დღეს. კაცმა მგელი დახატა გუშინ. კაცი მგელს დახატავს ხვალ. ქალი არ ხატავს კატას.
- f) ქალმა ნახა ზოოპარკი. ბავშვი მიდის ზოოპარკში ხვალ. კაცი ხატავს წყაროს ახლა.
- g) – როდის დახატავ ლამაზ სურათს? – ახლა ვხატავ ლამაზ სურათს. გუშინ დავხატე ყვითელი მზე და მწვანე ნიანგი მდინარეში.
- h) – რას ხატავ? – მე ვხატავ ტყეს და მთას. ჩვენ ძალიან მოგვწონს ლამაზი ბუნების ხატვა.
- i) კაცმა ყვავი დახატა. ეს ბავშვი ბულბულს ხატავს ახლა და მტრედს დახატავს ხვალ.
- j) – შეიძლება თქვენი დახატვა. რა ლამაზი ხართ! ძალიან მომწონხართ. – მოდიოთ, დახატეთ ჩემი სურათი თუ მოგწონთ და თუ გინდათ.

Homework

Create a few new sentences about animals and birds.

Lesson 11

Vocabulary

horse	ცხენი
cow	ძროხა
calf	ხზო
sheep	ცხვარი
pig	ღორი
donkey	ვირი
turkey	ინდაური
rooster	მამალი
goose	ბატი
duck	იხვი
insect	მწერი
bee	ფუტკარი
mosquito	კოღო
domestic	შინაური
flower	ყვავილი
plant	მცენარე
leaf	ფოთოლი
branch	ტოტი
violet	ია
rose	ვარდი
lilac	იასამანი
poppy	ყაყაჩო
snowdrop	ენძელა
starling	შროშანი
sunflower	მზესუმზირა
tulip	ტიტა
oak	მუხა
grapevine tree	ვაზი
grape	ყურძენი
plane tree	ჭადარი

willow	ტირიფი
spruce	ნაძვი
pine	ფიჭვი
to plant	დარგვა
to sow (seeds)	დათესვა
to dig	გათხრა
to water, watering	მორწყვა
to work	მუშაობა
garden	ბაღი
yard	ეზო
air	ჰაერი
field	მინდორი
teacher	მასწავლებელი
doctor	ექიმი
journalist	ჟურნალისტი
sportsman	სპორტსმენი
actor	მსახიობი
writer	მწერალი
probably	ალბათ; ეტყობა ("it seems")
generally, commonly	საზოგადოდ; საერთოდ

Phrases

I don't think so	არა მგონია
I think so	მე მგონი OR მე მგონია
no way	არავითარ შემთხვევაში
by all means; in any case	ყოველ შემთხვევაში OR აუცილებლად
by the way	სხვათაშორის
he/she/it takes care of the grapevine tree	ის უვლის ვაზს
they take care of grapevine tree	ისინი უვლიან ვაზს

Grammar

1. Noun inflection:

	Singular	Plural
Nominative	კაც <u>ი</u>	კაც <u>ები</u>
Ergative	კაც <u>მა</u>	კაც <u>ებმა</u>
Dative	კაც <u>ს</u>	კაც <u>ებს</u>
Genitive	კაც <u>ის</u>	კაც <u>ების</u>
Instrumental	კაც <u>ით</u>	კაც <u>ებით</u>
Adverbial	კაც <u>ად</u>	კაც <u>ებად</u>
Vocative	კაც <u>ო</u>	კაც <u>ებო</u>

Words ending with “-ან-”, “-ენ-”, “-ონ-”, “-ამ-”, “-ემ-”, “-ომ-”, “-არ-”, “-ერ-”, “-ორ-”, “-ალ-”, “-ელ-” and “-ოლ-” lose these vowels in three cases: genitive, instrumental and adverbial. These vowels are missing in all plural forms.

	Singular	Plural
Nominative	მეგობარ <u>ი</u>	მეგობრ <u>ები</u>
Ergative	მეგობარ <u>მა</u>	მეგობრ <u>ებმა</u>
Dative	მეგობარ <u>ს</u>	მეგობრ <u>ებს</u>
Genitive	მეგობრ <u>ის</u>	მეგობრ <u>ების</u>
Instrumental	მეგობრ <u>ით</u>	მეგობრ <u>ებით</u>
Adverbial	მეგობრ <u>ად</u>	მეგობრ <u>ებად</u>
Vocative	მეგობარ <u>ო</u>	მეგობრ <u>ებო</u>

Words ending on vowels “ა” and “ე” lose these vowels in the genitive and instrumental. This last “ა” is also missing everywhere in plural while words ending on “ე” have two “ე”-s (“ეე”) in plural.

	Singular	Plural	Singular	Plural
Nominative	დედა	დედე <u>ბი</u>	ხე	ხე <u>ები</u>
Ergative	დედა <u>მი</u>	დედე <u>ბმა</u>	ხე <u>მი</u>	ხე <u>ებმა</u>
Dative	დედა <u>ს</u>	დედე <u>ბს</u>	ხე <u>ს</u>	ხე <u>ებს</u>
Genitive	დედე <u>ის</u>	დედე <u>ბის</u>	ხე <u>ის</u>	ხე <u>ების</u>
Instrumental	დედე <u>ით</u>	დედე <u>ბით</u>	ხე <u>ით</u>	ხე <u>ებით</u>
Adverbial	დედა <u>ად</u>	დედე <u>ბად</u>	ხე <u>ად</u>	ხე <u>ებად</u>
Vocative	დედა <u>ო</u>	დედე <u>ბო</u>	ხე <u>ო</u>	ხე <u>ებო</u>

Inflection of nouns ending on “უ” ან “ო”:

	Singular	Plural	Singular	Plural
Nominative	წყარო	წყაროები	კუ	კუები
Ergative	წყარომ	წყაროებმა	კუმ	კუებმა
Dative	წყაროს	წყაროებს	კუს	კუებს
Genitive	წყაროს(ი)	წყაროების	კუს(ი)	კუების
Instrumental	წყაროთ(ი)	წყაროებით	კუთ(ი)	კუებით
Adverbial	წყაროდ	წყაროებად	კუდ	კუებად
Vocative	წყაროე	წყაროებო	კუო	კუებო

2. Orthography:

- Words ending at “-ს” have two “ს”-s in dative of singular forms: თბილისს.
- Words ending at “-მ” have two “მ”-s in ergative of singular forms: ქათამმა.
- Words ending at “-ზე” have two “ზე”-s after adding the postposition “-ზე” (“on”) only in singular forms: კოვზეზე.
- The words ending at “-ში” have two “ში”-s after adding the postposition “-ში” (“in”) in singular forms: თამაშში (“in a game”).

3. Postpositions of the genitive:

for	-თვის	კაცისთვის
from/made of (a material)	-გან	კაცისგან
towards	-კენ	კაცისკენ
by	მიერ	კაცის მიერ
because of	გამო	კაცის გამო
except	გარდა	კაცის გარდა
about	შესახებ	კაცის შესახებ
according to	მიხედვით; თანახმად	კაცის მიხედვით/თანახმად
in spite of	მიუხედავად	კაცის მიუხედავად
instead	ნაცვლად; მაგიერ	კაცის ნაცვლად/მაგიერ
in front of	წინ	კაცის წინ
behind	უკან	კაცის უკან
after	შემდეგ	კაცის შემდეგ

around	ირგვლივ	კაცის ირგვლივ
above	ზემოთ	კაცის ზემოთ
below	ქვემოთ	კაცის ქვემოთ
under	ქვეშ	კაცის ქვეშ
left to/of	მარცხნივ	კაცის მარცხნივ
right to/of	მარჯვნივ	კაცის მარჯვნივ

4. Conjugation of the verb “to want” ნდომა: the III person subject of this verb is always dative (in present, past and future tenses): კაცს უნდა, კაცებს უნდათ, კაცს უნდოდა, კაცებს უნდოდათ, კაცს ენდომება, კაცებს ენდომებათ.

a) Past tense:

I s. მინდოდა	I pl. გვინდოდა
II s. გინდოდა	II pl. გინდოდათ
III s. უნდოდა	III pl. უნდოდათ

b) Future tense:

I s. მენდომება	I pl. გვენდომება
II s. გენდომება	II pl. გენდომებათ
III s. ენდომებათ	III pl. ენდომებათ

Texts

ჩვენ გვაქვს დიდი ეზო და ლამაზი ბაღი სოფელში. იქ ცხოვრობენ ბებიაჩემი და პაპაჩემი. მათ ჰყავთ შინაური ცხოველები: ძროხა, ხბო, ღორი, ცხენი, ცხვარი, ვირი, ორი დიდი ძაღლი და ერთი ნაცრისფერი კატა. მათ ჰყავთ შინაური ფრინველები: ინდაური, მამალი, ბატი, ქათამი და იხვი. პაპაჩემს ჰყავს ფუტკარი.

აქ კარგი ჰაერია და ბევრი ყვავილებია. ეს არის ყაყაჩოების მინდორი. წითელი და მწვანე ფერებით. მოდი, ვნახოთ ეს ყვავილები.

ჩვენს ეზოში ბევრი მცენარეა. იქ არის ლამაზი ყვავილები: იასამანი, ვარდი, ია, ტიტა, ენძელა, შროშანი, ყაყაჩო და ბევრი ყვითელი მზესუმზირის ყვავილი. ჩვენს სოფელში დიდი ხეებია: მუხა, ჭადარი, ტირიფი, ნაძვი, ფიჭვი და ვაზი. პაპაჩემს ძალიან მოსწონს და უყვარს ქართული ღვინო. ის ძალიან კარგად უვლის ვაზს. ეს ღვინო ყურძნისგანაა.

– მე არ მენდომება ხვალ თქვენთან ამოსვლა. აქ ვიქნები პაპაჩემთან სოფელში. აქ ყოფნა მიყვარს და მომწონს. ბებიაჩემს მოსწონს ყვავილების და ფრინველების მოვლა. პაპაჩემს უყვარს ღვინის მოვლა, შინაური ცხოველებისა და ხეების მოვლა. პაპაშენს, ალბათ, მოსწონს მცენარეების დარგვა და ყვავილების დათესვა. მამაშენს უყვარს სოფელში ბაღში მუშაობა? – არა მგონია. მე მგონი, მას უნივერსიტეტში მუშაობა მოსწონს.

– სადილი გენდომებათ, მიირთმევთ სოფლის ქათამს? – არავითარ შემთხვევაში.
– როგორ? თქვენ ხომ გიყვართ სოფლის ქათამი და სოფლის ქათამის კვერცხი? – დიახ, მაგრამ ახლა დრო არა გვაქვს. – კარგად ბრძანდებოდეთ. – ნახვამდის.

– ვინ არიან თქვენები? – დედაჩემი ექიმია, მამაჩემი მასწავლებელია. ბებიაჩემი მსახიობი იყო, პაპაჩემი იყო სპორტსმენი. ჩემი ძმა მწერალია. მე, ალბათ, ჟურნალისტი ვიქნები.

Exercises

1. Translate:

- a) – რომელი საათია ახლა? – სამი საათია.
- b) ჩემი ერთი მეგობარი ცხოვრობს სოფელში. მას ჰყავს შინაური ცხოველები: ძროხა, ხბო, ღორი, ცხენი, ცხვარი, ერთი ძაღლი, ვირი და კატა.
- c) ჩემს მეგობარს ჰყავს შინაური ფრინველები: ქათამი და ინდაური, მაგრამ არა ჰყავს ბატი და იხვი.
- d) – ვისია ეს მამალი? ვის უნდა იგი? – ეს პაპაჩემის მამალია, შენ რა გინდა?
- e) – ალბათ, მოგწონს მცენარეების დარგვა, ყვავილების დათესვა და მორწყვა.
– ყოველ შემთხვევაში, აქ კარგი ჰაერია.
- f) – საუზმე გენდომება. რა გვექნება დღეს დილით საუზმედ? – კვერცხი და სალათი. – ძალიან კარგი!
- g) – ვინ უვლის ყვავილებს თქვენთან? – დედაჩემი. მას ძალიან მოსწონს ყვავილების მოვლა. – ჩვენს სახლში ჩემი და უვლის მცენარეებს.
- h) მოდი, ვნახოთ ეს მცენარეები. რა ლამაზი ტოტები აქვს ტირიფის ხეს. მე მომწონს მუხის ფოთოლი.
- i) – როგორი მწვანე მინდორია და კარგი ჰაერია აქ! მე მომწონს ეს სოფელი.

როდის მოდის ეს ბავშვი აქ? – ხვალ მოდის.

j) – სადილი, ალბათ, არ მენდომება. – როგორ არ გენდომება? – ყოველ შემთხვევაში, ბევრი ხორცი არ მინდა.

k) მათ არ ენდომებათ აქ მუშაობა.

l) – ნაძვი მოგწონს თუ ფიჭვი? – მე მუხის ხე მიყვარს.

m) დედაჩემი მასწავლებელია. ის ქალი, ალბათ, მსახიობი იქნება.

n) – ვინ არის ექიმი? სად არის ექიმი? – აქ არის! მამაჩემი ექიმა.

o) ჩემი და, ალბათ, ჟურნალისტი იქნება. მე სპორტსმენი ვიქნები.

2. Translate:

a) Who is your brother? Is he a writer or a teacher? What (who) will you be?

b) Will you want to paint these flowers tomorrow evening?

c) What good air! What a nice field of flowers.

d) I love these trees. Here there are plane trees and willows, but no pines or spruces.

e) What kind of flowers do you like? Do you know these flowers?

f) Where are my flowers? Yesterday I painted roses, lilacs, poppies and tulips.

g) Today he is painting violets and snowdrops. Tomorrow they will paint starlings and sunflowers.

h) What colors do these flowers have? What color is violet and lilac?

i) My grandfather takes care of the grapevine tree. He loves grapes.

j) – Are you a doctor? I'll want to see a doctor. I'm ill. – Don't be afraid. The doctor is here.

k) – Would you please pass me this tree branch? – Please, here you are. – What beautiful leaves are on this branch! Is it oak?

l) – You will want to dig this field tomorrow? – No way!

m) At least I'll paint this bee. It's a pretty insect.

n) – Will you want dinner? Will you have dinner? – Yes, please. Thank you very much.

o) – Are they going to Seoul tomorrow by train? – It seems they will. – No, I doubt it.

p) I don't think that you'll want it.

q) I doubt that they will want to paint these trees.

r) Where is my cat? Is it on the tree? Behind the tree? Left to the house? Right of the

house? Under the table? In your bag? In front of this oak? Behind this tree?

s) – In spite of it, I like you very much. Instead you can paint. – May I?

t) – I am not sure, that your dog is under the table. – Let's see!

3. Translate:

a) – მინდოდა მოსვლა, მაგრამ მამაჩემი ცუდად იყო. – როგორ არის ახლა?

– გმადლობთ ახლა უკვე კარგადაა. ჩვენთან ექიმი იყო.

b) – მაგიდის ირგვლივ რა არის? – ყვავილებია. – რა ყვავილებია? – ია, ვარდი და ენბელებია.

c) მე არ მიყვარს ოთახის ყვავილები და არა მაქვს ისინი. დედაჩემს უყვარს და აქვს ძალიან ლამაზი ოთახის იები და კარგად უვლის.

d) მაგიდიდან მარჯვნივ არის შენი მეგობრის სურათი, მარცხნივ ხარ შენ.

e) ეს მაგიდა არის ხისგან. ეს ღვინო არის ყურძნისგან. ეს რისგანაა?

f) ეს წიგნი არის სტუდენტებისთვის. ეს არის საქართველოს შესახებ. ეს ჩემგანაა.

g) ამ პატარა ბავშვების გარდა იქ მიდიან ეს სტუდენტები.

h) – ეს კატა აქ არის. – სადაა? წინ თუ უკან, ზემოთ თუ ქვემოთ? მარცხნივ თუ მარჯვნივ? სად არის? – მაგიდის ქვეშ არის!

i) ისინი სახლისკენ მოდიან და შემდეგ ისადილებენ ამ მაგიდის ირგვლივ.

j) მიუხედავად ამისა, ის მაინც მიდის მოსკოვში.

k) ხორცის ნაცვლად თევზი მომაწოდეთ.

l) – სადილის წინ ცუდი არ იქნება ცივი წყლის დალევა. – ვახშმის წინ თეთრი ღვინის დალევა ხომ კარგია? – ვახშამზეა კარგი თეთრი ღვინო და არა ვახშმის წინ.

m) – ვინ დახატა ეს სურათი? – ამ კაცის მიერ არის ეს.

n) დღეს ამ ქალის გამო ვერ მიდის დედაჩემი ბებიამთან სადილად.

o) – ეს წიგნი არის თბილისის შესახებ? – არა, ეს წიგნი არის მცხეთის შესახებ. ამ წიგნის თანახმად და ამ წიგნის მიხედვით საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა.

Homework

Create a few new sentences about domestic animals and birds, about trees and flowers.

Lesson 12

Vocabulary

to bring	მოტანა
to take	წაღება
knowledge; to know	ცოდნა
why?	რატომ?
because	იმიტომ
more	კიდევ; უფრო (მეტი)
easy	ადვილი
difficult	ძნელი
east	აღმოსავლეთი
west	დასავლეთი
north	ჩრდილოეთი
south	სამხრეთი
something	რამე, რაღაც(ა)
somebody	ვინმე; ვიღაც(ა)
nothing	არაფერი, არარა
not at all	არაფრის
hesitation; to hesitate	ყოყმანი
fortunately	საბედნიეროდ
unfortunately	სამწუხაროდ
content	კმაყოფილი
great, grand	დიდებული, ჩინებული
star	ვარსკვლავი
space	კოსმოსი
universe	სამყარო
planet	პლანეტა
sweet	ტკბილი
too salty	მლაშე
sour	მჟავე
sharp, spicy	ცხარე
bitter	მწარე

to speak	ლაპარაკი, საუბარი
to say	თქმა
to write	წერა
to learn/study	სწავლა
to listen	მოსმენა
to think	ფიქრი
to see	ნახვა
to watch	ყურება
sofa	დივანი
chair	სკამი
armchair	სავარძელი
tv set	ტელევიზორი
radio	რადიო
bed	საწოლი, ლოგინი
mirror	სარკე
head	თავი
hand	ხელი
foot	ფეხი
face	სახე

Phrases

I prefer	I s. მირჩევნია	I pl. გვირჩევნია
	II s. გირჩევნია	II pl. გირჩევნიათ
	III s. ურჩევნია	III pl. ურჩევნიათ
I'm lazy	I s. მეზარება	I pl. გვეზარება
	II s. გეხალისება	II pl. გეხალისებათ
	III s. ეხალისება	III pl. ხალისებათ
I'm enthusiastic	I s. მეხალისება	I pl. ვეხალისება
	II s. გეხალისება	II pl. გეხალისებათ
	III s. ეხალისება	III pl. ეხალისებათ
what a problem!	რა შეწუხებაა!	
what are you saying!	რას ბრძანებთ!	

I know	ვიცი
I don't know	არ ვიცი
don't you know?	ხომ არ იცი?
do you know?	იცი?
what's up?	რა ხდება? OR რა ამბავია?
but this	ეს კი
nobody knows	კაცმა არ იცის OR არავინ (არ) იცის

Grammar

1. Inflection of adjectives with nouns:

a) The adjectives ending on vowels don't change.

	Singular		Plural	
Nom.	პატარა	მეგობარი	პატარა	მეგობრები
Erg.	პატარა	მეგობარმა	პატარა	მეგობრებმა
Dat.	პატარა	მეგობარს	პატარა	მეგობრებს
Gen.	პატარა	მეგობრის	პატარა	მეგობრების
Instr.	პატარა	მეგობრით	პატარა	მეგობრებით
Adv.	პატარა	მეგობრად	პატარა	მეგობრებად
Voc.	პატარა	მეგობარო	პატარა	მეგობრებო

b) Adjectives ending on consonants have the following model of inflection:

	Singular		Plural	
Nom.	დიდი	მეგობარი	დიდი	მეგობრები
Erg.	დიდმა	მეგობარმა	დიდმა	მეგობრებმა
Dat.	დიდ	მეგობარს	დიდ	მეგობრებს
Gen.	დიდი	მეგობრის	დიდი	მეგობრების
Instr.	დიდი	მეგობრით	დიდი	მეგობრებით
Adv.	დიდ	მეგობრად	დიდ	მეგობრებად
Voc.	დიდო	მეგობარო	დიდო	მეგობრებო

Adjectives have full forms in three cases: nominative, ergative and vocative. They partially lose their case markers (losing the ending consonant) in two cases: genitive and instrumental and are absolutely without case markers in two cases: dative and adverbial.

2. The same inflection model is used for possessive pronouns with nouns, but the pronouns keep the dative case marker:

	Singular		Plural	
Nom.	ჩემი	მეგობარი	ჩემი	მეგობრები
Erg.	ჩემმა	მეგობარმა	ჩემმა	მეგობრებმა
Dat.	ჩემს	მეგობარს	ჩემს	მეგობრებს
Gen.	ჩემი	მეგობრის	ჩემი	მეგობრების
Instr.	ჩემი	მეგობრით	ჩემი	მეგობრებით
Adv.	ჩემ	მეგობრად	ჩემ	მეგობრებად
Voc.	ჩემო	მეგობარო	ჩემო	მეგობრებო

3. The verbs ვსწავლობ, ვმუშაობ, ვლაპარაკობ and ვყოყმანობ conjugate like the verb ვცხოვრობ. (See the lesson 9.)

4. Conjugation of the verb “to know” ცოდნა: this is the only verb in Georgian which has the III person subject in ergative in the present tense. All other transitive verbs have the ergative subject only in past tense – in the II series. The I and the II person pronouns never change their forms.

a) Present tense:

I s. მე ვიცი	I pl. ჩვენ ვიცით
II s. შენ იცი	II pl. თქვენ იცით
III s. მან/კაცმა იცის	III pl. მათ/კაცებმა იციან

b) Past tense:

I s. მე ვიცოდი	I pl. ჩვენ ვიცოდით
II s. შენ იცოდი	II pl. თქვენ იცოდით
III s. მან/კაცმა იცოდა	III pl. მათ/კაცებმა იცოდნენ

c) Future tense:

I s. მე მეცოდინება	I pl. ჩვენ გვეცოდინება
II s. შენ გეცოდინება	II pl. თქვენ გეცოდინებათ
III s. მან/კაცმა ეცოდინება	III pl. მათ/კაცებმა ეცოდინებათ

5. The III person pronouns don't have all cases, unless they are produced artificially.

Inflection of the III person personal pronouns:

	Singular				Plural			
Nom. ეს	ეგ	იგი	ის	ესენი	ეგენი	იგინი	ისინი	
Erg. ამან	მაგან	მან	იმან	ამათ	მაგათ	მათ	იმათ	
Dat. ამას	მაგას	მას	იმას	ამათ	მაგათ	მათ	იმათ	
Gen. ამისი	მაგისი	მისი	იმისი	ამათი	მაგათი	მათი	იმათი	
Instr. ამით	მაგით	მით	იმით	-----	-----	-----	-----	
Adv. ამაღ	მაგად	მით	იმით	-----	-----	-----	-----	
Voc. -----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	

Texts

– ვინ იცის, სად არის ჩემი მეგობარი ნანა? – შენ ხომ იცი, რომ იგი სეულშია. თქვენ იცით რამე სეულის შესახებ? ის კორეის დედაქალაქია. ეს არის დიდი და ლამაზი ქალაქი. – სეული თბილისიდან აღმოსავლეთით არის თუ დასავლეთით? – მე მგონია, რომ აღმოსავლეთითაა. თბილისი კი სეულიდან დასავლეთით არის. – ვინმემ იცის, სად არის მოსკოვი? – დიახ, კორეელმა სტუდენტებმა იციან, რომ მოსკოვი არის რუსეთში, საქართველოდან ჩრდილოეთით.

ჩემს ოთახში არის სავარძელი, დივანი, საწოლი, ოთხი სკამი და სარკე. მე მიყვარს რადიოს მოსმენა და ტელევიზორის ყურება. ახლა ძალიან მეზარება მუშაობა და მინდა ტელევიზორის ყურება, თუ შეიძლება.

– არ გინდა ამის მოსმენა? – სამწუხაროდ, მას არ უნდა ამის თქმა. – იცი, რატომ არ უნდა? – არ ვიცი. მე მგონი, ეშინია. – რატომ ეშინია ან რისი ეშინია? – ეგ მე უკვე არ ვიცი.

– რა ხდება? – არაფერი. კაცმა არ იცის რა ხდება, ან რა ამბავია. საბედნიეროდ, საერთოდ არ ვიცი, შიში რა არის. საზოგადოდ, ეს ძალიან ცუდი რამეა. არავის უნდა ამის თქმა. არავის არ შეუძლია ამის ნახვა. ძნელია შიშში ცხოვრება. – ვინ ცხოვრობს ასე? – არ ვიცი. მე მგონია, რომ აქ არავის არაფრის არ ეშინია.

– შენ, ალბათ, გეხალისება სუფრის გაშლა, ძალიან კარგი. ადვილია საჭმლის და

სასმელის მოტანა მაგიდაზე. – არა, მე კი მირჩევნია ეს ჭიქები წავიღო. რამე ხომ არ გინდა?

- არ გინდა ახლა ამაზე ფიქრი და არ გინდა ეს ლაპარაკი! ყოყმანობ? რატომ ყოყმანობ? არ გინდა ქართულის სწავლა? გირჩევნია ამ წიგნის წაღება. ხომ გინდა ჩემი წიგნის წაღება თბილისში?
- ნუ შეწუხდებით! რას ბრძანებთ, ეს რა შეწუხებაა! საბედნიეროდ, მე მგონი, ეგ წიგნი აქ მაქვს ჩანთაში. აი, ინებეთ.
- უღრმესი მადლობა.
- არაფრის. რას ბრძანებთ! ხომ კმაყოფილი ბრძანდებით?
- რას ბრძანებთ! დიდებულია, ჩინებული!

საერთოდ, ადამიანს აქვს ერთი თავი, ორი ხელი და ორი ფეხი. არა? მას ლამაზი სახე აქვს. ის ძალიან ლამაზი ქალია.

- კორეელებს უყვართ მწარე და მყავე საჭმელი. არავის არ მოსწონს მლაშე საჭმელი.
- დიახ. ეს კი არავის არ უყვარს. მე მიყვარს ტკბილი ნამცხვრები. შენ როგორი ნამცხვარი მოგწონს? ქართველებს ცხარე საჭმელები გაქვთ? – არც თუ ისე.

კოსმოსში ბევრი ვარსკვლავია. ჩვენს პლანეტაზე არის წყალი. აქ ცხოვრობენ ადამიანები და ცხოველები. ეს დიდებული სამყაროა.

Exercises

1. Translate:

- a) რამე ხომ არ გინდა?
- b) – ნუ შეწუხდებით! – რას ბრძანებთ, ეს რა შეწუხებაა?
- c) რატომ ყოყმანობ? არ გინდა ამის წერა? არ გინდა კორეული ენის სწავლა? რა? მნელია? ადვილი არაფერია, ჩემო კარგო, ამ პლანეტაზე.
- d) – რამდენი ვარსკვლავია კოსმოსში? რომელ პლანეტაზე არის წყალი? ვინ იცის, რამდენი პლანეტაა სამყაროში? – ბევრი. – სად ცხოვრობენ ადამიანები და ცხოველები?
- e) – რომელ პლანეტაზეა მცენარეები? – საბედნიეროდ, აქ არის წყალი.

- f) დღეს კი კარგი ამინდია, მაგრამ კაცმა არ იცის, როგორი ამინდი იქნება ხვალ.
- g) – თქვენ რა იცით ჩვენს შესახებ? – არაფერი. – კორეელი სტუდენტების შესახებ თუ იცით რამე? ვინმემ იცის რამე აქ საერთოდ?
- h) შენ მხოლოდ ტელევიზორის ყურება გინდა. რატომ არ გინდა სწავლა და მუშაობა წიგნთან? რატომ გეზარება? ნუ გეზარება!
- i) – იცის ვინმემ ვაზის მოვლა? – დიახ, ეს არაა ადვილი. – ვის შეუძლია ყვავილების მოვლა?
- j) ვის შეუძლია ვარდების მორწყვა? შეგიძლია სურათის დახატვა ან ამ წიგნის წაკითხვა? ვის შეუძლია კორეულად დაწერა?
- k) – აქ არის ცხარე, მწარე და მჟავე საჭმელები. – მე არ შემიძლია ამის ჭამა. ეს ძალიან მლაშეა!
- l) – რა გაქვს ოთახში? – მე მაქვს საწოლი, დივანი და სავარძელი, მაგრამ არა მაქვს სარკე და სკამები.
- m) ადამიანს აქვს თავი, სახე, ხელები და ფეხები. რამდენი ხელი და ფეხი აქვს კაცს?
- n) – შეგიძლია ამ ჩანთის წაღება? – მე არ შემიძლია აქ წყლის მოტანა. – რატომ? – ეს არ არის ადვილი, ძნელია და იმიტომ.
- o) ვის შეუძლია თეფშების აქ მოტანა და ამ ჭიქების იქ წაღება? არავის? ვინმე არის აქ?

2. Translate:

- a) Who can bring these chairs to the north of the room?
- b) Anybody here? Do you know anything?
- c) – Thank you very much. – Not at all!
- d) Is it difficult to learn Georgian? Is it easy to learn Georgian alphabet? Do you know it?
- e) What is the universe? Where are these stars from?
- f) This is sour and hot. No, I doubt it. I think this is sharp. This cake will be very sweet.
- g) I'm too lazy to paint! I want to watch TV and to listen to the radio.
- h) I don't want to listen to your speech.
- i) Who can write Korean? Who can speak it? Who can say it?
- j) – Somebody is here. – Oh, thank you. – Never mind! (What a problem!)

- k) – Do you have chairs and armchairs in your room? – Yes I do. But I don't have TV and radio. – Do you have a bed and a mirror? – Yes, I do.
- l) Who knows where North and South or East and West is? Anybody? Oh, nobody knows.
- m)– It's not easy to speak Korean for Americans. They don't know this language. Do Koreans know English? Can many Koreans speak English? – Yes, they do. They can study.
- n) – Why aren't you enthusiastic to read this book? – I don't know. I think because it's difficult for me.
- o) – Does this man have a head? – Generally a human has two feet, two hands, a head and a face.

3. Translate:

- a) არ მინდა ამ ლაპარაკის მოსმენა.
- b) საბედნიეროდ, ახლა არაფერი არ მეზარება. შემიძლია ამ წიგნის წაკითხვა.
- c) სად არის ჩემი დიდი მეგობარი? სამხრეთისკენ მიდის თუ ჩრდილოეთისკენ? ეს კი უკვე მე არ ვიცი, სამწუხაროდ. მაგრამ ხვალ, მგონი, აქ იქნება დილით.
- d) ვინ არიან ესენი? ამათ ეხალისებათ აქ წერა?
- e) ის არის აღმოსავლეთიდან. ის ჩემი ვარსკვლავია. მე ძალიან მიყვარს.
- f) მიყვარს ფიქრი სამყაროს შესახებ და ფიქრი ადამიანებზე.
- g) არ გინდა ამის თქმა. ეს მე კარგად ვიცი.
- h) რატომ გიყვარს ბევრი ლაპარაკი? ეს ცუდია, ხომ იცი.
- i) რა იცოდი ჩემო, პატარა მეგობარო, ამის შესახებ?
- j) ესენი ყოყმანობენ. მაგათ კი ეს არ იციან. ისინი აქ აპირებენ მუშაობას. ისინი აქ იმუშავენ.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases.

Lesson 13

Vocabulary

cookery	ჭურჭელი
necessary, useful	საჭირო
the most	ყველაზე (მეტად OR ძალიან)
all	ყველა
laugh	სიცილი
cry	ტირილი
truth	სიმართლე
lie	ტყუილი
homework	საშინაო დავალება
lesson	გაკვეთილი
lecture	ლექცია
lecturer	ლექტორი
letter	წერილი
case, deal	საქმე
office	ოფისი
job	სამსახური
building	შენობა
wall	კედელი
door	კარი, კარები
window	ფანჯარა
floor	იატაკი
ceiling	ჭერი
balcony	აივანი
elevator	ლიფტი
stairs	კიბე
computer	კომპიუტერი
internet	ინტერნეტი
bath	აბაზანა
wastebasket	სანაგვე
writing table	საწერი მაგიდა

bookcase	წიგნების კარადა
blackboard	დაფა
map	რუკა
carpet	ხალიჩა
curtains	ფარდა
light	სინათლე (noun); ნათელი (adjective)
dark	ბნელი
wide	განიერი; ფართო
narrow	ვიწრო
high, tall	მაღალი
long	გრძელი
short	დაბალი
spring	გაზაფხული
winter	ზამთარი
autumn	შემოდგომა
summer	ზაფხული
mister	ბატონი
misses	ქალბატონი

Phrases

of course	რა თქმა უნდა OR რა საკვირველია?!
it's clear; it's obvious	ცხადია OR ნათელია
excuse me	უკაცრავად OR მომიტევეთ
yes, please	კი, ბატონო!
no more	აღარ OR მეტად აღარ
what did you say? (polite)	ბატონო, რა ბრძანეთ?
you shouldn't do this (polite)	რა საკადრისია?
come!	მოდი!
go!	წადი!
take!	აიღე!
take away!	წაიღე!
bring!	მოიტანე!
look at it!	ამას შეხედე!
see this!	ეს ნახე!

Grammar

1. Numerals:

20 – ოცი	25 – ოცდახუთი	26 – ოცდაექვსი
30 – ოცდაათი	31 – ოცდათერთმეტი	37 – ოცდაჩვიდმეტი
40 – ორმოცი	42 – ორმოცდაორი	
50 – ორმოცდაათი	57 – ორმოცდაჩვიდმეტი	
60 – სამოცი	69 – სამოცდაცხრა	
70 – სამოცდაათი	79 – სამოცდაცხრამეტი	
80 – ოთხმოცი	81 – ოთხმოცდაერთი	
90 – ოთხმოცდაათი	98 – ოთხმოცდათვრამეტი	
100 – ასი	200 – ორასი	300 – სამასი
1000 – ათასი		400 – ოთხასი
Million – მილიონი	Millard – მილიარდი	Uncountable – უთვალავი

2. Numerals of order are produced by affixes “მე-” and “-ე”. Except “first” – პირველი. The final “ა” is missing in მერვე (←რვა) and მეცხრე (←ცხრა). Examples: ორი – მე-ორ-ე, სამი – მე-სამ-ე, თხუთმეტი – მე-თხუთმეტ-ე, ოცი – მე-ოც-ე, etc.

3. Conjugations of the verbs “to love” სიყვარული and “to like” მოწონება:

a) Past tense: the III person subject is dative (sing. and pl.) მას/კაცს უყვარდა/მოსწონდა (ის); მათ/კაცებს უყვარდათ/მოსწონდათ (ის).

I s.	მიყვარდა (ის)	მომწონდა (ის)
II s.	გიყვარდა (ის)	მოგწონდა (ის)
III s.	უყვარდა (ის)	მოსწონდა (ის)
I pl.	გვიყვარდა (ის)	მოგვწონდა (ის)
II pl.	გიყვარდათ (ის)	მოგწონდათ (ის)
III pl.	უყვარდათ (ის)	მოსწონდათ (ის)

b) Future tense: the III person subject is dative (sing. and pl.) მას/კაცს ეყვარება/მოეწონება (ის); მათ/კაცებს ეყვარებათ/მოეწონებათ (ის).

I s.	მეყვარება (ის)	მომეწონება (ის)
II s.	გეყვარება (ის)	მოგეწონება (ის)
III s.	ეყვარება (ის)	მოეწონება (ის)

I pl.	გვეყვარება (ის)	მოგვეწონება (ის)
II pl.	გეყვარებათ (ის)	მოგეწონებათ (ის)
III pl.	ეყვარებათ (ის)	მოეწონებათ (ის)

4. The postposition of the nominative is “-ვით” – “like”. It is added only to nouns ending on consonants: ლომივით (“like a lion”), ბავშვივით (“like a child”), ქალივით (“like a woman”). Nouns ending on vowels have the same postposition, but it is in the dative case.

5. Postpositions of the dative is produced like “-ვით”, for example: დედასავით, ქალსავით. (This is seldom used. The same postposition in the nominative is mostly used with consonant-ending words.)

on	-ზე	მაგიდა-ზე
in	-ში	მაგიდა-ში
with; near	-თან / -სთან	კაც-თან / მაგიდა-ს-თან
between; among	შორის / შუა	კედლებს შორის / კედლებს შუა

Texts

მოდით აქ და შეხედეთ! ეს ჩვენი ოფისია. ეს არის ჩემი სამსახური. შენ ხომ იცი, რომ მე აქ ვმუშაობ. ამ უნივერსიტეტში მე ვარ ლექტორი. ვიცი, ძალიან მოგეწონება. საზოგადოდ, ეს არის მწერლების ქუჩა. ნახე, როგორი ლამაზი აივანი აქვს ამ შენობას! წითელი ხის კარები და ფანჯრები აქვს აივანს. შენ რომ მოგეწონება, ისეთი სახლია. მას აქვს მაღალი ჭერი, ხის იატაკი, დიდი კედლები და ძალიან დიდი აბაზანა. ჩვენს ოფისში არის წიგნების კარადა და საწერი მაგიდა. აქ გვაქვს რუკა, დაფა და სანაგვე. ოთახში არის თეთრი ფარდები და მწვანე ხალიჩა.

- ოფისში ჭურჭელი თუ გაქვთ?
- ბატონო, რა ბრძანებთ?
- ჭურჭელი გაქვთ სადილისათვის?
- ცოტა კი გვაქვს, რა თქმა უნდა, და ბევრი რად გვინდა? ცხადია, ეს არ არის ყველაზე მაღალი შენობა ქალაქში, მაგრამ ყველაზე ლამაზია.
- ეს სიმართლეა?
- აბა, ტყუილი რა საკადრისია, ქალბატონო. ნახეთ!

- ამ შენობას ლიფტი არა აქვს? მხოლოდ კიბეა აქ? რატომ არ არის აქ ლიფტი. ეს არის კარგი შენობა?
- რატომ არ მოგწონს? ეს ხომ არ არის მაღალი შენობა. ეს პატარა და დაბალი შენობაა. ამას რად უნდა ლიფტი? აქ ყველა ფეხით მოდის, რა საკვირველია.
- უკაცრავად, მომიტევეთ, ბატონო, აღარ შემიძლია წამოსვლა. სამწუხაროდ, დრო არა მაქვს, საქმე მაქვს.
- რას ბრძანებთ! კი, ბატონო! ნახვამდის.
- კარგად ბრძანდებოდეთ.

Exercises

1. Translate:

- a) ყველაზე მეტად არ მიყვარს ტყუილი. ყველას უნდა სიმართლის თქმა.
- b) თქვენი კომპიუტერი, ალბათ, საწერ მაგიდაზეა თქვენს ოფისში.
- c) ეს ოთახი არის ნათელი და ფართო. მე ადრე მქონდა ბნელი და ვიწრო ოთახი. ის არ მომწონდა.
- d) დღეს გაკვეთილი გვაქვს დილით. კორეელ სტუდენტებს კი შუადღისით აქვთ ქართულის ლექცია. მათი ლექტორი უკვე მოდის.
- e) – რა უფრო მოგწონს: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი? – მე მიყვარს გაზაფხული და შემოდგომა.
- f) – შენ, ალბათ, შემოდგომა გეყვარება? – რატომ? – იმიტომ რომ ეს ღვინის დროა.
- g) როგორი ჭერი და იატაკი აქვს შენს ოთახს?
- h) შემოდგომით ბევრი საქმე მაქვს. პაპაჩემს აქვს დიდი ბაღი და უვლის მას. მე მიყვარს იქ წასვლა და ბაღის მოვლა. საერთოდ, რა თქმა უნდა, ყველას არ უყვარს სოფლის ეზოში და ბაღებში მუშაობა. ეს ადვილი არაა.
- i) – შენ ბევრი სიცილი იცი. მას უყვარს სიცილი. აბა, ტირილი ვის მოსწონს? – ბებიაჩემს მოსწონს – ის კარგი მსახიობია. პაპაჩემი კი კარგი სპორტსმენი იყო ადრე.
- j) – გიყვარს კომპიუტერით მუშაობა? ახლა ინტერნეტში ხარ, ალბათ. ეს რა წერილია? – ეს წერილი არ არის. ეს ჩემმა მეგობარმა დახატა ასე.

2. Translate and try to answer or continue:

- a) Which do you like more – spring or summer? Why?

- b) Do you have a computer and internet in your office?
- c) Do you work or study?
- d) Are the doors of your room wooden?
- e) Does this building have an elevator?
- f) Is your office light?
- g) Do you have a job?
- h) Look at it, do you like these flowers? Of course, I love them!
- i) Excuse me, but you shouldn't do this. It's clear that it's a lie! Isn't it?
- j) Is this room dark or light?
- k) Are you tall or short?
- l) Will you love it? Will they like it?
- m) Did you love this office? Did they like this sofa?
- n) Is this carpet nice? What colors does it have?
- o) Laugh and cry are brothers.

3. Translate:

- a) სიცილი და ტირილი და-ძმავს. ცხადია, სიმართლე და ტყუილი და-ძმავს!
- b) – საერთოდ, საშინაო დავალება რა საჭიროა? – მე მგონია, რომ ეს ძალიან საჭიროა.
- c) ბატონებო და ქალბატონებო, ეს არის ჩვენი ოფისი. აქ თქვენ იმუშავებთ. აქ გექნებათ კომპიუტერები და ინტერნეტი. აქაა წიგნების კარადა, საწერი მაგიდა, რუკა, დაფა და სანაგვე.
- d) მომიტევეთ, აღარ მინდა ამის წაკითხვა. ლექტორი მიდის უკვე ლექციაზე.
- e) – უკაცრავად, ბატონო, რა ბრძანეთ? – კი ბატონო. აქ საიდან მოდის სინათლე ჭერიდან თუ ფანჯრიდან? – ეს ფართო და ნათელი ოთახია.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Describe your room and your office.

Lesson 14

Vocabulary

everything	ყველაფერი
floor	სართული
shame	სირცხვილი
to complain	წუწუნი
also	ასევე; აგრეთვე
walking (by foot)	(ფეხით) სიარული
somewhere	სადმე
concerning	რაც შეეხება
to be busy	დაკავებული ყოფნა
really, truly	ნამდვილად; მართლაც
everyday	ყოველი დღე, ყოველდღე
each (of them)	თითოეული (მათგანი)
that much	ამდენი / იმდენი
new	ახალი
old	ძველი
Monday	ორშაბათი
Tuesday	სამშაბათი
Wednesday	ოთხშაბათი
Thursday	ხუთშაბათი
Friday	პარასკევი
week	კვირა
month	თვე
year	წელი
January	იანვარი
February	თებერვალი
March	მარტი
April	აპრილი
May	მაისი
June	ივნისი
July	ივლისი

August	აგვისტო
September	სექტემბერი
October	ოქტომბერი
November	ნოემბერი
December	დეკემბერი
hour	საათი
minute	წუთი
second	წამი
century	საუკუნე
immortality	მარადისობა
half	ნახევარი
missing, without	აკლია
exactly	ზუსტად
rain	წვიმა
snow	თოვლი
frost	ყინვა
wind	ქარი
fog	ნისლი

Phrases

I got tired	დავიღალე
sit down!	დაჯექი! / დაბრძანდით! (polite)
stand up!	ადექი! / აბრძანდით! (polite)
come!	(წა)მოდი! / (წა)მობრძანდით! (polite)
go!	წადი! / წაბრძანდით! (polite)
in my opinion	ჩემი აზრით
I'm thinking	(მე) ვფიქრობ
let's know each other	გავიცნოთ ერთმანეთი OR ვიცნობდეთ ერთმანეთს
I don't understand	ვერ გავიგე OR არ მესმის
it's raining	წვიმს
rainy weather	წვიმიანი ამინდი
it's snowing	თოვს
snowy weather	თოვლიანი ამინდი
it's windy	ნისლია

windy weather	ქარიანი ამინდი
it's foggy	ნისლია
foggy weather	ნისლიანი ამინდი
it's cold / it's warm / it's hot	სიცივეა / სითბოა / სიცხეა
it's sunny weather	მზიანი ამინდი OR დარი (used only for good weather)
tell me!	მითხარი
may I sit down?	შეიძლება დავჯდე?

Grammar

1. The postpositions of the instrumental case “-იდან” and “-დან” mean “from”. It’s received after the phonetic changes of ით+გან→ითგან→იდგან→იდან. Examples: სახლიდან, ოთახიდან, სეულიდან, etc.
2. The postpositions of the adverbial case “-მდე” and “-ამდე” and “-მდის” and “-ამდის” both mean “until”. Examples: სახლამდე/სახლამდის, ოთახამდე/ოთახამდის, სეულამდე/სეულამდის, etc.
3. Partial numerals are produced from ordinal numerals by adding the adverbial case marker: მეორე-დ-ი or ნახევარი; მესამე-დ-ი, მეოთხე-დი, მეხუთე-დ-ი, etc.
4. Conjugation of the verb “to do” კეთება:

a) Present tense:

I s. ვაკეთებ	I pl. ვაკეთებთ
II s. აკეთებ	II pl. აკეთებთ
III s. (ის) აკეთებს	III pl. (ისინი) აკეთებენ

b) Past tense:

I s. გავაკეთე	I pl. გავაკეთეთ
II s. გააკეთე	II pl. გააკეთეთ
III s. (მან) გააკეთა	III pl. (მათ) გააკეთეს

c) Future tense:

I s. გავაკეთებ

I pl. გავაკეთებთ

II s. გააკეთებ

II pl. გააკეთებთ

III s. (ის) გააკეთებს

III pl. (ისინი) გააკეთებენ

5. The emphatic “ა” may appear after case markers in the dative, genitive, instrumental and adverbial cases in singular and plural, but it doesn't change the word meaning:

სახლს / სახლსა

სახლებს / სახლებსა

სახლის / სახლისა

სახლების / სახლებისა

სახლით / სახლითა

სახლებით / სახლებითა

სახლად / სახლადა

სახლებად / სახლებადა

6. Telling time:

14:00 ორი საათია (ზუსტად) OR თოთხმეტი საათია (official)

14:30 სამის ნახევარია OR თოთხმეტი საათი და ოცდაათი წუთია (official)

14:25 სამის ოცდახუთი წუთია OR თოთხმეტი საათი და ოცდახუთი წუთია (official)

14:55 სამს აკლია ხუთი წუთი OR თოთხმეტი საათი და ორმოცდათხუთმეტი წუთია (official)

Text

- ზუსტად რა დროა ახლა?
- ოთხს აკლია ხუთი წუთი.
- მე სულ ერთი საათი მაქვს დრო.
- მერე ეს რა არის მარადისობაში?
- არც არაფერი. ბევრი საქმე გავაკეთე დღეს და ძალიან დავიღალე. ახლა უნდა ვისამხრო.
- ნუ გიყვარს წუწუნი, სირცხვილია. ვიცით, რომ ძალიან დაკავებული ბიჭი ხარ.
- არ მესმის, რა გინდათ?
- არაფერი. მეც დავიღალე.
- შენც გააკეთე ეს წერილი?
- რაც შეეხება ამ წერილს, რა საკვირველია, მეც გავაკეთე. ეს ყველამ გააკეთა. ეს გაკვეთილიც ყველამ უკვე ისწავლა.

- სასიამოვნოა. თქვენ რომელ დღეებში მუშაობთ?
- ჩვენ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს გვაქვს ლექციები და სამშაბათს და ხუთშაბათს კი აქ ვმუშაობთ.
- რამდენი თვეა, აქ ხართ?
- 8 თვეა: აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი. დეკემბერში კი უკვე ყველა ერთად სეულში ვიქნებით.
- როდემდე იქნებით იქ?
- რამდენიმე თვე: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და მარტი.
- მთელი ზამთარი სეულში იქნებით?
- დიახ.
- იქ ძალიან ცივა? ზამთარში იქ დიდი სიცივე არ არის. მითხარი, სეულში როგორი ამინდი იცის ზამთარში? სეულში იცის სიცივე?
- არც თუ ისე. კი ცივა ცოტათი, მაგრამ არ წვიმს და არც თოვს ზამთარში.
- აბა, კარგად იყავი. ნახვამდის.
- კარგად!

Exercises

1. Translate:

- a) ფეხზე ადექი და მითხარი, სად იქნები ახალ წელს?
- b) – აქ წვიმს. მანდ როგორი ამინდია? – აქ კარგი დარია.
- c) ზუსტად არ ვიცი, ახლა რა დროა. სამი ან სამის ნახევარი იქნება.
- d) აბა, მითხარი, რას გააკეთებ ხვალ? ვეფხვს დახატავ, თუ გაკვეთილს ისწავლი?
- e) მზიან ამინდში ყველაფერი მეხალისება. მაგრამ ახლა აქ წვიმს და ნისლია. მეც ამიტომ მეზარება მანქანით ქუჩაში წასვლა.
- f) – ახლა რა თვეა? დეკემბერია. – რომელი საუკუნეა, ვინ იცის? – ახლა ოცდამეერთე საუკუნეა, ორიათას შვიდი წელი.
- g) – მართლაც დავიდალე სიარულით. შეიძლება დავჯდე სადმე? – დაბრძანდით, გეთაყვა.
- h) – გავიცნოთ ერთმანეთი! – კი ბატონო, ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე მქვია თამარი და თქვენ რა გქვიათ? – მე ნანა ვარ. – სასიამოვნოა.
- i) – რომელ სართულზე ცხოვრობ? – მეთორმეტეზე. შენ? – მეც.

- j) ზამთრის თვეებია: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი.
- k) გაზაფხულის თვეებია: მარტი, აპრილი და მაისი.
- l) ზაფხულის თვეებია: ივნისი, ივლისი და აგვისტო.
- m) შემოდგომის თვეებია: სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი.
- n) კვირის დღეებია: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა.
- o) ახალი წელი არის ოცდათერთმეტ დეკემბერს. ყველას უყვარს ეს დღე.

2. Translate:

- a) On which floor is your office?
- b) I don't understand it well. Is this old food or new?
- c) I can't speak concerning her.
- d) Please take a seat!
- e) Stand up! Stand up please.
- f) – What a shame! Fear is a shame in general. – I am really afraid of wild animals.
– Don't be afraid! They are in the cages in the zoo.
- g) I got very tired by walking. May I sit down somewhere?
- h) – Are you very busy? – Yes, I am really very busy today.
- i) – Let's get to know each other. Tell me your name. – Nice to meet you!
- j) In my opinion Tbilisi is not a cold city. There is no frost in January and December.
Winter is not cold there.
- k) Each of you will learn this lesson.
- l) Tell me please the names of the weekdays!
- m) Tell me please the names of the months!
- n) Tell me please the names of the four seasons!
- o) Tell me please – what time is it now!
- p) What is immortality in space or in the universe? Do you know anything about it?
- q) There are many stars in the sky. It will be sunny weather tomorrow.
- r) It's foggy now. I am afraid.
- s) It's cold. It's hot.
- t) It's not raining, it's snowing.

3. Translate:

- a) ყველაფერი არ მესმის. მოზრძანდით, გავიცნოთ ერთმანეთი.
- b) რაც შეეხება ორშაბათის შეხვედრას, არა მგონია. ძალიან მეეჭვება, რომ ორშაბათს იმდენი დრო მქონდეს.
- c) – ყოველდღე დაკავებული ყოფნა ნამდვილად ძალიან ძნელია. – მართლაც!
- d) ჩემი აზრით, წუწუნი სირცხვილია! დავიღალე ამდენი სიარულით. ადექი და დაჯექი. სადმე დაზრძანდით.
- e) – ვერ გავიგე, რა არის მარადისობა და სამყარო. შენ იცი? – მე ისიც არ ვიცი, ხვალ რას გავაკეთებ.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Speak about seasons and weather.

Lesson 15

Vocabulary

whole	მთელი
part	ნაწილი
afterwards; later on; then...	მერე
normal	ნორმალური
ordinary	ჩვეულებრივი
approximately	დაახლოებით
especially	განსაკუთრებით
playing; game	თამაში
ball	ბურთი
rest, resting	დასვენება
amusing	გართობა
rest (day), day off	უქმე
holidays, vacations	არდადეგები
slow	ნელი
fast	ჩქარი
late	გვიანი
busy	საქმიანი
intention; to intend	დაპირება (ვაპირებთ – “we intend”)
kind, good	კეთილი
evil	ბოროტი
deep	ღრმა
heavy	მძიმე
light	მსუბუქი
age	ასაკი
family	ოჯახი
surname	გვარი
relative	ნათესავი
grandchild	შვილიშვილი
husband	ქმარი
wife	ცოლი

spouse	მეუღლე
twins	ტყუპები
nephew (sister's child)	დისშვილი
nephew (brother's child)	ძმისშვილი
cousin (uncle's child)	ბიძაშვილი
cousin (father's sister's child)	მამიდაშვილი
cousin (mother's sister's child)	დეიდაშვილი
uncle	ბიძა, ძია
aunt (mother's sister)	დეიდა
aunt (father's sister)	მამიდა
aunt (uncle's wife)	ბიცოლა
daughter/sister-in-law	რძალი
son/brother-in-law	სიძე
mother-in-law (husband's mother)	დედამთილი
father-in-law (husband's father)	მამამთილი
mother-in-law (wife's mother)	სიდედრი
father-in-law (wife's father)	სიმამრი
sister-in-law (husband's sister)	მული
brother-in-law (husband's brother)	მაზლი
stepmother	დედინაცვალი
stepfather	მამინაცვალი
stepchild	გერი
still, anyway	მაინც
still, again	ისევ
still, yet, (not) yet	ჯერ (არა)
specifically	მაინცდამაინც
so; that is	ესე იგი

Phrases

I have no time	არა მცალია
I'm getting late	მაგვიანდება
I'm hurrying	მეჩქარება
what can/will you do?	რას იზამ?
how old are you?	რამდენი წლის ხარ? OR რა ასაკის ხარ?

I am seven

მე ვარ შვიდის

I am seven years old

მე ვარ შვიდი წლის

Grammar

1. Adjectives have three degrees: neutral, superlative (“more”) and minimal (“less”).

a) The superlative is produced by affixes “უ---ესი” and less degree is produced by affixes “მო---ო”.

Neutral	Superlative	Minimal
თეთრი (“white”) –	უთეთრესი (“whiter”) –	მოთეთრო (“less white”)
მწვანე (“green”) –	უმწვანესი (“greener”) –	მომწვანო (“less green”)
წითელი (“red”) –	უწითლესი (“redder”) –	მოწითალო (“less red”)

b) Some adjectives ending on “-ილ-” and “-ელ-” lose these letters.

ტკბილი (“sweet”) –	უტკბესი (“sweeter”) –	მოტკბო (“sweetest”)
გრძელი (“long”) –	უგრძესი (“longer”) –	მოგრძო (“longest”)

c) The two adjectives “good” კარგი and “bad” ცუდი produce the degrees by changing their forms:

კარგი (“good”) –	უკეთესი (“better”) –	საუკეთესო (“best”)
ცუდი (“bad”) –	უარესი (“worse”) –	(only has superlative)

2. Most adverbs are produced by the adverbial case from adjectives. Some of them lose their case marker consonant, the final “-დ”.

Compare: ნელი – ნელა (“slowly”), ჩქარი – ჩქარა (“quickly”), კარგი – კარგა/კარგად (“well”, “OK”), მაღალი – მაღლა (“up”, “upwards”), დაბალი – დაბლა (“down”, “downwards”), etc.

Adjectives of manner: ნელა, ჩქარა, კარგა/კარგად, ცუდად, ავად (“badly”; “ill”); უცებ/უცბათ/უცაბედად (“suddenly”), შემთხვევით or უნებლიედ (“accidentally”), აუცილებლად (“for sure”).

3. Conjugation of the verbs თქმა “to say”, მოყოლა “to tell”, საუბარი/ლაპარაკი “to speak”:

a) Present tense:

	თქმა “to say”	მოყოლა “to tell”	საუბარი “to speak”	ლაპარაკი “to speak”
I s.	ვამბობ	ვყვები	ვსაუბრობ	ვლაპარაკობ
II s.	ამბობ	ჰყვები	საუბრობ	ლაპარაკობ
III s.	ამბობს	ჰყვება	საუბრობს	ლაპარაკობს
I pl.	ვამბობთ	ვყვებით	ვსაუბრობთ	ვლაპარაკობთ
II pl.	ამბობთ	ჰყვებით	საუბრობთ	ლაპარაკობთ
III pl.	ამბობენ	ჰყვებიან	საუბრობენ	ლაპარაკობენ

b) Past tense:

	თქმა “to say”	მოყოლა “to tell”	საუბარი “to speak”	ლაპარაკი “to speak”
I s.	ვთქვი	მოვყევი	ვისაუბრე	ვილაპარაკე
II s.	თქვი	მოჰყევი	ისაუბრე	ილაპარაკე
III s.	თქვა	მოჰყვა	ისაუბრა	ილაპარაკა
I pl.	ვთქვით	მოვყევით	ვისაუბრეთ	ვილაპარაკეთ
II pl.	თქვით	მოჰყევით	ისაუბრეთ	ილაპარაკეთ
III pl.	თქვეს	მოჰყვნენ	ისაუბრეს	ილაპარაკეს

c) Future tense:

	თქმა “to say”	მოყოლა “to tell”	საუბარი “to speak”	ლაპარაკი “to speak”
I s.	ვიტყვი	მოვყვები	ვისაუბრებ	ვილაპარაკებ
II s.	იტყვი	მოჰყვები	ისაუბრებ	ილაპარაკებ
III s.	იტყვის	მოჰყვება	ისაუბრებს	ილაპარაკებს
I pl.	ვიტყვით	მოვყვებით	ვისაუბრებთ	ვილაპარაკებთ
II pl.	იტყვით	მოჰყვებით	ისაუბრებთ	ილაპარაკებთ
III pl.	იტყვიან	მოჰყვებიან	ისაუბრებენ	ილაპარაკებენ

4. The verbs თქმა “to say”, მოყოლა “to tell”, and საუბარი/ლაპარაკი “to speak” are irregular verbs (like in many other languages) and have some additional forms.

a) Present tense:

I'm saying to	telling to	speaking to	speaking to	you
მე გეუბნები	გიყვები	გესაუბრები	გელაპარაკები	შენ
I'm saying to	telling to	speaking to	speaking to	him/her/it; them
მე ვეუბნები	ვუყვები	ვესაუბრები	ველაპარაკები	მას/მათ

b) Past tense:

I said to	told	spoke to	spoke to	you
მე გითხარი	მოგიყევი	გესაუბრე	გელაპარაკე	შენ
I said to	told	spoke to	spoke to	him/her/it; them
მე ვუთხარი	მოვუყევი	ვესაუბრე	ველაპარაკე	მას/მათ

c) Future tense:

I will say to	will tell	will speak to	will speak to	you
მე გეტყვი	მოგიყვები	გესაუბრები	(და)გელაპარაკები	შენ
I will say to	will tell	will speak to	will speak to	him/her/it; them
მე ვეტყვი	მოვუყვები	ვესაუბრები	(და)ველაპარაკები	მას/მათ

5. ბიძა, მამიდა and დეიდა can be used with possessive pronouns like mother and father.

ბიძა	–	ბიძაჩემი	ბიძაშენი	ბიძამისი	ბიძაჩვენი	ბიძათქვენი
მამიდა	–	მამიდაჩემი	მამიდაშენი	მამიდამისი	მამიდაჩვენი	მამიდათქვენი
დეიდა	–	დეიდაჩემი	დეიდაშენი	დეიდამისი	დეიდაჩვენი	დეიდათქვენი

Texts

– ჩვენ გვაქვს დიდი ოჯახი. ჩვენი გვარია დადიანი. ეს ძველი და დიდი გვარია. ჩვენს ოჯახში ვცხოვრობთ ყველა ერთად: ჩვენ – ცოლ-ქმარი, ჩვენი შვილები და ჩემი მეუღლის დედ-მამა, ანუ ჩემი დედამთილი და მამამთილი. ჩვენ ტყუპებიც გვყავს ოჯახში – ნინო და რუსუდანი. – რა ასაკისა? – ორი წლის ტყუპები არიან. სიდედრი და სიმამრი აქ არ ცხოვრობენ. არც ჩემი მული და მაზლი ცხოვრობენ აქ. მაგრამ ისინი

ხშირად მოდიან ჩვენთან. მე მყავს ბიძაშვილები და დეიდაშვილები, მაგრამ ისინი სოფელში ცხოვრობენ და ქალაქში მაზეგ ჩამოდიან. ჩემი ქმრის ნათესავები კი სეულში ცხოვრობენ. მე მიყვარს ნათესავებთან შეხვედრა და საუბარი. განსაკუთრებით, ბიცოლაჩემი მომწონს. ძალიან კეთილი, კარგი და ლამაზი ქალია. ისე, რა თქმა უნდა, აქ ბოროტი არავინაა, ყველა კეთილი ადამიანია ჩვენს ოჯახში. რაც შეეხება ჩემს მამიდას და ბიძას, ისინი თბილისში არიან. დეიდა კი მე არა მყავს. ხვალ აქ იქნებიან ბიძაჩემი, დეიდაშენი და მამიდაჩემი.

– ესენი ვისი ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები არიან? – ესენი არიან ჩემი ცოლის ნათესავები. – ვის ჰყავს დედინაცვალი ან მამინაცვალი თქვენს ნათესავებში? – არა, ჩემს ნათესავებს გერი არა ჰყავთ. ჩემს მულს კი ჰყავს ორი გერი.

– ეს ჩქარი მატარებელი სად მიდის? – არ ვიცი, მე მგონი, სეულში. – მე არა მცალია, მატარებელზე მაგვიანდება და ძალიან მეჩქარება. ეს ჩანთა კი ძალიან მძიმეა, არ შემიძლია ამისი წაღება. მე უფრო მსუბუქი მინდა აუცილებლად. – ასეთი მძიმეა შენი წიგნები და რას იზამ? აი, ეს ჩანთა უკეთესია. – მართლაც, ეს განსაკუთრებით კარგია. საუკეთესოა ნამდვილად. მომაწოდეთ, გეთაყვა, ეგ მოწითალო რვეული. რა ნელი ხარ, ჯონ. ხომ გითხარი, მაგვიანდება. ჩქარა მომაწოდე ეგ რვეული. არა, მოყვითალო კი არა, მოწითალო რვეული.

– შენ რამდენი წლის ხარ?

– მე ოცის და თქვენ რა ასაკის ბრძანდებით?

– მე ბევრის?

– მაინც? მაინც რამდენის, თუ შეიძლება, მითხარით, გეთაყვა.

– ორმოდაექვსის.

– ეს სულაც არა ბევრი.

– კეთილი. გმადლობთ.

– ხვალ და ზეგ უქმეა. რას აპირებ? – არ ვიცი ჯერ. არდადეგებზე ყველას უნდა დასვენება და გართობა, ან ბურთის თამაში ეზოში. მეც მინდა, რა თქმა უნდა. – სადმე წასვლა ხომ არ გინდა? – არა. მე არ ვაპირებ წასვლას. აქ ვიქნები აუცილებლად.

Exercises

1. Translate:

- a) რა გქვია? რა გვარის ხარ? რამდენი წლის ხარ?
- b) – რას აპირებ უქმეებზე? – ჯერ არ ვიცი.
- c) ალბათ, ჩემს ბიძაშვილებთან და დეიდაშვილებთან ერთად ვიქნები იმათ ოჯახში.
- d) – სად არიან თქვენი მამიდაშვილები? ახლა ვინ არის თქვენს ოჯახში? – სიმე, რძალი და სიმამრი. – სად არის სიდედრი?
- e) დედამთილი და მამამთილი უქმეებზე მიდიან სოფელში.
- f) – შენ რას აპირებ არდადეგებზე. რას იზამ? ხომ არ აპირებ ბურთის თამაშს? – აუცილებლად.
- g) უკაცრავად, შემთხვევით ჩემი ბიძაშვილები აქ ხომ არ არიან?
- h) – ეს უბოროტესი კაცია. – რატომ ამბობ ასე? – მე შენ გელაპარაკები, რომ ეს უბოროტესი ადამიანია. – მე კი შენ გეუბნები, რომ ეს საუკეთესო ადამიანია.
- i) ნუ გეშინია, ეს მართლა ბოროტი კი არ არის. ეს ხომ მსახიობია.
- j) ეს ტბა ძალიან ღრმაა და საშიში, აქ წყლის მცენარეებია ბევრი და ამიტომაც საშიში.
- k) ხომ არ იცით, რომელია ნაწილი და მთელი რიცხვები?
- l) ეს ჩემი სიმამრის გერია, ირაკლი. ეს საუკეთესო პატარა ბიჭია თბილისში.

2. Translate:

- a) This is slow and deep. It's fast. This is the reddest apple. Pass it to me, please.
- b) Tell me about your family and relatives. Do you have aunts and uncles? How many cousins do you have?
- c) How old are you? What's your name and surname?
- d) That is better, but this is the best! I don't like this. It's the worst.
- e) Mary loves her grandchildren and especially me!
- f) – What do you intend to do for holidays? – I don't know yet.
- g) – Who can tell it? – I'll tell you. She said, that he will tell the truth.
- h) Unfortunately you told a lie. I know. Tomorrow morning our mother will tell you about this.

- i) My stepmother and my stepfather are in the village. My mother-in-law and father-in-law will go there.
- j) – Aren't you going to come here? – Yes, of course, for sure!

3. Translate:

- a) რომელი ფერის ჩანთა მოგწონს – მოლურჯო თუ ის მომწვანო?
- b) შემთხვევით ხომ არ იცით, სად მიდის ეს ჩქარი მატარებელი ან როდის მიდის?
- c) მითხარით, თუ შეიძლება, ვინ არიან თქვენი ნათესავები?
- d) მოჰყევით რამე თქვენს ოჯახზე. გვიამბეთ რამე. უამბეთ რამე თქვენს მეგობრებს თქვენი ოჯახის შესახებ.
- e) ის მე მიყვება ამბავს. მე შენ რას გელაპარაკები? რა თქვი? რა მითხარი?
- f) – რას იტყვი? რას გეტყვი? რას ეტყვი მათ? – ვეტყვი სიმართლეს.
- g) ის ამბობს, რომ არ იცის არაფერი. მე ვუთხარი, რომ ეს ძალიან ცუდია. მან თქვა, რომ არ შეუძლია არაფერი. რას იზამ?
- h) – რა საქმიანი ხარ დედა. მე არ მიყვარს საქმიანი ადამიანები. შენ სულ დაკავებული ხარ. – რას იზამ? კი ვიცი, რომ გინდა ჩემთან ბურთის თამაში, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა არა მცალია.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Speak about your relatives and your family.

Lesson 16

Vocabulary

interesting	საინტერესო
guest	სტუმარი
appearance	გარეგნობა
skin	კანი
hair	თმა, თმები
forehead	შუბლი
cheek	ლოყა
ear	ყური
eye	თვალი
eyebrow	წარბი
eyelash	წამწამი
chin	ნიკაპი
mouth	პირი
lips	ტუჩები
tooth	კბილი
tongue	ენა
nose	ცხვირი
body	ტანი, სხეული
neck	კისერი
shoulder	მხარი
back	ზურგი
abdomen	მუცელი
chest	მკერდი;
brain	ტვინი
mind	ჭკუა
heart	გული
soul	სული
lung	ფილტვი
liver	ღვიძლი
intestines	ნაწლავი

stomach	კუჭი
kidney	თირკმელი
bone	ძვალი
spine	ხერხემალი
skull	თავის ქალა
muscle	კუნთი
blood	სისხლი
medicine	წამალი
tablet, pill	აბი
(eye) drops	წვეთები
ointment	მაზი
injection	ნემსი
to make an injection	ნემსის გაკეთება
operation	ოპერაცია
swollen	გასიებული
broken	მოტეხილი
bite	ნაკბენი
bruise	ჩალურჯებული
burn	დამწვარი
cut	გაჭრილი
rash	გამონაყარი
cough; to cough	ხველება (მახველებს – I cough / ახველებს – he/she/it coughs)
pain; to have pain	ტკივილი (მტკივა – I'm in pain / სტკივა – he/she/it is in pain)
cold (illness)	სურდო
fever	სიცხე
to have a fever	სიცხის ქონა (სიცხე მაქვს – I have a fever)
high/low (blood) pressure;	მაღალი/დაბალი (სისხლის) წნევა
to have high/low (blood) pressure	მაღალი/დაბალი წნევის ქონა (მაღალი/დაბალი წნევა მაქვს – I have high/low blood pressure)
health	ჯანმრთელობა
illness	ავადმყოფობა

to be ill	ავად ყოფნა
hospital	საავადმყოფო
nurse	ექთანი
organism	ორგანიზმი
to recover	გამოჯანმრთელება
(interval of) time	ხანი
young	ახალგაზრდა
old	მოხუცი
middle aged	შუა ასაკის, შუა ხნის ასაკის, ასაკიანი
mistake; to make a mistake	შეცდომა (ცვდები – I make a mistake / ცდება – he/she/it makes a mistake)
hunger	შიმშილი
hungry	მშიერი
thirst	წყურვილი
thirsty	მწყურვალე

Phrases

I wish you to recover soon	ძალე გამოჯანმრთელებას გისურვებ! OR ძალე გამოჯანმრთელდი!
the doctor prescribed medicine... ექიმმა წამალი...	I s. (to me) დამინიშნა I pl. (to us) დაგვინიშნა II s. (to you) დაგინიშნა II pl. (to you [pl.]) დაგინიშნათ III s. (to him/her/it) დაუნიშნა III pl. (to them) დაუნიშნათ
the doctor prescribed medicine at the first look	ექიმმა წამალი დამინიშნა ერთი შეხედვით
I have a cold	სურდო მაქვს
that's OK / more or less OK	არა უშავს (რა)
it makes me cold / hot / shivering	მაციებს / მაცხელებს / მაკანკალებს
I'm in pain / cold / hungry / thirsty	მტკივა / მცივა / მშია / მწყურია
I hope that...	იმედი მაქვს, რომ...
to be in a bad situation	ცუდ დღეში ყოფნა OR შავ დღეში ყოფნა

Grammar

1. Conjugation of the verbs ტკივილი “to have pain”, სცივვე “to be cold”, შიმშილი “to be hungry”, and წყურვილი “to be thirsty”:

a) Present tense:

I s.	მტკივა	მცივა	მშია	მწყურია
II s.	გტკივა	გცივა	გშია	გწყურია
III s.	სტკივა	სცივა	შია	სწყურია
I pl.	გვტკივა	გვცივა	გვშია	გვწყურია
II pl.	გტკივით	გცივით	გშიათ	გწყურით
III pl.	სტკივით	სცივით	შიათ	სწყურით

b) Past tense:

I s.	მტკიოდა	მციოდა	მშიოდა	მწყუროდა
II s.	გტკიოდა	გციოდა	გშიოდა	გწყუროდა
III s.	სტკიოდა	სციოდა	შიოდა	სწყუროდა
I pl.	გვტკიოდა	გვციოდა	გვშიოდა	გვწყუროდა
II pl.	გტკიოდით	გციოდით	გშიოდით	გწყუროდით
III pl.	სტკიოდით	სციოდით	შიოდით	სწყუროდით

c) Future tense:

I s.	მეტკინება	მეციება	მეშიება	მეწყურება
II s.	გეტკინება	გეციება	გეშიება	გეწყურება
III s.	ეტკინება	ეციება	ეშიება	ეწყურება
I pl.	გვეტკინება	გვეციება	გვეშიება	გვეწყურება
II pl.	გეტკინებათ	გეციებათ	გეშიებათ	გეწყურებათ
III pl.	ეტკინებათ	ეციებათ	ეშიებათ	ეწყურებათ

2. Adverbs of place:

near	ახლოს
next	გვერდზე
far	შორს OR მოშორებით
nearby	შორიახლოს

above	ზემოთ OR მაღლა OR აღმა (directed)
below	ვემოთ OR დაბლა OR დაღმა (directed)
here	აქ / აქეთ / აქვე / აქეთკენ / აქედან
there	იქ / იქით / იქვე / იქეთკენ / იქედან
in front	წინ
behind	უკან
right to/of	მარჯვნივ
left to/of	მარცხნივ
correct side	წალმა
wrong side	უკუღმა
some place	ზოგან OR ალაგ-ალაგ OR ადგილ-ადგილ ("Place" is ალაგი or ადგილი.)

Very often these adverbs produce new composites by joining to opposing words: შორიახლოს, წალმა-უკუღმა, წინდაუკან, ზემოთ-ქვემოთ, აღმა-დაღმა, აქა-იქ, აქეთ-იქით, ალაგ-ალაგ, ადგილ-ადგილ.

3. Conjugation of the verb "to wish" სურვილი:

a) Present tense: the subject is nominative, the direct and indirect objects are dative.

S./O.i.	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	-----	გისურვებ	ვუსურვებ	-----	გისურვებთ	ვუსურვებ
შენ	მისურვებ	-----	უსურვებ	გვისურვებ	-----	უსურვებ
ის	მისურვებს	გისურვებს	უსურვებს	გვისურვებს	გისურვებთ	უსურვებს
ჩვენ	-----	გისურვებთ	ვუსურვებთ	-----	გისურვებთ	ვუსურვებთ
თქვენ	მისურვებთ	-----	უსურვებთ	გვისურვებთ	-----	უსურვებთ
ისინი	მისურვებენ	გისურვებენ	უსურვებენ	გვისურვებენ	გისურვებენ	უსურვებენ

b) Past tense: the subject is ergative, the indirect object is dative, and as always and the direct object is nominative.

S./O.i.	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	-----	გისურვე	ვუსურვე	-----	გისურვით	ვუსურვე
შენ	მისურვე	-----	უსურვე	გვისურვე	-----	უსურვე
მან	მისურვა	გისურვა	უსურვა	გვისურვა	გისურვათ	უსურვა(თ)
ჩვენ	-----	გისურვით	ვუსურვით	-----	გისურვით	ვუსურვით
თქვენ	მისურვით	-----	უსურვით	გვისურვით	-----	უსურვით
მათ	მისურვეს	გისურვეს	უსურვეს	გვისურვეს	გისურვეს	უსურვეს

Texts

- გუშინ ავად ვიყავი. გამონაყარი მეონდა და პატარა სიცხე. ექიმი და ექთანი იყვენენ აქ. ექიმმა წამალი დამინიშნა. ეს მწარე და უგემური წამალია. მაგრამ, ალბათ, ყველა წამალი ასეთი უგემური არ არის.
- თუ ექიმმა დაგინიშნა, აუცილებლად დალიე! რა გტკივა?
- კისერი, მხარი და ზურგი. მე ხვალ საინტერესო სტუმარი მეყოლება და მოდი ჩემთან, თუ გინდა.
- ვინ იქნება?
- ერთი საინტერესო მწერალია.
- გმადლობთ, მაგრამ ხვალ არა მცალია. სამწუხაროდ, ძალიან დაკავებული ვარ.
- არა უშავს რა.
- ცუდია ავადმყოფობა, არა? აბა, ვის უყვარს? ძნელია სულ საწოლში ყოფნა მთელი დღე.
- რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, მაგრამ რას იზამ? იმედი მაქვს, ხვალ ან ზევ უკვე კარგად ვიქნები.
- რა თქმა უნდა. აბა, გისურვებ მალე გამოჯანმრთელებას.
- დიდი მადლობა, ჩემო კარგო.
- ნახვამდის.
- კარგად იყავით.

ადამიანის სხეულის ნაწილებია: თავი, ხელები, ფეხები, კისერი, მხარი, ზურგი, მუცელი, მკერდი, ხერხემალი. ადამიანს აქვს ორგანიზმი – ეს არის მისი სხეული, ანუ ტვინი, გული, ფილტვი, ღვიძლი, ნაწლავი, თირკმელი, ძვალი, კუნთი, სისხლი,

ხერხემალი.

- მოგწონს ამ ქალის გარეგნობა? – დიახ. ლამაზი ტანი აქვს და ლამაზი სახე. რა მოგწონს ამ მსახიობის გარეგნობაში? – კანი, შუბლი, თვალები, ნიკაპი, ცხვირი, ტუჩები, კბილები, ლოყები, წარბები, წამწამები, თმები და მკერდი. მას ლამაზი ტანი აქვს და ლამაზი სახე. ლამაზ სხეულში ლამაზი სულია, იცი? – საინტერესოა!
- ეს მსახიობიც ძალიან ლამაზია. – არა უშავს.

Exercises

1. Translate:

- a) ვიცი, არ გიყვარს ნემსის გაკეთება. მაგრამ თუ საჭიროა, რას იზამ?
- b) რა სასიამოვნოა ჯანმრთელად ყოფნა! ხარ კარგად და აქეთ-იქით მოგზაურობა შეგიძლია.
- c) აღმა-დაღმა სიარული და აქეთ-იქით ყურება არაა კარგი. ეს სირცხვილია. დაჯექი სახლში!
- d) – უსურვე დედაჩემს სასიამოვნო მგზავრობა. – სიამოვნებით.
- e) რას ისურვებ ახლა?
- f) ალაგ-ალაგ თოვლი იქნება ხვალ.
- g) ყველას ვუსურვებთ ჯანმრთელად ყოფნას. ჯანმრთელობას გისურვებთ!
- h) გაციებს თუ გაცხელებს? გახველებს? რა გტკივა, ზუსტად მითხარი!
- i) – კუჭი მტკივა და თავი. სურდოც მაქვს და პატარა სიცხეც. ავადა ვარ. დღეს ვერ ვარ ჯანმრთელად. იყო ექიმი? – კი, იყო.
- j) აქ საავადმყოფოში ავადმყოფები არიან. ერთ ახალგაზრდას აქვს ჩალურჯებული თვალები, მეორეს ფეხზე აქვს გველის ნაკბენი. ეს ძალიან საშიშია. მესამეს გამონაყარი აქვს და ექიმმა მაზი დაუნიშნა.

2. Translate and expand the sentences:

- a) How are you? Are you ill? I wish you and him to recover soon.
- b) Are you hungry? Are you cold? Are you hot?
- c) Tell me about ill people in the hospital.
- d) The human appearance: head and body. Each human has legs, hands, a face, a back, shoulders, a neck, stomach, skin, nose, mouth, lips, teeth, cheeks, a chin, ears, eyes,

eyebrows, eyelashes and hair. (Make a few sentences using these words.)

e) The human organism has a brain, a heart, a soul, lungs, a liver, intestines, a spine, a skull, bones, muscles and blood.

f) I wish good health to your friend.

3. Translate:

a) ესენი ცუდ დღეში არიან. სამ მათგანს ტანი და სახე აქვთ დამწვარი. ერთ ქალს თირკმელი სტკივა.

b) ავადმყოფობა ძნელია და მალე გამოჯანმრთელდი!

c) – შავ დღეში ვარ! ყველაფერი მტკივა. მცირეა, მშია, მწყურია და ავად ვარ. – სად ხარ ასეთ დღეში? რატომ ხარ ასე? სად არიან შენი ნათესავები?

d) აქ ერთი სტუდენტია ცუდად. ფილტვები და ღვიძლი სტკივა. ის ძალიან ახველებს.

e) – ეს ექიმი შუა ხნის ასაკისაა. აი, ექთანი კი ახალგაზრდა და ლამაზი გარეგნობის ქალია. – შენ, ალბათ, ავად არა ხარ. – აბა, აქ რა მინდა? – ეგ მე არ ვიცი!

f) – იქნებ ვცდები, მაგრამ არ მინდა ნემსის გაკეთება. – დიახ, ნამდვილად ძალიან სცდებით. ეს საჭიროა თქვენთვის. – მომიტევეთ ეს შეცდომა. – არა უშავს!

g) – ეს საავადმყოფო აქედან ახლოა თუ შორს? – აქვეა. ახლოს.

h) – შორს არის თბილისი აქედან? – არც ისე.

i) კბილი მტკივა და ლოყა მაქვს გასიებული.

j) ამ მოხუც კაცს ექიმმა წვეთები და მაზი დაუნიშნა. ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

k) სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა ექთანმა ნემსის გაკეთება ჯერ კარგად არ იცის. მაგრამ ლამაზი მაინც არის.

l) ტვინი, ჭკუა, გული და სული აუცილებელია ნორმალური ჯანმრთელი ადამიანისათვის.

m) შეიძლება, ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას ოპერაცია ნამდვილად არ უნდა.

n) ერთი შეხედვით, არა უშავს, ლამაზი გარეგნობის ქალბატონია.

o) თავი ხშირად გტკივათ თუ იშვიათად?

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Speak about a hospital and illness, about human body and human appearance.

Lesson 17

Vocabulary

joke; to joke	ხუმრობა (ვიხუმრეთ – we joked)
to begin	დაწყება (დავიწყეთ – we began)
to finish	დამთავრება (დავამთავრეთ – we finished)
beginning	დასაწყისი
end, ending	დასასრული
translation	თარგმანი
tradition	ტრადიცია
culture	კულტურა
dance	ცეკვა
song	სიმღერა
poem	ლექსი
poetry	პოეზია
story	მოთხრობა
fairytale	ზღაპარი
host	მასპინძელი
hospitality	მასპინძლობა, სტუმარ-მასპინძლობა
host and guest	სტუმარ-მასპინძელი
hospitable	სტუმართმოყვარე
to be a guest, to stay with someone	სტუმრობა
celebration; holiday	დღესასწაული
character, disposition	ხასიათი
a bad character	უხასიათო
mood	ხასიათი, გუნება, განწყობა, გუნება-განწყობა
happiness	ბედნიერება
happy	ბედნიერი
joy	სიხარული
joyful	გახარებული
sorrow	მწუხარება
sorrowful	მწუხარე
sadness	სევდა

sad	სევდიანი
unhappy	უბედური
tragedy	უბედურება
existence; to exist	არსებობა (ვარსებობთ – we exist)
ugly	მახინჯი, უშნო
wonderful	მშვენიერი
remarkable	შესანიშნავი
amazing	მომხიბლავი
unusual	არაჩვეულებრივი
attractive	მიმზიდველი
help	დახმარება, შველა
to be angry with	გაბრაზება
way, road	გზა
distance	მანძილი
indulgence	შელავათი
other	სხვა
by the way	სხვათაშორის
different	სხვადასხვა
though	თუმცა
almost	ლამის, თითქმის, კინაღამ
must	უნდა
to know (somebody)	ცნობა

Phrases

here we go!; just do it!	აბა, შენ იცი!
so-so	ისე რა
so on; etc.	და ასე შემდეგ OR და სხვა
it's clear/understandable	გასაგებია
it fits (inside a bag)	ის ეტევა (ჩანთაში)
I must do	უნდა გავაკეთო
I must write	უნდა დავწერო
I must come/go	უნდა წავიდე/მოვიდე
to be in a good mood	(კარგ) ხასიათზე / გუნებაზე / განწყობაზე / გუნება-განწყობაზე ყოფნა

to be in a bad mood

ცუდ ხასიათზე / გუნებაზე / განწყობაზე / გუნება-
განწყობაზე ყოფნა OR უხასიათოდ ყოფნა OR
უქეიფოდ ყოფნა

a far distance

შორი მანძილი

Grammar

1. Adverbs of time:

today	დღეს
tomorrow	ხვალ
yesterday	გუშინ
the day before yesterday	გუშინწინ
the day after tomorrow	ზეგ
in two days	მაზეგ
this year	წელს
last year	შარშან
next year	გაისად
often	ხშირად
seldom	იშვიათად
sometimes	ზოგჯერ OR ხანდახან OR დროდადრო
always	(სულ) მუდამ OR (სულ) ყოველთვის OR ყოველდროს
immediately	წამიერად OR მყისვე OR მაშინვე
now	ახლა
right now	ახლავე
then	მაშინ
afterwards, later on	მერე OR შემდეგ
ever	ოდესმე
mostly	უმეტესად

2. Conjugation of the verb “to know (somebody)” ცნობა.

a) Present tense:

S./O.i.	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	-----	ვიცნობ	ვიცნობ	-----	ვიცნობთ	ვიცნობ
შენ	მიცნობ	-----	იცნობ	გვიცნობ	-----	იცნობ
ის	მიცნობს	ვიცნობს	იცნობს	გვიცნობს	ვიცნობთ	იცნობს
ჩვენ	-----	ვიცნობთ	ვიცნობთ	-----	ვიცნობთ	ვიცნობთ
თქვენ	მიცნობთ	-----	იცნობთ	გვიცნობთ	-----	იცნობთ
ისინი	მიცნობენ	ვიცნობენ	იცნობენ	გვიცნობენ	ვიცნობენ	იცნობენ

b) Past tense:

S./O.i.	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	-----	ვიცნობდი	ვიცნობდი	-----	ვიცნობდით	ვიცნობდი
შენ	მიცნობდი	-----	იცნობდი	გვიცნობდი	-----	იცნობდი
ის	მიცნობდა	ვიცნობდა	იცნობდა	გვიცნობდა	ვიცნობდათ	იცნობდა
ჩვენ	-----	ვიცნობდით	ვიცნობდით	-----	ვიცნობდით	ვიცნობდით
თქვენ	მიცნობდით	-----	იცნობდით	გვიცნობდით	-----	იცნობდით
ისინი	მიცნობდნენ	ვიცნობდნენ	იცნობდნენ	გვიცნობდნენ	ვიცნობდნენ	იცნობდნენ

c) Future tense:

S./O.i.	მე	შენ	მას	ჩვენ	თქვენ	მათ
მე	-----	გავიცნობ	გავიცნობ	-----	გავიცნობთ	გავიცნობ
შენ	გამიცნობ	-----	გაიცნობ	გავიცნობ	-----	გაიცნობ
ის	გამიცნობს	გავიცნობს	გაიცნობს	გავიცნობს	გავიცნობთ	გაიცნობს
ჩვენ	-----	გავიცნობთ	გავიცნობთ	-----	გავიცნობთ	გავიცნობთ
თქვენ	გამიცნობთ	-----	გაიცნობთ	გავიცნობთ	-----	გაიცნობთ
ისინი	გამიცნობენ	გავიცნობენ	გაიცნობენ	გავიცნობენ	გავიცნობენ	გაიცნობენ

3. The markers of the subject and the object both are exposed in the verb, as we already have seen. There are four types of verbs in Georgian:

a) One-personal (with only a subject) intransitives:

I go მივდივარ (მე)

I come მოვდივარ (მე)

The subject is always in the nominative case.

b) Two-personal (with a subject and direct object) intransitives:

I know him/her ვიცნობ (მე მას)

The subject is always in the nominative case and the indirect object is always dative.

c) Two-personal (with a subject and direct object) transitives:

I paint him/her/it ვხატავ (მე მას) – present tense

I painted him/her/it დავხატე (მე ის) – past tense

d) Three-personal (with a subject, direct and indirect object) transitives:

I paint him/her/it for him/her ვუხატავ (მე მას მას)

I telling him/her it ვუამბობ (მე მას მას)

4. Cases of verbal persons in transitive verbs:

a) Two-personal transitives:

Present Tense	(I Series)	ქალი სურათს ხატავს Subject: nominative Direct object: dative
Past/Aorist Tense	(II Series)	ქალმა სურათი დახატა Subject: ergative Direct object: nominative
Past Unreal Tense	(III Series)	ქალს სურათი დაუხატავს Subject: dative Direct object: nominative

b) Three-personal transitives:

Present Tense	(I Series)	ქალი დედას სურათს უხატავს Subject: nominative Direct object: dative Indirect object: dative
Past/Aorist Tense	(II Series)	ქალმა დედას სურათი დაუხატა Subject: ergative Direct object: nominative Indirect object: dative
Past Unreal Tense	(III Series)	ქალს დედისთვის სურათი დაუხატავს Subject: dative Direct object: nominative The indirect object is outside of verbal morphology and is indicated by the postposition “-თვის” (“for”). Therefore in this tense the verb becomes two-personal.

Texts

ჩვენ საქართველოში გვაქვს შესანიშნავი ტრადიციები. ჩვენი ტრადიციაა სტუმარ-მასპინძლობა და ქართული სუფრა. აქ არაჩვეულებრივი თამადები გვყავს. მათ მშვენიერი სადღეგრძელოები იციან. სუფრაზე არის ყოველთვის კარგი გუნება-განწყობა. აქ უყვართ სუფრასთან ხუმრობა, მომხიბვლელი სიმღერა და ლექსი, ასევე მიმზიდველი ცეკვა და თამაში. ასეთი დიდი კულტურის ქვეყანაა საქართველო. შორი მანძილია საქართველომდე?

სხვათაშორის, ჩვენ შესანიშნავ ხასიათზე ვართ. აქ ყველა გახარებულია, დღეს ხომ დღესასწაულია. დღეს ჩვენს ოჯახში ბევრი სტუმარია. აქ არიან ჩვენი ნათესავები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ასე შემდეგ.

– ამ პატარა ბავშვს ბურთი უნდა? – არა ზღაპარი უნდა. – ეს არის თარგმანი ქართულიდან კორეულად. აქ არის მოთხრობები და ზღაპრები ბავშვებისთვის. აბა, შენ იცი, ახლავე დაჯექი და ჭამე საჭმელი. რატომ არ გინდა? ეს ბავშვი რატომ არის გაბრაზებული? რატომ ხარ ცუდ ხასიათზე? საერთოდ, ეს უხასიათო ბავშვია? – არა, ეს

კარგი ხასიათის ანუ კარგი ბუნების ბავშვია, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, ცოტა ავად არის.

– სიხარული და მწუხარება და და ძმია. – ვინ თქვა ეს? – მე ვამბობ ამას. – არ არის სიმართალე? ეს ხუმრობაა? – არ ვხუმრობ. ეს სიმღერაც დავიწყე და დავამთავრე უკვე.

Exercises

1. Translate:

- a) ახლა ჩვენი მასპინძელი სუფრას შლის. აქ კარგი მასპინძლობა იციან. ეს სტუმარ-მასპინძლობა მართლაც სასიამოვნო ტრადიციაა.
- b) სტუმარ-მასპინძლობა ხომ მართლაც არაჩვეულებრივი და მომხიბლავი ტრადიციაა.
- c) – რას იტყვი ქართული ტრადიციების შესახებ? – რაც შეეხება ქართულ ტრადიციებს, მე ბევრი რამე ჯერ არ ვიცი. მხოლოდ ახლა ვსწავლობ.
- d) – როგორ მოგწონს ამ ლექსის ინგლისური თარგმანი? – ვინ თარგმნა ეს კორეულიდან ინგლისურად? – ეს ინგლისურ ენაზე თარგმნა ერთმა კარგმა პოეტმა, სხვათაშორის.
- e) ეს ხილი ჩემს ჩანთაში არ ეტევა. მომაწოდე, ეგ დიდი ჩანთა.
- f) ბედნიერებაა აქ ყოფნა. მძიმე ავადმყოფობა უბედურებაა.
- g) – როგორია თქვენი გუნება-განწყობა? – მშვენიერი! კარგი მასპინძელი ხომ მუდამ კარგ ხასიათზეა.
- h) ნახვამდის. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. – რა თქმა უნდა.
- i) – რა მახინჯი სურათია? ვისია? – არ ვიცი. რატომ არ მოგწონს?
- j) ეს ცხოვრებაა თუ მხოლოდ არსებობა? აღარ შემიძლია აქ ასე ყოფნა!

2. Translate:

- a) There are nice traditions in Korea.
- b) Do you know any Korean traditions? Do you know anything from their culture?
- c) – Is this a good translation? – Yes, here are English stories and poems.
- d) Do you have some fairytale stories for children?
- e) Georgian families are very hospitable. They like dancing and singing at the table/party.

- f) Are you in a bad mood?
- g) – Who is always in a bad mood? – He has a bad character by the way.
- h) It's happiness. I'm happy. Are you happy? Why are you so unhappy?
- i) It's clear that I must go and you must come.
- j) The day before yesterday she painted this picture. She will paint it in two days.

3. Translate:

- a) სხვათაშორის, ახლა კაცი ხატავს სურათს და გუშინ კი ქალმა დახატა სურათი.
- b) კაცს დაუხატავს სურათი ქალისთვის. კაცი ხატავს სურათს. კაცი უხატავს სურათს ქალს.
- c) ბავშვი დედას უხატავს ვაშლს. ბავშვი ხატავს ვაშლს. დედა ხატავს ვაშლს ბავშვისთვის. დედა უხატავს ვაშლს ბავშვს.
- d) – არ შეიძლება მასპინძლის გაბრაზება! გასაგებია? – კი ბატონო. – დიდი შელავათი.
- e) – რას იტყვი ხვალ ამის შესახებ? – რაც შეეხება თქვენს სტუმარ-მასპინძლობას, ეს მართლაც ჩინებული ტრადიცია გაქვთ. მე მომწონს.
- f) ჩემი ნათესავები სტუმართმოყვარე ადამიანები არიან და მეც მიყვარს მათი სტუმრობა. ესენი მაღალი კულტურის ადამიანები არიან. სამწუხაროდ, მათ სოფლამდე შორი მანძილია.
- g) ჩინებულია ამ ლექსის დასაწყისი და დასასრული. არაჩვეულებრივი ლექსია. ქართველებს უყვართ პოეზია. მათ იციან ლექსი.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Speak about culture and traditions that you know.

Lesson 18

Vocabulary

clothes	ტანსაცმელი
coat	პალტო, ქურთუკი
suit	კოსტიუმი
jacket	პიჯაკი
cardigan	ჟაკეტი
dress	კაბა
trousers	შარვალი
sweater	პულოვერი
skirt	ქვედა კაბა
jeans	ჯინსები
robe	ხალათი
underwear	საცვალი
socks	წინდები
shirt	პერანგი
tie	ჰალსტუხი
cap	კეპი
hat	ქუდი
scarf	შარფი, კაშნე
collar	საყელო
sleeve	სახელო
pocket	ჯიბე
button	ღილი
needle	ნემსი
thread	ძაფი
footwear; shoe	ფეხსაცმელი
boots	ჩექმები
sneakers, trainers	ბოტასები
heels	ქუსლები
high/low heel	მაღალქუსლიანი/დაბალქუსლიანი
dream	ძილი, სიზმარი

to wear, to dress	ჩაცმა, ჩაცმა-დახურვა, ტარება (მაცვია/ვატარებ – I wear)
acquaintance	ნაცნობობა, ნაცნო
stranger	უცნობი
art	ხელოვნება
love	სიყვარული
hate	სიძულვილი
buy; sell	ყიდა (ვიყიდე – I bought/sold / იყიდა – he/she/it bought/sold)
store	მალაზია
seller	გამყიდველი
wrong	მცდარი
correct	სწორი
especially	სპეციალურად
order	წესრიგი
disorder	უწესრიგობა
his/her/its own	თავისი
yogurt	მაწონი
orphan	ობოლი
gray	რუხი
(grammatical) case	ბრუნვა
inflection	ბრუნება

Phrases

to be ill	შეუძლოდ ყოფნა
it's known	ცნობილია
how much is it?	რა ღირს?
I / you / he/she must buy	უნდა ვიყიდო / იყიდო / იყიდოს
it suits me / you / him/her	მიხდება / გიხდება / უხდება

Grammar

1. The vowels “ა”, “ე”, “ო” are missing before “-ნ-”, “-რ-”, “-ლ-” and “-მ-” in words ending on these consonants in three cases: genitive, instrumental and adverbial in singular and in plural. In the some cases (and in plural as well) “ო” changes into “ვ” before “-ნ-”, “-რ-” and “-ლ-”.

Nom.	სტუმარი	სტუმრები	ობოლი	ობლები	მაწონი	მაწვნები
Erg.	სტუმარმა	სტუმრებმა	ობოლმა	ობლებმა	მაწონმა	მაწვნებმა
Dat.	სტუმარს	სტუმრებს	ობოლს	ობლებს	მაწონს	მაწვნებს
Gen.	სტუმრის	სტუმრების	ობლის	ობლების	მაწვნის	მაწვნების
Instr.	სტუმრით	სტუმრებით	ობლით	ობლებით	მაწვნით	მაწვნებით
Adv.	სტუმრად	სტუმრებად	ობლად	ობლებად	მაწვნად	მაწვნებად
Voc.	სტუმარო	სტუმრებო	ობოლო	ობლებო	მაწონო	მაწვნებო

2. Infection of noun endings on vowels:

Nom.	მამა	მამები	ტყე	ტყეები	ოქრო	ოქროები
Erg.	მამა	მამებმა	ტყემ	ტყეებმა	ოქრომ	ოქროებმა
Dat.	მამას	მამებს	ტყეს	ტყეებს	ოქროს	ოქროებს
Gen.	მამის	მამების	ტყის	ტყეების	ოქროს(ი)	ოქროების
Instr.	მამით	მამებით	ტყით	ტყეებით	ოქროთ(ი)	ოქროებით
Adv.	მამად	მამებად	ტყედ	ტყეებად	ოქროდ	ოქროებად
Voc.	მამაო	მამებო	ტყეო	ტყეებო	ოქროვ	ოქროებო

“ღვინო” is an exception:

Nom.	ღვინო	ღვინოები
Erg.	ღვინომ	ღვინოებმა
Dat.	ღვინოს	ღვინოებს
Gen.	ღვინ <u>ის</u>	ღვინოების
Instr.	ღვინ <u>ით</u>	ღვინოებით
Adv.	ღვინოდ	ღვინოებად
Voc.	ღვინოვ	ღვინოებო

3. Inflection of demonstrative pronouns with nouns:

Nom.	ეს კაცი	ეგ კაცი	ის კაცი	ეს/ეგ/ის კაცები
Erg.	ამ კაცმა	მაგ კაცმა	იმ კაცმა	ამ/მაგ/იმ კაცებმა
Dat.	ამ კაცს	მაგ კაცს	იმ კაცს	ამ/მაგ/იმ კაცებს
Gen.	ამ კაცის	მაგ კაცის	იმ კაცის	ამ/მაგ/იმ კაცების
Instr.	ამ კაცით	მაგ კაცით	იმ კაცით	ამ/მაგ/იმ კაცებით
Adv.	ამ კაცად	მაგ კაცად	იმ კაცად	ამ/მაგ/იმ კაცებად
Voc.	----- კაცო	----- კაცო	----- კაცო	----- კაცებო

4. Adverbs of purpose, reason, measure and interrogative adverbs:

Adverbs of <u>Purpose</u> :	for this	ამად / ამისთვის
	for that	მაგად / მაგისთვის; იმად / იმისთვის
Adverbs of <u>Reason</u> :	because of this; therefore	ამიტომ
	because of that	იმიტომ
Adverbs of <u>Measure</u> :	once	ერთხელ
	twice	ორჯერ
	three times	სამჯერ
	four times	ოთხჯერ
	(The suffix “-ჯერ” produces these adverbs.)	
	quite, fully	სრულიად, სავსებით, ყოვლად
	completely, fully	მთლიანად
	partially	ნაწილობრივ
	less	ცოტა (ცოტათი)
	more	მეტად, მეტწილად
more or less	მეტნაკლებად	
very	ძალიან	
<u>Interrogative</u> Adverbs:	where?	სად?
	when?	როდის?
	why?	რატომ?
	how?	როგორ?
	what for?	რისთვის?

The particle “-ც” produces **conjunctions** from these interrogative adverbs: სადაც, როდესაც, რატომაც, რისთვისაც, როგორც/როგორაც. These words are used in complex sentences.

5. Conjugation of the verbs “to go” მისვლა and “to come” მოსვლა: მივდივარ – I go and მოვდივარ – I come. “მი-” shows verbal direction away and “მო-” is the opposite to “მი-”; it shows direction towards the first person.

	Present	Past	Future
I s.	მი/მოვდივარ	მი/მოვედი	მი/მოვალ
II s.	მი/მოდიხარ	მი/მოხვედი	მი/მოხვლთ
III s.	მი/მოდის	მი/მოვიდა	მი/მოვა
I pl.	მი/მოვდივართ	მი/მოვედით	მი/მოვალთ
II pl.	მი/მოდიხართ	მი/მოხვედით	მი/მოხვლთ
III pl.	მი/მოდიან	მი/მოვიდნენ	მი/მოვლენ

Texts

- ახლა ვაპირებ ტანსაცმლის მაღაზიაში წასვლას. ჩემთვის პალტოს ყიდვა მინდა და ჩემი ქმრისთვის კი რუხი პიჯაკის. მომაწოდეთ, გეთაყვა, ეგ თეთრი კაბა და ყვითელი პულოვერი. ეს ულამაზესი შარფი ვისია? – ეს კეპი ხომ არ გინდათ ბავშვისთვის?
- არა, ჩემს შვილს ქუდი უნდა. აქ რა გაქვთ ტანსაცმლის კარადაში? – კოსტიუმები, ჟაკეტი, კაბები, შარვლები, პერანგები, საცვლები, ნასკები და ასე შემდეგ. აქ ასევე არის თქვენთვის ფეხსაცმელი. – ეს ბოტასები არ მომწონს.
- ნანა, ეგ კაბა ძალიან გიხდება.
- ეს კაბაა მოკლეა. ასეთი კაბის ჩაცმას მე არ ვაპირებ. სხვა უნდა ვიყიდო ამ მაღაზიაში. სხვათაშორის, ეს გამყიდველი ჩემი ძველი ნაცნობია. იცის ჩემი ხასიათი. მე მომწონს დიდი და ფერადი ტანსაცმელი. დღეს ვაპირებ შარვლისა და ბოტასების ყიდვას? შენ რა გინდა? რას აპირებ?
- მე ხვალ უნდა ვიყიდო ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ჩემი ბავშვისათვის. ახლა კი არა მცალია, მეჩქარება, მატარებელზე მაგვიანდება.
- სად მიდიხარ? ჯერ სამსახურში მივდივარ. მერე კი მე უნდა ვიყიდო ბოსტნეული და ხილი სალამოს. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი შეუძლოდაა.
- ნახვამდის. შენს ქმარს ვუსურვებ მალე გამოჯანმრთელებას!

– დიდი მადლობა. კარგად იყავი.

Exercises

1. Translate:

- a) – მიხდება ეს ქურთუკი? – არა. მე შენი ძველი პალტო უფრო მომწონდა.
- b) როგორ გიხდებათ ეს კოსტიუმი და წითელი ჰალსტუხი!
- c) თამარს არ უხდება ეს პულოვერი და ქვედა კაბა. ნამდვილად დიდია ეს ტანსაცმელი და არც ეს ფერები არ უხდება სახეზე.
- d) – როგორ მიხდება ეს პერანგი? – ძალიან გიხდება.
- e) – მომაწოდეთ, თუ შეიძლება, ნემსი და შავი ძაფი. – ინებეთ, გეთაყვა.
- f) ეს კაცი ჩემი ძველი ნაცნობია. ეს ქალი კი უცნობია.
- g) ეს სიმღერა ჩემთვის კარგადაა ნაცნობი. ეს კარგად ნაცნობი სიმღერაა.
- h) საქართველო ცნობილია თავისი სტუმარ-მასპინძლობით.
- i) ეს ჩანთა იმისთვის მინდა, რომ მაღაზიაში მივდივარ.
- j) – ვიცი, რომ ეს მე არ მიხდება, ამიტომ ახალი რამე უნდა ვიყიდო. – არ გიყვარს ახალი ტანსაცმელი?

2. Translate:

- a) Where are you go? Where are they coming from?
- b) – Are you going to the clothing shop? – Yes, I must buy some clothes.
- c) – What do you want to buy? – I must buy a new suit and a tie for my brother.
- d) – How are you? – I'm ill. I'm going to the doctor. Yesterday I went to the hospital, but it was Sunday and nobody was there.
- e) – Does it suit me? – I like this color! Yes, it's good for you.
- f) Please, pass me these boots.
- g) Here is a needle and a green thread. Do you want it?
- h) My clothes don't fit my cupboard. There are too many things.
- i) The sleeves and collar of this shirt are brown. I must buy this!
- j) I have three buttons in my pocket. What do you have in your pocket?

3. Translate:

- a) ეს ამ კაცის პალტოა. მას უყვარს კარგი ჩაცმა-დახურვა. ნახე, რა ლამაზი კოსტუმი აცვია.
- b) – სად მიდის ეს ქალი? – ეს ქალი აქ მოდის.
- c) – რა დახატა ამ ბავშვმა გუმინ? – არ ვიცი. მე მგონი, ქალის ტანსაცმელი დახატა.
- d) ეს კაბა იმაზე უკეთესია. ამიტომ ეს უნდა ვიყიდო. სად არის გამყიდველი? არ მოდის?
- e) ამ გოგოს უმეტესად შარვალი აცვია. ის უმეტესად შარვლით დადის. მას ხშირად აცვია შარვალი, მას არ მოსწონს კაბით სიარული. მას მაინცადამაინც არ უყვარს კაბის ტარება.
- f) – ის მიდის თუ მოდის? – ეს მივიდა იქ და ის მოვიდა აქ. ეგ მოვა აქ. ეს კაცი მივა იქ.
- g) – შენ სად მიდიხარ? – მე უნივერსიტეტში მივდივარ. ის კი მაღაზიაში მიდის და მერე ჩვენთან მოვა.
- h) მე ლურჯი ჯინსები მინდა ვიყიდო. არ მინდა ამ თეთრი ჯინსების ყიდვა. მითხარით, რა ღირს ეს შარვალი?
- i) რა უწყესრიგობაა აქ? ეს მცდარი აზრია. ეს არასწორი აზრია.
- j) მაწვნის ჭამა არ მინდა. მივდივარ.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Speak about clothing.

Lesson 19

Vocabulary

face	პირი-სახე, ცხვირ-პირი
beards and mustaches	წვერ-ულვაში
eyes and eyebrows	თვალ-წარბი
knife and fork	დანა-ჩანგალი
forests and valleys	ტყე-ველი
mountains and valleys	მთა-ბარი
bad and good	ავ-კარგი
bare-naked	შიშველ-ტიტველი
hungry and thirsty	მშიერ-მწყურვალი
suit and trousers	შარვალ-კოსტიუმი
doors and windows	კარ-ფანჯარა
house and yard	სახლ-კარი
death and life	სიკვდილ-სიცოცხლე
absolute	აბსოლუტური
unusual	უჩვეულო
behavior	ქცევა
smile	ღიმილი, გაღიმება
thing, item	ნივთი, საგანი
chaos, mess	ქაოსი
silence	სიჩუმე
profession	პროფესია
speciality	სპეციალობა
specialist	სპეციალისტი
uncomfortable	მოუხერხებელი
comfortable	მოხერხებული
neighbor	მეზობელი
fat	მსუქანი
thin	გამხდარი
politeness	ზრდილობა
well-bred, polite	ზრდილი

ill-bred, impolite	უზრდელი
trait, quality	თვისება
evidentially, obviously	აშკარად
reason	მიზეზი
aim, goal	მიზანი
to consider	მიჩნევა
to give	მიცემა
to give away	გაცემა
complex	რთული
simple	მარტივი
word	სიტყვა
sentence	წინადადება
in addition	თანაც

Phrases

it's a pity!	(რა) საწყენია!
I consider	(მე) მიმაჩნია / მიგაჩნია / მიაჩნია
most of it	უმეტესი ნაწილი
he/she borrowed/lent	(მან მე ის) მასესხა OR (მან მე ის) მათხოვა
he/she gave it to me	მომცა (მან მე ის)

Grammar

1. Conjugation of the verb “to give” მიცემა:

a) In the present tense this verb has another root (ძლევა):

S./O.i.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	-----	გაძლევ	ვაძლევ	-----	გაძლევთ	ვაძლევ
II s.	მაძლევ	-----	აძლევ	გვაძლევ	-----	აძლევ
III s.	მაძლევს	გაძლევს	აძლევს	გვაძლევს	გაძლევთ	აძლევს
I pl.	-----	გაძლევთ	ვაძლევთ	-----	გაძლევთ	ვაძლევთ
II pl.	მაძლევთ	-----	აძლევთ	გვაძლევთ	-----	აძლევთ
III pl.	მაძლევენ	გაძლევენ	აძლევენ	გვაძლევენ	გაძლევენ	აძლევენ

b) Past tense:

S./O.i.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	-----	მოგეცი	მივეცი	-----	მოგეცით	მივეცით
II s.	მომეცი	-----	მიეცი	მოგვეცი	-----	მიეცით
III s.	მომცა	მოგცა	მისცა	მოგვცა	მოგცათ	მისცა(თ)
I pl.	-----	მოგეცით	მივეცით	-----	მოგეცით	მივეცით
II pl.	მომეცით	-----	მიეცით	მოგვეცით	-----	მიეცით
III pl.	მომცეს	მოგცეს	მისცეს	მოგვცეს	მოგცეს	მისცეს

c) Future tense:

S./O.i.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	-----	მოგცემ	მივცემ	-----	მოგცემთ	მივცემ
II s.	მომცემ	-----	მისცემ	მოგვცემ	-----	მისცემ
III s.	მომცემს	მოგცემს	მისცემს	მოგვცემს	მოგცემთ	მისცემს
I pl.	-----	მოგცემთ	მივცემთ	-----	მოგცემთ	მივცემთ
II pl.	მომცემთ	-----	მისცემთ	მოგვცემთ	-----	მისცემთ
III pl.	მომცემენ	მოგცემენ	მისცემენ	მოგვცემენ	მოგცემენ	მისცემენ

2. Conjunctions and particles:

and	და
that; if	რომ
but	მაგრამ
though	თუმცა
while; until	სანამ / მანამ (მანამ...სანამ)
than; until	ვიდრე
however; but	ხოლო
on the other hand; but	კი
or (either or)	ან (...ან)
or; if	თუ OR თუკი
sometimes	ხან (...ხან)
but; however	არამედ
because	იმიტომ
therefore	ამიტომ
because of/for	რადგანაც
<i>id est</i> (i.e.), that is	ესე იგი

or else	თორემ
which	რომელიც
such as	როგორიც
that; whatever	რაც
whoever	ვინც
however	როგორც
as many/much	რამდენიც
maybe, perhaps	იქნებ
(affirmative)	ხომ
really? (in doubt)	განა
(order intensification)	აბა
I wish/wonder	ნეტავი OR ნეტავ
already	უკვე
almost	თითქმის OR ლამის OR კინაღამ
apparently, it seems	თურმე
(repetition of an action)	ხოლმე

3. Conjugation of the verb “to sit” ჯდომა. This verb changes in plural.

	Present	Past	Future
I s.	ვზივარ	ვიჯექი / დავჯექი	ვიჯდები / დავჯდები
II s.	ზიხარ	იჯექი / დაჯექი	იჯდები / დაჯდები
III s.	ზის	იჯდა / დაჯდა	იჯდება / დაჯდება
I pl.	ვსხედვართ	ვისხედით / დავსხედით	ვისხდებით / დავსხდებით
II pl.	სხედხართ	ისხედით / დასხედით	ისხდებით / დასხდებით
III pl.	სხედან	ისხდნენ / დასხდნენ	ისხდებიან / დასხდებიან

4. Conjugation of the verb “to stand” დგომა.

	Present	Past	Future
I s.	ვდგავარ	ვიდექი / დავდექი	ვიდგები / დავდგები
II s.	დგახარ	იდექი / დადექი	იდგები / დადგები
III s.	დგას	იდგა / დადგა	იდგება / დადგება
I pl.	ვდგავართ	ვიდექით / დავდექით	ვიდგებით / დავდგებით
II pl.	დგახართ	იდექით / დადექით	იდგებით / დადგებით
III pl.	დგანან	იდგნენ / დადგნენ	იდგებიან / დადგებიან

5. Conjugation of the verb “to lie” წოლა.

	Present	Past	Future
I s.	ვწევარ	ვიწეცი / დავწეცი	ვიწვები / დავწვები
II s.	წევხარ	იწეცი / დაწეცი	იწვები / დაწვები
III s.	წევს	იწვა / დაწვა	იწვება / დაწვება
I pl.	ვწევართ	ვიწეცით / დავწეცით	ვიწვებით / დავწვებით
II pl.	წევხართ	იწეცით / დაწეცით	იწვებით / დაწვებით
III pl.	წვანან	იწვნენ / დაწვნენ	იწვებიან / დაწვებიან

Texts

ქართულ ენაში არის ასეთი რთული სიტყვები: შარვალ-კოსტიუმი, წვერ-ულვაში, პირი-სახე, ცხვირ-პირი, დანა-ჩანგალი, ტყე-ველი, მთა-ბარი, ავ-კარგი, სიკვდილ-სიცოცხლე, შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი, კარ-ფანჯარა, სახლ-კარი. ეს მარტივი წინადადებაა თუ რთული?

- გალიმება გიხდება. ღიმილი ხომ ყოველთვის სასიამოვნოა. ხომ კარგ გუნებაზე ხარ?
- ცხოვრება რთულია, მაგრამ სიყვარული მაინც მარადიულია. - შენ რას იტყვი? - მე არაფერს ვიტყვი, ისე დავჯდები, სიჩუმე გიყვარს?
- მე მიმაჩნია, რომ ეს ახალგაზრდა ქალი ცოტა მსუქანია, მაგრამ ძალიან მოხერხებულია. შენ კი მოუხერხებელი ხარ. შენ თუმცა გამხდარი ხარ, მაინც აშკარად მოუხერხებელი ხარ. შეხედე, ეს ახალგაზრდა ქალი როგორ დაჯდა დაბალ სკამზე და რა ლამაზად ზის. - ნუ მოდიხარ აქ. არა უშავს რა. იდეცი, სადაც დგახარ. აქ სკამები დაკავებულია და ვერ დაჯდები. - ის ქალი, რომელიც აქ იდგა, ახლა სად ზის? - არ ვიცი, აქ სხვები სხედან. - ძალიან საწყენია, თუ უკვე წავიდა. მე ხომ მასთან საქმე მაქვს.
- ის დაბალი და მსუქანი კაცი რა პროფესიისაა, თუ იცით?
- მე მგონი, ექიმია და როგორც ამბობენ, ძალიან კარგი სპეციალისტია.
- არ ვიცი, თუ როგორი სპეციალისტია, მაგრამ ის ვიცი, რომ ძალიან კარგი მამაა და შესანიშნავი შვილები ჰყავს.
- ზრდილობა განსაკუთრებით კარგი თვისებაა ადამიანში. არ მიყვარს უზრდელი ბავშვები.

– რა თქმა უნდა.

Exercises

1. Translate:

- a) ესენი თქვენი მეზობლები არიან? სად მიდიან? რატომ დგანან აქ?
- b) – ეს ნივთი იმ ბავშვს მივეცი და მან კი ეს საგნები მომცა. – რა საგნებია?
- c) ეს გამხდარი მაღალი გოგო აშკარად უზრდელია. როგორ დგას?!
- d) ლომი წევს გალიაში მშიერ-მწყურვალს, მე კი ჩემს სახლში მივდივარ სადილად. მგელივით მშია და ცუდ ხასიათზე ვარ.
- e) ჩემი მასწავლებელი კლასში მიდის. გაბრაზებულია ჩემზე. მან გუშინ მომცა საშინაო დავალება და მე კი არ გავაკეთე. ახლა ძალიან ვწუხვარ ამის გამო.
- f) – რას იზამ, ახლა გვიანია. – მე კი გუშინ მთელი დღე ვიჯექი და ყველაფერი გავაკეთე.
- g) ეს საინტერესო წიგნი მომცა ჩემმა მეზობელმა ქალმა.
- h) მე მგონია, რომ მას არ მოსწონს წიგნის თხოვება.
- i) რა საწყენია, რომ ჩემი მიზეზით წევხართ საავადმყოფოში. ძალიან ვწუხვარ.
- j) მითხარით ამის მიზეზი?
- k) ვერ გავიგე, რა მიზანი გაქვთ, ამას რომ აკეთებთ? მართლაც ძალიან საწყენია.
- l) რა უჩვეულო ქაოსია შენთან. შენ ხომ წესრიგი გიყვარს და ახლა რა ხდება?
- m) ეს ძალიან უჩვეულო ამბავია, მაგრამ რას იზამ?
- n) – მე აბსოლუტურად არ მომწონს ამ ბავშვის ქცევა. მას აშკარად ზრდილობა არა აქვს. თქვენი აზრით, ეს ბავშვი უზრდელია? – დიახ! მე ის უზრდელად მიმაჩნია.
- o) არავითარ შემთხვევაში არ დავჯდები მასთან. მე ის ძალიან არ მომწონს. ის უზრდელი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

2. Translate:

- a) He gave me the book. She'll give it to me tomorrow.
- b) Complex words in Georgian are: beards and mustaches, eyes and eyebrows, a knife and fork, forests and valleys, death and life, house and yard, doors and windows, mountains and valleys, bad and good, bare-naked, hungry and thirsty, suit and trousers and etc.

- c) I consider him impolite. Do you like his behavior?
- d) It's absolute silence! Tell me one sentence. Tell me one word! Do it once or twice!
- e) I won't go there. I'll lie in my bed tomorrow, I'm ill.
- f) What is your goal?
- g) What is the reason for this?
- h) I consider that you are very fat, although you are nice.
- i) He gave me the most part of his things, but I want more.
- j) Where do they go? Where did they go?

3. Translate:

- a) ეს რთული სიტყვებია: წვერ-ულვაში, თვალ-წარბი, დანა-ჩანგალი, ტყე-ველი, მთა-ბარი, ავ-კარგი, შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი, შარვალ-კოსტიუმი, კარ-ფანჯარა, სახლ-კარი, სიკვდილ-სიცოცხლე.
- b) – იცით თუ არა, რა არის სიკვდილ-სიცოცხლე? – მე მიმაჩნია, რომ ეს მთელი ცხოვრებაა. ეს ხომ ერთი ლამაზი სიზმარია. – ზღაპრებს ჰყვები? – არა, მე აბსოლუტურ სიმაართლეს ვამბობ.
- c) – სად ცხოვრობენ ვარსკვლავები და სად მიდის ქარი? – ეგ, აბა, ვინ იცის.
- d) სად მიდის მზე? რატომ მოდის მთვარე ზეცაზე? რა არის ჩვენი სამყარო? ვინ არის ადამიანი? როგორც ამბობენ, რა არის ჩვენი ცხოვრება?
- e) რა საწყენია, რომ შეუძლოდ ხართ. ღიმილი ხომ ძალიან გიხდებათ.
- f) ქალმა, რომელიც აქეთკენ მოდის, სხვათაშორის, იცის ამ ცხოვრების ავ-კარგი.
- g) ეს მარტივი არაა. ბიძაჩვენი აქ მოდის და თანაც გაბრაზებულია ჩვენზე.

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases.

Lesson 20

Vocabulary

the same kind	ერთნაირი
the same	იგივე
content	შინაარსი
meaning	მნიშვნელობა
noisy	ხმაური
awkward	უხერხული
ticket	ბილეთი
space	სივრცე
place	ადგილი
strange	უცნაური
amazing	საოცარი
item	საკითხი
question	კითხვა, შეკითხვა
tonight	ამალამ
philosophy	ფილოსოფია
serious	სერიოზული
pear	მსახლი
peach	ატამი
apricot	გარგარი
plum	ქლიავი
fig	ლელვი
cherry	ბალი
sour cherry	ალუბალი
strawberry	მარწყვი
blackberry	მაყვალი
raspberry	ჟოლო
orange	ფორთოხალი
tangerine	მანდარინი
watermelon	საზამთრო
melon	ნესვი

coconut	ქოქოსი
banana	ბანანი
pineapple	ანანასი
walnut	ნიგოზი, კაკალი
nut; hazelnut	თხილი
peanut	მიწის თხილი
almond	ნუში
chestnut	წაბლი
raisin	ქიშმიში
cinema	კინო, კინოთეატრი
film	ფილმი
painting	ნახატი

Phrases

don't worry	ნუ ღელავ(თ)
don't be nervous; don't worry	ნუ ნერვიულობ(თ)
as it seems	როგორც ჩანს
it means	(ეს) ნიშნავს

Grammar

1. In old Georgian there were other affixes for noun plurality.

Nom.	კაცნი	დედანი	ხენი	წყარონი
Erg.	კაცთა	დედათა	ხეთა	წყაროთა
Dat.	კაცთა	დედათა	ხეთა	წყაროთა
Gen.	კაცთა	დედათა	ხეთა	წყაროთა
Instr.	-----	-----	-----	-----
Adv.	-----	-----	-----	-----
Voc.	კაცნო	დედანო	ხენო	წყარონო

In modern Georgian these forms are used in some forms: საბჭოთა კავშირი (“Soviet Union”), მწერალთა კავშირი (“Writers’ Union”), მხატვართა კავშირი (“Painters’ Union”), etc.

2. Derivation is very rich in Georgian.

Opposition is produced by the prefix “ანტი-” (“anti-”).

Examples: ანტირუსული (“anti-Russian”), ანტიქართული (“anti-Georgian”).

A principle of belief is produced by the suffix “-იზმი” (“-ism”).

Examples: კომუნიზმი (“communism”), კაპიტალიზმი (“capitalism”).

An agent of action or promoter of belief is produced by the suffix “-ისტი” (“-ist”).

Examples: კომუნისტი (“communist”), კაპიტალისტი (“capitalist”).

Likeness is produced by the suffixes: -ნაირი, -თანა, -ფერი, -გვარი.

Examples: კაცისთანა (“like a man”), კაცისნაირი (“like a man”), ჩემფერი (“like me”), შენგვარი (“like you”).

Geographical names are produced by the affixes: სა---ო, სა---ეთ-, -ეთ-.

Examples: საქართველო, საფრანგეთი, რუსეთი.

Destinative meaning (“for”) is produced by the affixes: სა---ე, სა---ო, სა---ურ-.

Examples: საქათმე (“for the hens”), საზღვაო (“for the sea”), საფეხური (“for step”).

სა---ურ- is seldom used: სათაგური (“for a mouse”).

Abstract nouns are produced by: სი---ე, -ობა, -ება.

Examples: სილამაზე (“beauty”), ბავშვობა (“childhood”), ბედნიერება (“happiness”).

Origin is produced by: -ელ- (only used for humans), -ურ-/-ულ- (only used for things), -იურ-, -დელ-, -ეულ-.

Examples: თბილისელი (“Tbilisian”), ქართული (“a Georgian [thing]”), გუშინდელი (“from yesterday”), მზიური (“sunny”), დედისეული (“from a mother”).

Specialty is produced by: მე---ე and მე---ურ- (less used).

Examples: მებაღე (“gardener”), მეზღვაური (“sailor”).

Diminutive forms are produced by: -იკ(ა), -იკო, -უკ-, -ა, -ილო/-ილა, -უნ-. The first two suffixes “-იკ(ა)” and “-იკო”, are widely used for personal nouns.

Examples: ბესიკი, თამრიკო, სოსიკა; ანუკი, ვაჟა, თამილა, დედილო, მამილო, თამუნა, კაცუნა (“a small man” – satirically).

Previous situation is produced by affixes: ნა---ევ- and ნა---არ-.

Examples: ნაცოლარი (“a man who had a wife before”), ნაქმრევი (“a woman who had a husband before”).

Possessive forms are produced with: -იან-, -ოსან-, -ოვან-, (-ედ- and -ა are used very seldom).

Examples: ცოლიანი (“a married man with a wife”), ქმრიანი (“a married woman with a husband”), გულოვანი (“brave”), გონი (“brain”), გონიერი (“clever”), ღონე (“strength”), ღონიერი (“strong”).

Negative forms are produced by: უ---ო and უ---ურ-.

Examples: უხელო (“without a hand”), უწიგნური (“uneducated”).

3. The Georgian verb has three series and 11 so called *screeves* (მწკრივები – “rows”) of conjugation. There are 11 rows of conjugation in Georgian, however in this lesson we will only look at the first six in the I series (აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი, მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი).

a) The 1st row is აწმყო (present indefinite or present continuous).

“I paint/write,” or “I am painting/writing.”

I s.	ვხატავ	ვწერ	I pl.	ვხატავთ	ვწერთ
II s.	ხატავ	წერ	II pl.	ხატავთ	წერთ
III s.	ხატავს	წერს	III pl.	ხატავენ	წერენ

b) The 2nd row is უწყვეტელი (past continuous). The final “ი” is the marker of this row.

“I was painting/writing” (or “I used to paint/write” with “ხოლმე” – a particle of repeated verbal action).

I s.	ვხატავდი	ვწერდი	I pl.	ვხატავდით	ვწერდით
II s.	ხატავდი	წერდი	II pl.	ხატავდით	წერდით
III s.	ხატავდა	წერდა	III pl.	ხატავდნენ	წერდნენ

c) The 3rd row is აწმყოს კავშირებითი (present subjunctive). These forms are used in complex sentences, with the conjunctions “ნეტავ” (“I wonder”) or “იქნებ” (“probably”). The final “ე” is the marker of this row.

“If I (should) be painting/writing...”

I s.	ვხატავდე	ვწერდე	I pl.	ვხატავდეთ	ვწერდეთ
II s.	ხატავდე	წერდე	II pl.	ხატავდეთ	წერდეთ
III s.	ხატავდეს	წერდეს	III pl.	ხატავდნენ	წერდნენ

The next three rows of the *მყოფადი* group repeat the three previous rows with preverbs.

d) The 4th row is *მყოფადი* (future).

“I will paint/write.”

I s.	დავხატავ	დავწერ	I pl.	დავხატავთ	დავწერთ
II s.	დახატავ	დაწერ	II pl.	დახატავთ	დაწერთ
III s.	დახატავს	დაწერს	III pl.	დახატავენ	დაწერენ

e) The 5th row is *ბოლმეობითი* (past conditional). The final “ი” is the marker of this row.

“I would paint/write.”

I s.	დავხატავდი	დავწერდი	I pl.	დავხატავდით	დავწერდით
II s.	დახატავდი	დაწერდი	II pl.	დახატავდით	დაწერდით
III s.	დახატავდა	დაწერდა	III pl.	დახატავდნენ	დაწერდნენ

f) The 6th row is *მყოფადის კავშირებითი* (future subjunctive). The final “ე” is the marker of this row.

“If I were to paint/write.”

I s.	დავხატავდე	დავწერდე	I pl.	დავხატავდეთ	დავწერდეთ
II s.	დახატავდე	დაწერდე	II pl.	დახატავდეთ	დაწერდეთ
III s.	დახატავდეს	დაწერდეს	III pl.	დახატავდნენ	დაწერდნენ

Texts

– დავწერ ლექსს და დავხატავ რამეს. მაგიდაზე ხილია. ყველაფერი აქ არის, რაც გინდა, მსახლი, ატამი, გარგარი, ქლიავი, ლეღვი, ბალი, ალუბალი, მარწყვი, ჟოლო, მაცვალი, ფორთოხალი, მანდარინი, ბანანი, საზამთრო, ნესვი, ქოქოსი, თხილი, ნიგოზი, კაკალი, წაბლი, მიწის თხილი, ქიშმიში, ნუში, ანანასი და ვაშლი. ერთნაირი ხილი ერთ ადგილასაა. – მე ამას ვერ დავხატავ. ჩემთვის ცოტა ძნელია, აქ ბევრი ხილია და ამ ყველაფრის დახატვა მართლაც ადვილი არაა.

- ამ მხატვრის ნახატები სულაც არ მომწონს, თუმცა მომხიბლავი ფერები აქვს, მაგრამ არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ვერ ვიგებ, რას ნიშნავს ეს სივრცე აქ? – ალბათ, ეს სერიოზული მხატვრობაა და სერიოზული საკითხებია აქ, როგორც ჩანს. – სამწუხაროდ, მე კი ვერ ვიგებ ვერაფერს. – ნუ ღელავ, არა უშავს, თუ არ მოგწონს. ისე, ეს ჩემი ნახატებია. – რად გინდოდათ ამდენი ფილოსოფია?
- ეს წერილი, მე რომ მოგეცი, სად არის? ამის შინაარსი ჩემთვის ჯერაც უცნობია. მე მაქვს ორი ბილეთი და ამაღამ მივდივარ კინოში. ვინ მოდის ჩემთან ერთად? არავის უნდა წამოსვლა?
- სიამოვნებით წავალ კინოში თქვენთან ერთად. რა ფილმია?
- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ საინტერესოა. ამ ცხოვრების ფილოსოფიაზეა.
- გასაგებია.

Exercises

1. Translate:

- a) – ეს საკითხი, როგორც ჩანს, ფილოსოფიურია. – ეტყობა, ასეა.
- b) რომელი ხილი გიყვართ – ვაშლი, ჟოლო, მაცვალი, ფორთოხალი, მანდარინი, ბანანი, საზამთრო, ნესვი, მსახლი, ატამი, გარგარი, ქლიავი, ლეღვი, კაკალი, ბალი, ალუბალი, მარწყვი?
- c) საერთოდ მე მომწონს ქოქოსი, თხილი, ნიგოზი, წაბლი, მიწის თხილი, ქიშმიში, ნუში და ანანასი.
- d) აქ რა ხმაურია? ეს ძალიან უხერხული ადგილია ჩვენთვის.
- e) ამ სიტყვებს ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.
- f) მითხარი, რა შინაარსი ჰქონდა ფილმს? მომიყევი.
- g) – ვისა აქვს ბილეთი? – ეს რთული საკითხია.
- h) გუშინწინ კინოში ვიყავით და საინტერესო ფილმი ვნახეთ, დღეს კი ისეთი უინტერესო ფილმია, რომ ვერ გავიგე დასაწყისი და დასასრული. არ მესმის ამის მნიშვნელობა და შინაარსი. რა ხდება და რატომ ხდება?
- i) ეს სერიოზული ფილოსოფიაა. არასერიოზულია თუ უსერიოზულესი?
- j) – ჩემი აზრით, ამაღამ ხმაური უხერხულია. – ნუ ნერვიულობთ.

2. Translate:

- a) I love fruit – walnuts, hazelnuts, peanuts, almonds, chestnuts, raisins, tangerines, watermelons, melons, coconuts, bananas and apples.
- b) Do you have some nuts or walnuts?
- c) Did they paint this wide space and the sea?
- d) I don't understand the meaning and the content of this film. It's not serious.
- e) It was a very uninteresting film, but I had the ticket and we went to the cinema.
- f) Don't worry, I'll write a letter to you and I'll come to you.
- g) It seems, they didn't write their homework.
- h) This means, that it's awkward.
- i) This place has much space. I like it.
- j) You don't need much philosophy. Sit down and eat this food.

3. Please conjugate the verb “to make” კეთება in the I series. Example: ვაკეთებ, ვაკეთებდი, ვაკეთებდე, etc...

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate transitive verbs in the I series.

Lesson 21

Vocabulary

full	სავსე
empty	ცარიელი
chandelier	ჭადი
fireplace	ბუხარი
grand piano	როიალი
candlestick	შანდალი
candle	სანთელი
vase	ვაზა
study	კაბინეტი
bedroom	საძინებელი
living room	სასტუმრო ოთახი, მისაღები
dining room	სასადილო ოთახი
wine room	მარანი
kitchen	სამზარეულო
toilet; toilet (room)	ტუალეტი
shower	დუში
mattress	ლეიბი
pillow	ბალიში
blanket	საბანი
fence	ღობე
apartment, flat	ბინა
ceramic wine pot (put in the ground)	ქვევრი
basket	კალათა
horn (for drinking wine out of)	ყანწი
to close	დაკეტვა, დახურვა
to open	გაღება, გახსნა
to tear	დახევა
to cut	გაჭრა
key	გასაღები
padlock	ბოქლომი

garage	ავტოფარეხი, გარაჟი
square	მოედანი

Phrases

I can't do everything, can I?	განა ყველაფერი შემიძლია?
I'm not one who can do everything	ყოველისშემძლე ხომ არ ვარ.
why did you bother?	რატომ შეწუხდით?
there was no demand (of it)	არ იყო საჭირო.
I (don't) agree	(არ) გეთანხმები (with you) ვეთანხმები (with him/her/them)
that's better	ასე ჯობია OR უმჯობესია

Grammar

1. The II series has only two rows: წყვეტილი (აორისტი) – aorist and მეორე კავშირებითი – II subjunctive.

a) The 7th row is წყვეტილი or აორისტი (aorist). It refers to a general past. It is past indefinite with a preverb or past continuous without a preverb. The forms with preverbs could be also translated as past/present perfect, because it is an accomplished act. The marker of the row is “ე”.

“I painted/wrote,” or “I have/had painted/written.”

I s.	(და)ვხატე	(და)ვწერე	I pl.	(და)ვხატეთ	(და)ვწერეთ
II s.	(და)ხატე	(და)წერე	II pl.	(და)ხატეთ	(და)წერეთ
III s.	(და)ხატა	(და)წერა	III pl.	(და)ხატეს	(და)წერეს

Imperatives take form from this row: (და)ხატე! (და)წერე! (და)ხატეთ! (და)წერეთ!

b) The 8th row is მეორე კავშირებითი (II subjunctive or optative). This row is used in complex sentences with proper conjunctions such as: რომ, ნეტავ, იქნებ, etc. This row is also used in the second verbal part with modal verbs (may, can, must): მინდა გააკეთო (“I want to do [it]”), უნდა გააკეთოს (“he/she must do [it]”), შეუძლია დაწეროს (“he/she can write”), არ შეუძლია დახატოს (“he/she can't paint”), შეუძლია არ დახატოს (“he/she is able to not paint”), etc. The marker of the row is “ო”.

“I must paint/write” (უნდა დავხატო/დავწერო) or “it’s necessary, that I paint/write” (საჭიროა, რომ დავხატო/დავწერო).

I s.	(და)ვხატო	(და)ვწერო	I pl.	(და)ვხატოთ	(და)ვწერთ
II s.	(და)ხატო	(და)წერო	II pl.	(და)ხატოთ	(და)წერთ
III s.	(და)ხატოს	(და)წეროს	III pl.	(და)ხატონ	(და)წერონ

These forms are used as negative imperatives: არ (და)ხატო! არ (და)წერო!
არ (და)ხატოთ! არ (და)წერთ!

Only this row could be used for the both types of imperatives (positive and negative) for the I and the III persons: (და)ვხატოთ! (და)ვწერთ! (და)ხატოს! (და)წეროს!
(და)ხატონ! (და)წერონ! არ (და)ვხატოთ! არ (და)ვწერთ! არ (და)ხატოს! არ (და)წეროს!
არ (და)ხატონ! არ (და)წერონ!

2. One difference between the I and the II series is the marker of theme – the so called თემის ნიშანი, which appears in the I series and not in the II series. Compare: I series – (და)ვხატ-ავ and II series – ხატ-Ø-ე.

Verbs may have these suffixes as markers of theme:

- ავ – ვხატავ (“I paint”), ვკლავ (“I kill”), ვმარხავ (“I bury”), ვხურავ (“I close”), ვხარშავ (“I boil”), ვხუჭავ (“I close [somebody's] eyes”), ვფლანგავ (“I waste money/time”), ვძრავ (“I move”), ვზიდავ (“I carry”), ვკითხავ (“I ask”), ვმალავ (“I hide”), ვბამავ (“I imitate”), ვპარავ (“I steal”), ვნოსავ (“I sniff”), ველაპავ (“I swallow”), ვხედავ (“I look”), ვნახავ (“I see”), etc.
- ამ – (seldom used) ვდგამ (“I stand”), ვაბამ (“I tie”).
- ემ – is used only with this one verb, which changes its meaning by adding different preverbs: მივცემ (“I will give”), გავცემ (“I will give away”), დავცემ (“I knock down”).
- ოვ – is used only with this one verb with different preverbs changing the word meaning: გავყოვ (“I divide”), დავყოვ (“I part”), შევყოვ (“I put in”), მივყოვ (“I follow”).
- ო – ვთხრი (“I dig”), ვსვრი (“I dirty [it]”), ვზრდი (“I up-bring”), ვცდი (“I examine/try”), ვცვლი (“I change”), ვთვლი (“I count/consider”), ვცლი (“I empty”), ვჭრი (“I cut”), ვშლი (“I open”), ვყრი (“I throw away”). Many of these will have the vowel “ა” in the root of the II series. Compare: ვთხრი-ვთხარე, ვცლი-ვცალე, ვშლი-ვშალე, ვყრი-ვყარე, etc.
- ებ – (very often used) ვაკეთებ (“I make/do”), ვაშენებ (“I build”), ვაწითლებ (“I make [it] red”), ვაყვითლებ (“I make [it] yellow”), etc.

-ობ – ვსწავლობ (“I study”), ვხუმრობ (“I joke”), ვცხოვრობ (“I live”), ვთამაშობ (“I play”), ვნადირობ (“I hunt”), ვვაჭრობ (“I trade”), etc.

3. A few verbs have the same forms for the I and the II series as don't have any thematic markers: ვწერ (“I write”), ვჭამ (“I eat”), ვტეხ (“I break”), ვრეცხ (“I wash”), ვთხოვ (“I ask for”), ვბან (“I wash [somebody]”).

There is also another group of verbs that change a vowel (ე→ი) inside the root – having “ე” in the I series and “ი” in the II series: ვგლეჯ – ვგლიჯე (uproot), ვდრეკ – ვდრიკე (bend), ვზელ – ვზილე (stir), ვგრეხ – ვგრიხე (twist), ვჩხრეკ – ვჩხრიკე (search), ვჩხვლეტ – ვჩხვლიტე (prick), ვჭყლეტ – ვჭყლიტე (to crush).

In some dialects these forms are used with the “-ავ” suffix.

Text

– მინდა გავაკეთო დღეს რამე საინტერესო! შენ რა უნდა აკეთო? გინდათ დახატოთ შინაური ცხოველები? – მას შეუძლია არ დახატოს შინაური ფრინველები და ცხოველები და თუ უნდა, თავისი ბინა დახატოს. ასე ჯობია. მან დახატა თავისი სახლი ეზოთი და მაღალი ღობით. მისი სახლი არის ქალაქის დიდ მოედანთან. მას ეზოში აქვს ავტოფარეხიც. მისი ბინა კი არის სამოთახიანი. მას აქვს საძინებელი, კაბინეტი და მისაღები, აგრეთვე იქ არის სამზარეულო და აბაზანა ტუალეტით. – მან რომელი ოთახი დახატა? – გუშინწინ მან ჯერ დახატა საძინებელი, სადაც არის საწოლი ლეიბით, საბნითა და ორი ბალიშით. იქვეა ტანსაცმლის კარადა და იატაკზე ლამაზი ფერადი ხალიჩა. გუშინ ის მთელი დღე ხატავდა მისაღებ ოთახს როიალზე შანდლებით, შანდლებში სანთლებით, ბუხრით, ჭერზე დიდი ჭაღით და ფერადი ვაზებით ფანჯრებთან. ახლა ის ხატავს მარანს, სადაც არის დიდი ხილით სავსე კალათა, ღვინით სავსე ქვევრები და მაგიდაზეა ცარიელი ყანწები. ხვალ მან უნდა დახატოს სამზარეულო და აბაზანა ან სასადილო ოთახი. – რას დახატავს ის ხვალ? – ის ხვალ, ალბათ, დახატავს თავის მშობლებსა და ნათესავებს. – კარგი იქნება, მეც რომ ასე ვხატავდე. ნეტავ ასე ვხატავდე, ან ლექსებს მაინც ვწერდე შენსავით.

Exercises

1. Translate:

a) შემიძლია ამ კარების დაკეტვა და გაღება ამ გასაღებით.

- b) ჩემს ავტოფარებს აქვს ახალი ბოქლომი.
- c) განა ყველაფერი შემიძლია? ყოვლისშემძლე ხომ არ ვარ!
- d) რატომ შეწუხდით? არ იყო საჭირო. არ გეთანხმები.
- e) – მითხარი, რა გქვია? მითხარი, რა დავხატო შენთვის? გინდა, ლექსი დავწერო შენზე? – ასე ჯობია. უმჯობესია, ერთი კარგი ლექსი დაწერო ბუნებაზე, საერთოდ, ლექსების წერა თუ შეგიძლია, რა თქმა უნდა.
- f) მათ უნდა დაწერონ სერიოზული მოთხრობები სიყვარულზე და საერთოდ, ამ სამყაროზე. უმჯობესია, ეს არ დაწერონ.
- g) – შეგიძლია, დაწერო საშინაო დავალება? – რა საკვირველია, შემიძლია და ახლავე დავწერ.
- h) უთხარი, წეროს და ხატოს! მათ წერონ! არ წერონ! არ დაწერონ არაფერი თქვენს შესახებ, რომ დაწერონ, განა ეს საწყენი იქნება?
- i) დახატეთ ეს ხილით სავსე მაგიდა. არ დახატოთ ცარიელი კალათა, მირჩვენია, ხილით ან ბოსტნეულით სავსე დახატოთ. უმჯობესია, ასე დახატოთ.
- j) ეს სტუდენტები დახატავენ ყველაფერს, რასაც თქვენ იტყვიან. მათ არ დაწერეს საშინაო დავალება. ეს კი საწყენია. ახლა თუ უნდათ, დახატონ რამე.

2. Translate:

- a) Paint this picture! Let them write this letter.
- b) – I can't do anything. I can't open this door. – Here is the key.
- c) Did you paint your flat? What did you paint?
- d) What will they paint tomorrow? What they want to paint?
- e) – I must write a letter to my mother. – I agree with you.
- f) You can go, or you can paint it for this small child.
- g) I can write a poem. I can also paint a picture for you.
- h) Who can write a story about it?
- i) I was writing it all day long. I will write it tomorrow too.
- j) – Did you paint this basket empty or with food? – I prefer to paint it with food. – OK. That's better. I agree.

3. Conjugate these verbs in the I and II series:

a) Conjugate like the verb ვხატავ:

(და)ვმარხავ (bury)	(და)ვხურავ (close)	(მო)ვხარშავ (boil)
(და)ვხუჭავ (close eyes)	(მო)ვზიდავ (carry)	(და)ვმალავ (hide)
(მი)ვბაძავ (imitate)	(მო)ვპარავ (steal)	(და)ვყნოსავ (sniff)
(გადა) ვყლაპავ (swallow)	(და) ვხედავ (look)	(მო)ვნახავ (see)
(გა)ვფლანგავ (waste money/time)		

b) Conjugate like the verb ვწერ:

(შე)ვჭამ (eat)	(გა)ვტეხ (break)	(გა)ვრეცხ (wash)
(მო)ვთხოვ (ask for)	(და)ვბან (wash somebody)	

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate transitive verbs in the II series.

Lesson 22

Vocabulary

vacuum cleaner	მტვერსასრუტი
dustpan	აქანდაზი
broom	ცოცხი
iron	უთო
laundry	სარეცხი
laundry detergent	სარეცხის ფხვნილი
washing machine	სარეცხის მანქანა
shampoo	შამპუნი
soap	საპონი
towel	პირსახოცი
comb	სავარცხელი
toothpaste	კბილის პასტა
toothbrush	კბილის ჯაგრისი
brush	ჯაგრისი
shelf	თარო
toilet paper	ტუალეტის ქაღალდი
tap, faucet	ონკანი
sink	ნიჟარა
razor	საპარსი
to dry	გამშრალეზა
to shave	გაპარსვა
to clean	გაწმენდა
to wash (something)	გარეცხვა
to wash (somebody)	დაბანა
to brush	გახეხვა
to dry	გამშრალეზა
to polish	გაპრიალეზა
to put in order	დალაგება, ალაგება
to sweep	დახვეტა
to iron	გაუთოება

to comb	დავარცხნა
to fold	დაკეცვა
to hang	დაკიდება

Phrases

to clean/wipe dust	მტვრის გადაწმენდა
to make a bed	ალაგება ლოგინის
make your bed!	აალაგე შენი ლოგინი!
I made my bed	მე ავალაგე ჩემი ლოგინი
wash it!	გამირეცხე! (for me)
	გაურეცხე! (for him/them)
iron it!	გამიუთოვე! (for me)
	გაუუთოვე! (for him/them)
polished (like a mirror)	დააწკრიალა (სარკესავით)
why not?	რატომაც არა!

Grammar

1. The III series has three rows. In this series ONLY transitive verbs have inversion. The subject is exposed by the markers of object and the object is exposed by the markers of subject.

Compare:

I Series “I paint it.” მე (S.) ვხატავ მას (O.d.)

III Series “It seems, I have painted it.” მე (S.) და \bar{m} ხატავს ის (O.d.)

In the first example “ვ-” is the I person subject marker, but in the second example the marker for the I person subject is “მ-”, which is usually the I person object marker and the III person object is exposed by the subject marker “-ს”.

2. The 9th row is პირველი თურმეობითი (perfect). “თურმე” means “it seems”. This is unreal act. The subject did the action, but either he/she (the subject) didn’t remember it, or he/she didn’t see it.

“It seems, I have painted/written it.”

I s.	დამხატავს	დამიწერია	I pl.	დაგვიხატავს	დაგვიწერია
II s.	დაგხატავს	დაგიწერია	II pl.	დაგხატავთ	დაგიწერიათ
III s.	დაუხატავს	დაუწერია	III pl.	დაუხატავთ	დაუწერიათ

a) The direct object usually doesn't have any markers for the III person, but in case of INVERSION (in the III series) it uses the markers of the subject. (Note: only transitive verbs have inversion.)

b) Verbs with thematic markers have them in this series. Compare:

I Series	ვხატავ / დავხატავ	ვწერ / დავწერ
II Series	ვხატე / დავხატე	ვწერე / დავწერე
III Series	დამიხატავს	დამიწერია

c) The forms of this row are widely used for negative forms: არ დამიხატავს (“I haven't painted it”), არ დამიწერია (“I haven't written it”). In such forms the sense of თურმე “it seems” (unreal action) is missing. Negative forms of the aorist sound more principal and categorical: არ დავხატე! (“I didn't paint it!”) არ დავწერე! (“I didn't write it!”)

3. The 10th row is მეორე თურმეობითი (past unreal subjunctive conditional or pluperfect).
“If I had painted/written it...”

I s.	დამეხატა	დამეწერა	I pl.	დაგვეხატა	დაგვეწერა
II s.	დაგეხატა	დაგეწერა	II pl.	დაგეხატათ	დაგეწერათ
III s.	დაეხატა	დაეწერა	III pl.	დაეხატათ	დაეწერათ

4. The 11th row is მესამე კავშირებითი (III subjunctive conditional or perfect subjunctive). The last 11th row is very seldom used in modern Georgian. (But it's widely used in the forms for toasting.)

“I wish I could paint/write.”

I s.	დამეხატოს	დამეწეროს	I pl.	დაგვეხატოს	დაგვეწეროს
II s.	დაგეხატოს	დაგეწეროს	II pl.	დაგეხატოთ	დაგეწეროთ
III s.	დაეხატოს	დაეწეროს	III pl.	დაეხატოთ	დაეწეროთ

5. The cases of the subject and direct object in transitive verbs:

I Series	კაცი (S.) nom.	ხატავს	სურათს (O.d.) dat.
II Series	კაცმა (S.) erg.	დახატა	სურათი (O.d.) nom.
III Series	კაცს (S.) dat.	დაუხატავს	სურათი (O.d.) nom.

6. The indirect object is always dative and the subject of intransitive verbs is always nominative.

Texts

– მე დღეს ძალიან ბევრი საქმე მაქვს. სახლი უნდა დავალაგო, უნდა გავრეცხო სარეცხი და დავაუთოვო ჩემი ტანსაცმელი. – როგორ უნდა გარეცხო ამდენი სარეცხი?
– სარეცხი მანქანით და ფხვნილით გავრეცხავ. ეს ყველაზე ადვილია. სახლის დალაგება კი ძნელია. ეს ხომ ძალიან დიდი სახლია. შენი დახმარება მინდა. თუ არა გცალია, არა უშავს, საღამოს მაინც მოდი. ახლა კი შუადღისით უნდა გავწმინდო აბაზანის ნიჟარა და იატაკი ამ საღამომდე.

– რა გაქვს აბაზანაში? – კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი, საპონი, შამპუნი და პირსახოცები. იქვეა ცოცხი, აქანდაზი და მტვერსასრუტი.

– ლოგინი აალაგე?

– რა საკვირველია! ჩემი ლოგინი დილით ავალაგე. მე დილაობით ყოველთვის ვალაგებ ჩემს ლოგინს. ახლა ვაპირებ, რომ ჯერ დავხვეტო იატაკი, მერე კი გავწმინდო ფანჯრები და გავაპრილო ეს ვაზები. თუმცა, ჯერ მტვერი უნდა გადავწმინდო მაგიდიდან და კარადებიდან. ამ როიალზეც მტვერია. ესეც უნდა გავწმინდო.

– ეს ბუხარაც მტვერიანია. ამას მე გავწმენდ და გავაპრილებ, თუ შეიძლება?

– რატომაც არა!

Exercises

1. Translate:

a) – როგორ გარეცხე ამდენი სარეცხი? – სარეცხი მანქანით და ფხვნილით გავრეცხე.

b) – შეიძლება, დავკეცო ეს ტანსაცმელი და აქ დავკიდო ქუდი? – რატომაც არა!

c) აუცილებელია, ხელების საპნით დაბანა და პირსახოცით გამშრალება.

d) აქ მტვერია. ეს წიგნის თარო მტვერით არის სავსე. ძალიან მტვერიანია.

e) ნანას გრძელი თმა აქვს და არ მოსწონს თმის დავარცხნა. ამიტომ მისთვის საჭიროა თმის შეჭრა. აუცილებელია.

f) – სად არის დავითის საპარსი? – აბაზანაშია ნიჟარასთან.

- g) ვინ დააწვრიალა ეს სახლი?
- h) – ვინ დახატა ეს სურათი? – მე არ დამიხატავს. – იცით, გუმბინ ნანას დაუხატავს დიდი ლომი.
- i) სამწუხაროდ, საშინაო დავალება არ დამიწერია. დიდი ბოდიში.
- j) გაგიმარჯოთ, ჩემო მეგობრებო, სულ კარგი სურათები დაგეხატოთ და ულამაზესი ლექსები დაგეწეროთ!
- k) კარგი იქნებოდა, რომ დამეწერა წერილი გუმბინ, მაგრამ რატომღაც ვერ დავწერე.
- l) – იქნებ ეს მაინც დაგეხატა ბავშვისთვის?– ვერ დავხატავ ამას. არ დავხატავ!
- m)– შემთხვევით ნანასთვის წერილი ხომ არ დაგიწერია? – არა, არ დამიწერია და არც დავწერ.
- n) ნეტავ დაეხატა ეს სახლი და არ დაეხატა ეგ ქუჩა.
- o) უნდა სკამზე დავკიდო ჩემი ჩანთა და დავკვეცო ტანსაცმელი.

2. Translate:

- a) I wish I could paint as you are painting.
- b) I didn't paint it. I haven't painted it.
- c) Write this letter!
- d) Paint it for my friend. Write it for my friend or for me.
- e) Would you please, paint it for me?
- f) I must make my bed.
- g) I have to clean my house and wash my laundry.
- h) You must clean this room. It's dusty here.
- i) Here are these things: a broom, a dustpan and a vacuum cleaner.
- j) – Where do you have the soap, the shampoo, the tooth paste, the toothbrush, the brush, the comb, the toilet paper and the towels? – In my bath.
- k) There is a sink, a faucet and a shower in the bathroom.
- l) You must wash your clothes in the washing machine. Then you must iron and fold them.
- m) Hang your cap here, please. You may hang it here.
- n) You may brush it here.

o) – Didn't you paint it? – No, I didn't paint it.

3. Conjugate the following verbs in the III series:

a) Conjugate like the verb ვხატავ – დამიხატავს:

(და)ვმარხავ (bury)	(და)ვხურავ (close)	(მო)ვხარშავ (boil)
(და)ვხუჭავ (close eyes)	(მო)ვზიდავ (carry)	(და)ვმალავ (hide)
(მი)ვბამავ (imitate)	(მო)ვპარავ (steal)	(და)ვყნობავ (sniff)
(გადა) ვყლაპავ (swallow)	(და) ვხედავ (look)	(მო)ვნახავ (see)
(გა)ვფლანგავ (waste money/time)		

b) Conjugate like the verb ვწერ – დამიწერია:

(შე)ვჭამ (eat)	(გა)ვტეხ (break)	(გა)ვრეცხ (wash)
(მო)ვთხოვ (ask for)	(და)ვბან (wash somebody)	

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate transitive verbs in the III series.

Lesson 23

Vocabulary

onion(s)	ხახვი
garlic	ნიორი
pepper(s)	წიწაკა
carrot	სტაფილო
cabbage(s)	კომბოსტო
cauliflower	ყავავილოვანი კომბოსტო
beet(s)	ჭარხალი
eggplant	ბადრიჯანი
radish(es)	ბოლოკი
beans	ლობიო
string beans	მწვანე ლობიო
mushroom	სოკო
pumpkin	გოგრა
corn	სიმინდი
lettuce	სალათის ფოთოლი
greens	მწვანილი
milk	რძე
cottage cheese	ხაჭო
sour cream	არაჟანი
alcohol	ალკოჰოლი
cigarette	სიგარეტი
nonsmoker	არამწეველი
fire	ცეცხლი
matches	ასანთი
useful	სასარგებლო
useless	უსარგებლო
package	შეკვრა
pack	კოლოფი
packet	პარკი
box	ყუთი

each (one)	(ერთი) ცალი, თითო, თითოეული
bottle	ბოთლი
roll	რულონი
jar	ქილა
scale	სასწორი
kilo, kilogram	კილო, კილოგრამი
gratitude	მადლიერება
grateful	მადლობელი, მადლიერი
to be left grateful	მადლობელი/მადლიერი დარჩენა
offense	წყენა
to be left offended	ნაწყენი დარჩენა
to stay, to remain, to be left	დარჩენა
charity, kindness	სიკეთე
dirty	ჭუჭყიანი
clean	სუფთა
to put	დადება
to put in/into	ჩადება, ჩაწყობა, ჩალაგება
farmers' market	ბაზარი
cheap	იაფი
expensive	ძვირი
people	ხალხი

Phrases

give me two/three (of something)	მომეცით ორი ცალი/სამი ცალი
smoking is dangerous for your health!	მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის!
don't smoke!	ნუ მოსწევთ! OR აქ არ ეწევიან!
I will be thankful to you	მადლობელი/მადლიერი დაგრჩები
he/she was grateful (to him/her)	მადლობელი/მადლიერი დარჩა
he was offended	ნაწყენი დარჩა
it's very expensive	ძვირია OR ცეცხლი უკიდია

Grammar

1. Georgian verbs have a destination system. The verbs show to whom (to which verbal person) is the verbal act destined or oriented towards. There are three types of version:

- a) Neutral – with prefix markers “-” and “Ø-” (absence of a marker). “I paint it” – ვხატავ.
- b) Subjective – with the prefix marker “ო-”. “I paint it for myself” – ვიხატავ. The verbal act is done for the subject itself.
- c) Objective – with the prefix marker “ო-” for the indirect object of the I and II persons and “უ-” for the indirect object of the III person. Compare: “I paint it for you” – გიხატავ and “I paint it for him/her” – ვუხატავ. The verbal act is performed for the indirect object.

The subjective version exposes the subject acting on its own body and the subject performing the verbal act for his own self. Only two-personal transitive verbs have this form of version. Examples: ვიბან ტანს/პირს (“I wash [my] body/face”), ვივარცხნო თმას (“I comb [my] hair”), ვირეცხავ ტანსაცმელს (“I wash [my] clothes”).

All markers of version are prefixes. They appear after personal prefixes.

2. Compare these two schemes without and with objective version:

a) Without objective version:

S./O.i.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	-----	გხატავ	ვხატავ	-----	გხატავთ	ვხატავ
II s.	მხატავ	-----	ხატავ	გვხატავ	-----	ხატავ
III s.	მიხატავს	გხატავს	ხატავს	გვხატავს	გხატავთ	ხატავს
I pl.	-----	გხატავთ	ვხატავთ	-----	გხატავთ	ვხატავთ
II pl.	მიხატავთ	-----	ხატავთ	გვხატავთ	-----	ხატავთ
III pl.	მიხატავენ	გხატავენ	ხატავენ	გვხატავენ	გხატავენ	ხატავენ

b) With objective version:

S./O.i.	I s.	II s.	III s.	I pl.	II pl.	III pl.
I s.	-----	გინატავ	ვუნატავ	-----	გინატავთ	ვუნატავ
II s.	მინატავ	-----	უნატავ	გვინატავ	-----	უნატავ
III s.	მინატავს	გინატავს	უნატავს	გვინატავს	გინატავთ	უნატავს
I pl.	-----	გინატავთ	ვუნატავთ	-----	გინატავთ	ვუნატავთ
II pl.	მინატავთ	-----	უნატავთ	გვინატავთ	-----	უნატავთ
III pl.	მინატავენ	გინატავენ	უნატავენ	გვინატავენ	გინატავენ	უნატავენ

3. All rows can expose the category of version: Compare:

ვხატავდი ვინატავდი ვუნატავდი
 ვხატავდე ვინატავდე ვუნატავდე
 დავხატო დავინატო დავუნატო

But the forms of the III series never have version, although they are produced by the version markers. These markers don't expose this category in the III series. All forms of version have the same forms in the III series. They don't show any differences. Compare:

Neutral ვხატავ – დამინატავს
 Subjective ვინატავ – დამინატავს
 Objective ვუნატავ – დამინატავს

4. The forms of personal pronouns of the II person (singular and plural) lose the last consonant “ნ” in the vocative case, especially when they are used with nouns:

შენ (nom.) – შენ! or შე კაცო (voc.)

5. The reflexive pronouns are თვითონ or თავად (“himself/herself”); თავისი (“his/her/its own”). These pronouns are produced from თავი (“head”).

Texts

მე ვიყავი ბაზარში და ვიყიდე ბევრი ხილი და ბოსტნეული. შენ ახლა მიდიხარ. დღეს ძალიან იაფია ყველაფერი: არაქანი, ხაჭო, რძე, ხახვი, ნიორი, სტაფილო, კომბოსტო, ლობიო, მწვანე ლობიო, წიწაკა, ყავავილოვანი კომბოსტო, სიმინდი, გოგრა, ჭარხალი, ბადრიჯანი, სოკო, სალათის ფოთოლი, მწვანელი, ბოლოკი და ასე შემდეგ. დღეს ბევრი ხალხია ბაზარში. დღეს ხომ კვირაა. სხვა დროს ხალხი უფრო დაკავებულია.

- მაპატიეთ, მაგრამ ეს ჭუჭყიანი ქილაა და თუ შეიძლება, ის სუფთა ყუთი მომაწოდეთ.
- ეს სხვისია. აი, ინებეთ ახალი და სუფთა პარკი.
- მომეცით ერთი ცალი ყუთი. მადლობელი დაგრჩებით, იმ ქილას თუ მომაწოდებთ.
- ინებეთ.
- მე უნდა ვიყიდო ერთი კოლოფი სიგარეტი და ასანთი. მან უნდა იყიდოს ალკოჰოლიანი სასმელი. - კი, მაგრამ აქ მოწევა არ შეიძლება. აქ არავინ არ ეწევა. განა არ იცით, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის? თქვენ ხომ არამწვევლი ბრძანდებით? უკაცრავად, ეს მაგიდა არამწვევლებისთვისაა. ნუ დარჩებით ნაწყენი. მე არ მინდოდა თქვენი წყენა.

Exercises

1. Translate:

- a) კვირა დღეს ბევრი ხალხია ბაზარში.
- b) - რამდენი კილოა ეს ხახვი? - სამი კილო იქნება. - მე ოთხ-ნახევარი კილო ხახვი და ნიორი მინდა ვიყიდო.
- c) - შენ რამდენი კილო ხარ? რამდენი ვიქნები, შენი აზრით? - მე მგონი, არც ისე მძიმე არ უნდა იყო. - შენ ხომ გამხდარი გოგო ხარ.
- d) აუცილებელია ამ ხილის სუფთა კალათებში ჩაწყობა. ეს უსარგებლო ყუთია.
- e) წიგნის თაროზე ირაკლის წიგნები და რვეულები აწყვია. ჩემი წიგნები კი მაგიდაზე ალაგია და არ აალაგო!
- f) ორი რულონი ტუალეტის ქაღალდი და ერთი ბოთლი თეთრი ღვინო მომეცით.
- g) არაჟანი, ხაჭო და რძე ძვირია, ცეცხლი უკიდია.
- h) სიგარეტის მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის! აქ არ ეწევიან!
- i) - მადლიერი დარჩა, კომბოსტო რომ უყიდეთ? - ყოველ შემთხვევაში, ნაწყენი არ დარჩა.
- j) ხილი და ბოსტნეული სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის.

2. Translate:

- a) I want to buy some vegetables: potatoes, onions, garlic, carrots, cabbages, cauliflower,

eggplants, peppers, pumpkins, corns, beans, radishes, lettuces, greens, beets, string beans and mushrooms.

- b) Do you want some greens?
- c) Give me a bottle of wine and a jar of sour cream.
- d) Here are a few clean packages and boxes.
- e) Pass me please a roll of paper and these scales.
- f) This is very expensive. Don't be offended, please.
- g) Many people were in the market yesterday.

3. Conjugate the following verbs with the different forms of version:

a) Conjugate like the verb ვხატავ – ვიხატავ – ვუხატავ:

(და)ვმარხავ (bury)	(და)ვხურავ (close)	(მო)ვხარშავ (boil)
(და)ვხუჭავ (close eyes)	(მო)ვზიდავ (carry)	(და)ვმალავ (hide)
(გა)ვფლანგავ (waste money/time)		

b) Conjugate like the verb ვწერ – ვიწერ – ვუწერ:

(გა)ვტეხ (break)	(გა)ვრეცხ (wash)
(და)ვბან (wash somebody)	

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate transitive verbs with diverse forms of version.

Lesson 24

Vocabulary

idea, thought	იდეა, აზრი
thoughtful	აზრიანი
thoughtless	უაზრო
theme	თემა
advice	რჩევა
choice	არჩევანი
thought; reflection	ფიქრი
to think over	დაფიქრება, აწონ-დაწონვა
argument; to argue	კამათი
discussion; to discuss	მსჯელობა
process	პროცესი
sphere	სფერო
program	პროგრამა
art	ხელოვნება
choreography	ქორეოგრაფია
circus	ცირკი
theater	თეატრი
opera	ოპერა
ballet	ბალეტი
music	მუსიკა
melody	მელოდია
concert	კონცერტი
performance	სპექტაკლი
producer	რეჟისორი
conductor	დირიჟორი
folklore	ფოლკლორი
screenplay	სცენარი
act; action; to act	მოქმედება
scene; stage	სცენა
talent	ნიჭი

talented	ნიჭიერი
talentless	უნიჭო
creator	შემოქმედი
creation; to create	შემოქმედება
architect	არქიტექტორი
sculptor	მოქანდაკე
composer	კომპოზიტორი
singer	მომღერალი
(vegetable) oil	ზეთი
sculpture	სკულპტურა
artwork	ნაწარმოები
free	თავისუფალი
free of charge	უფასო, მუქთა
freedom	თავისუფლება
museum	მუზეუმი
exhibition	გამოფენა
good taste (in art)	გემოვნებიანი
bad taste (in art)	უგემოვნო

Phrases

we enjoyed it	ვისიამოვნეთ
it's not for sale!	არ იყიდება!
it's priceless	შეუფასებელია
creative process/sphere	შემოქმედებითი პროცესი/სფერო
selected works	რჩეული ნაწარმოებები

Grammar

1. Interjections:

calling	(მოწოდება)	აბა! აი! ეი! აუ! ჰეი! ჰაი!
wishing	(ნატვრა)	ნეტავ, ნეტავი, -მც
sorrow	(მწუხარება)	ვაი! (“oh dear”; “ouch!”) ვაიმე! (“oh woe is me!”) ვუი! უი! უიმე! აჰ! ოჰ! აფსუს! (“alas!”) ოი! უჰ! ო!
joy	(სიხარული)	ვაჰ! ვაჰა! (“hurray!”) ურა!
exclamation (აღტაცება)		ბიჭოს! (“oh my gosh!”; “gee wiz!”) ყოჩაღ! (“bravo!”, “well

done!”, “good for you!”) ბარაქალა! (“bravo!”; “good luck to you!”) ვაშა! (“hurrah!”) დიდება! (“glory!”; “glory to [something]!”) ვაშა-დიდება!

surprise (გაკვირვება) ვაა! აუ! ვაჰ! აჰ!

vowing (ფიცვით) ღმერთმანი (“by God!”, “I swear to God!”), ჩემმა მზემ (“I swear!”), შენმა მზემ (“phooey!”, “good grief!”, “bah humbug”), დედაშვილობამ (“I vow to you”), და-ძმობამ (“would you vow to me like a brother/sister?”).

affectionate (საალერსო) გენაცვალე (“my dear!” *lit.* “let me take your place [if something bad happens]”), გეთაყვა(ნე) (“my dear!”, “my friend!”, “please!” *lit.* “I paid homage to you”)

2. Preverbs and their functions:

a) Preverbs show the direction of a verbal act.

მი-	away (from the I person)	მიდის	“he/she/it goes”
მო-	towards (to the I person)	მოდის	“he/she/it comes”
ა-	up	ადის	“he/she/it rises/goes up”
და-	down; sometimes an intensive act	დადის	“he/she/it walks”; “it goes down” (e.g. temperature)
ჩა-	down inside	ჩადის	“he/she/it descends/goes down(hill)”
შე-	from outside to inside	შედის	“he/she/it enters/goes in”
გა-	from inside to outside	გადის	“he/she/it goes out” (e.g. from the house)
გადა-	over a barrier	გადადის	“he/she/it crosses/goes over (something)”
წა-	away	წავიდა	“he/she/it left/went away”

All these preverbs show the direction away from the I person except “მო-”. They are simple preverbs, but they can have “მო-” added to become complex preverbs. By adding “მო-” the direction becomes orientated towards the I person. So, all complex preverbs show the direction to the I person.

აშო-	up	აშოდის	“he/she/it rises/comes up”
ჩაშო-	down inside	ჩაშოდის	“he/she/it arrives/comes down”
შეშო-	from outside to inside	შეშოდის	“he/she/it enters/comes in”
გაშო-	from inside to outside	გაშოდის	“he/she/it emerges/comes out”
გადშო-	over a barrier	გადშოდის	“he/she/it comes across/over”
წაშო-	towards the I person	წაშოვიდა	“he/she/it came over/out”

b) When preverbs produce new rows of conjugation in the I series, then they don't show any direction.

ხატავს “he/she/it paints” – დახატავს “he/she/it will paint”

წერს “he/she/it writes” – დაწერს “he/she/it will write”

No verbal direction is exposed here.

c) Preverbs don't show direction while producing the perfective aspect. Compare:

Imperfective		Perfective	
ვხატე	“I was painting”	– დავხატე	“I painted”
ვწერე	“I was writing”	– დავწერე	“I wrote”

d) Sometimes preverbs change the meaning of a word:

მოიგო “he/she won [it]” (e.g. the game or money)

გაიგო “he/she understood [it]”

წააგო “he/she lost [it]”

მიხვდა “he/she realized/understood [it]”

მოხვდა “he/she got [it]”

შეხვდა “he/she met [him/her/them]”

დახვდა “he/she met (ran into) [it/him/her/them]”

3. In Georgian infinitives are used as nouns, although they are produced from verbs – unlike English. They can also receive case markers. Most infinitives are produced by the suffix “-ა”. წერ-ა (“to write”), ხატვ-ა (“to paint”), მუშაობ-ა (“to work”), ფრენ-ა (“to fly”), etc. Some infinitives have “-ომ-”, “-ოლ-”, “-ილ-”, “-ულ-” endings. A few infinitives are produced by “სი---ილ-” and “სი---ულ-”.

a) კვდომა (“to die”), ნდომა (“to want”), ჯდომა (“to sit”), სხდომა (“to sit”), სკდომა

- (“to break out”), შ(ვ)რომა (“to work”; “to do”), წვდომა (“to reach”), ტყდომა (“to break”), ხტომა (“to jump”);
- b) ბრძოლა (“to fight”), ქროლა (“to blow”), წოლა (“to lie”), ყოლა (“to have”);
- c) დუღილი (“to boil”), წუხილი (“to worry”), ქუხილი (“to thunder”), დუმილი (“to be silent”), ტყუილი (“to lie”), ტკივილი (“to have/be in pain”), ყმუილი (“to wail”), ზღავილი (“to moan”), კნავილი (“to mew”), ყვირილი (“to shout”), ტირილი (“to cry”);
- d) სიკვდილი (“death”), სირბილი (“to run”), სიცილი (“to laugh”), შიმშილი (“hunger” – this is assimilated from სიმშილი);
- e) სიყვარული (“love”), სიხარული (“joy”), სიბრაღული (“to feel pity/sorry for”), სიარული (“to walk”).
4. The infinitives can have preverbs showing the direction: მისვლა (“to go”), მოსვლა (“to come”), გაფრენა (“to fly away/off”), შემოფრენა (“to fly in hither”), გადარბენა (“to run across”), etc.
5. Infinitives can appear after modal verbs. Compare:
- a) Present:
- | | | |
|----------------|-----------------------------|---------------------------|
| შემიძლია/მინდა | დახატვა/დაწერა | infinitive |
| შემიძლია/მინდა | დავხატო/დავწერო (II Series) | II subjunctive (optative) |
- b) Future:
- | | | |
|---------------------|-----------------------------|---------------------------|
| შემეძლება/მენდომება | დახატვა/დაწერა | infinitive |
| შემიძლია/მინდა | დავხატო/დავწერო (II Series) | II subjunctive (optative) |
- c) Past:
- | | | |
|-----------------|--------------------------------|--------------------------------------|
| შემეძლო/მინდოდა | დახატვა/დაწერა | infinitive |
| შემეძლო/მინდოდა | დამეხატა/დამეწერა (III Series) | past unreal subjunctive (pluperfect) |

Texts

მე მიყვარს ხელოვნება და ხელოვანი ხალხი. თავად შემოქმედებითი პროცესიც ძალიან საინტერესოა. ყველა სფერო საინტერესოა. მე კი განსაკუთრებით თეატრი,

ოპერა და ბალეტი მიყვარს. როცა დირიჟორი სცენაზეა და ნიჭიერი მომღერლები ასრულებენ სპექტაკლს, ეს შეუფასებელია! საერთოდ, ჩვენს ოჯახში ყოველთვის ვმსჯელობთ ხელოვნებასა და კულტურაზე. ჩემი ძმა არქიტექტორია და ჩემი დედამთილი ქორეოგრაფია. ჩემი ქმარი არის მოქანდაკე, მე კი ვარ მუსიკოსი. რა თქმა უნდა, სულ ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ. ასეთი პროფესიები გვაქვს და აბა, სხვა რაზე ვისაუბრებთ!

– მე მაქვს ოპერის ბილეთები, ჩემს შვილს კი უნდა ცირკში წასვლა. უნდა რამე მოვიფიქრო. – იდეა მაქვს! მე მყავს ერთი ნაცნობი, რომელიც არც თუ უნიჭო რეჟისორია და ახლა ბავშვები აინტერესებს ფილმისათვის. როგორი აზრია? – არ ვიცი, ჩემს შვილს როგორ მოეწონება...

ამ ნაწარმოების თემა ეხება თავისუფლებას. ეს არის მოხუც ადამიანებზე. ამ სპექტაკლში ყველაფერი კარგად არის დაფიქრებით გაკეთებული. ეტყობა, მართლაც ნიჭიერი ხალხია აქ. ამ თეატრის მხატვარი ძალიან ცნობილი ადამიანია. მისი ნახატები ხან მუზეუმშია, ხან – გამოფენაზე. არ გინდა, გამოფენაზე წავიდეთ? მოდი, ჯერ მუზეუმში წავიდეთ.

Exercises

1. Translate:

- a) სასიამოვნოა ნიჭიერ ადამიანებთან ყოფნა.
- b) – რა სფეროში მუშაობთ? – მე სცენარისტი ვარ და სცენარებს ვწერ ფილმისთვის.
- c) ეს უნიჭო ნაწარმოებია. უინტერესო დასაწყისი აქვს.
- d) ის ასაკიანი ქალბატონი, სხვათაშორის, გემოვნებიანი ნიჭიერი მომღერალი გახლავთ.
- e) თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი ფიქრი გახლავთ, კამათი, მსჯელობა, დაფიქრება, აწონ-დაწონვა.
- f) უაზრო რჩევა იყო უფასო კონცერტზე წასვლა და უგემოვნო მუსიკის მოსმენა.
- g) იცით ეს ქორეოგრაფიული პროგრამა?
- h) ამ კომპოზიტორის მელოდიით სულაც ვერ ვისიამოვნეთ.
- i) – ეს ნახატი ზეთშია? – რა თქმა უნდა. – აი, დიდი ნიჭი!

j) ეს შემოქმედი ადამიანის არჩევანია. მომწონს.

2. Translate:

a) My friend is a talented producer. His performances are great.

b) I love theater, but I can't watch the plays, as I have to be on stage – I am an artist.

c) Sculptors usually can paint well. But architects paint better. They usually paint houses.

d) Who is this talented artist? Do you like opera or ballet?

e) Can you paint these pictures in oil?

f) Do you have a program? Do you have an idea, where are we going now?

g) – The creative process is absolutely free. – Yes, it must be. But very often it's very noisy here.

h) – Thinking and discussing this is creation. Don't you think so? – Yes, I agree with you.

i) I like music. Your relative is a very talented composer.

j) Can we go to the museum or to the exhibition?

3. Produce different forms by adding preverbs to the following verbs:

ფრენა (“to fly”) e.g. მივფრინავ

სირბილი (“to run”) e.g. მივრბივარ

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases, using infinitives and different preverbs.

Lesson 25

Vocabulary

height	სიმაღლე
weight	წონა
size	ზომა
crazy, mad	გაჟი, შეშლილი
fool	სულელი
foolish, stupid, silly	სულელური, შტერი
brainless, mindless	უტვინო
simple	უბრალო
simply	უბრალოდ
to weigh	აწონვა (ამიწონეთ! – “weigh it for me!”)
king	მეფე
queen	დედოფალი
mouse	თაგვი
rat	ვირთხა
group	ჯგუფი
enough	საკმაოდ
no doubt, undoubtably	უდავოდ
different; various	სხვანაირი
difference	განსხვავება
different; exceptional	განსხვავებული
text	ტექსტი
war	ომი
peace	მშვიდობა
elder; boss	უფროსი
younger	უმცროსი
person	პიროვნება
relation	ურთიერთობა
to send	დაგზავნა
to receive	მიღება
to print	დაბეჭდვა

to read	წაკითხვა
jewelry	სამკაული
cosmetics	კოსმეტიკა
ring	ბეჭედი
gold	ოქრო
gold (color)	ოქროსფერი
silver	ვერცხლი
silver (color)	ვერცხლისფერი
strand of beads	მძივი
bracelet	სამაჯური
earring	საყურე
perfume	სუნამო
lipstick	პომადა
eyebrow pencil	თვალის ფანქარი
nail polish	ფრჩხილების ლაქი
scissors	მაკრატელი
emery board	ქლიბი
striped	ზოლიანი

Phrases

imagine!	შენ წარმოიდგინე!
can you imagine?	წარმოგიდგენია?
how much does it cost?	რა ღირს?
how much should i give you?	რამდენი მოგართვათ?
weight (it for me)!	ამიწონეთ!
pay!	გადაიხადე(თ)!

Grammar

1. Transitive verbs have direct objects and intransitive verbs don't. There are two types of intransitives in Georgian: passive and medial. Georgian dynamic passive verbs have three groups:

- a) Prefix-produced,
- b) Suffix-produced and
- c) Unmarked.

The first group is produced by the prefix “ი-” for one personal verbs – ვიმალები (“I am hiding”) and by the prefix “ე-“ for two-personal verbs – ვემალები (“I am hiding from somebody”).

2. Conjugation of prefix-produced dynamic passives: the first verb is one-personal and the second verb is two-personal.

I Series

აწმყო – I hide/am hiding / from someone

ვიმალები / ვემალები	ვიმალებით / ვემალებით
იმალები / ემალები	იმალებით / ემალებით
იმალება / ემალება	იმალებიან / ემალებიან

უწყვეტელი – I was hiding / from someone

ვიმალებოდი / ვემალებოდი	ვიმალებოდით / ვემალებოდით
იმალებოდი / ემალებოდი	იმალებოდით / ემალებოდით
იმალებოდა / ემალებოდა	იმალებოდნენ / ემალებოდნენ

აწმყოს კავშირებითი – (if/I wish) I were hiding / from someone

ვიმალებოდე / ვემალებოდე	ვიმალებოდეთ / ვემალებოდეთ
იმალებოდე / ემალებოდე	იმალებოდეთ / ემალებოდეთ
იმალებოდეს / ემალებოდეს	იმალებოდნენ / ემალებოდნენ

მოფადი – I will hide / from someone

დავიმალები / დავემალები	დავიმალებით / დავემალებით
დაიმალები / დაემალები	დაიმალებით / დაემალებით
დაიმალება / დაემალება	დაიმალებიან / დაემალებიან

ბოლმეობითი – I would hide / from someone

დავიმალებოდი / დავემალებოდი	დავიმალებოდით / დავემალებოდით
დაიმალებოდი / დაემალებოდი	დაიმალებოდით / დაემალებოდით
დაიმალებოდა / დაემალებოდა	დაიმალებოდნენ / დაემალებოდნენ

მყოფადის კავშირებითი – (if/I wish) I were to hide / from someone

ვიმალებოდე / ვემალებოდე	ვიმალებოდეთ / ვემალებოდეთ
იმალებოდე / ემალებოდე	იმალებოდეთ / ემალებოდეთ
იმალებოდეს / ემალებოდეს	იმალებოდნენ / ემალებოდნენ

II Series

წყვეტილი/აორისტი – I hid / from someone

დავიმალე / დავემალე	დავიმალეთ / დავემალეთ
დაიმალე / დაემალე	დაიმალეთ / დაემალეთ
დაიმალა / დაემალა	დაიმალნენ / დაემალნენ

II კავშირებითი – I (must/can/want to) hide / from someone

დავიმალო / დავემალო	დავიმალოთ / დავემალოთ
დაიმალო / დაემალო	დაიმალოთ / დაემალოთ
დაიმალოს / დაემალოს	დაიმალონ / დაემალონ

III Series

I თურმეობითი – (it seems) I have hidden / from someone

დავმალულვარ / დავმალვივარ	დავმალულვართ / დავმალვივართ
დამალულხარ / დამალვიხარ	დამალულხართ / დამალვიხართ
დამალულა / და(ჰ)მალვია	დამალულან / და(ჰ)მალვიან

II თურმეობითი – (if) I had hidden / from someone

დავმალულიყავ(ი) / დავმალვოდე	დავმალულიყავით / დავმალვოდეთ
დამალულიყავ(ი) / დამალვოდე	დამალულიყავით / დამალვოდეთ
დამალულიყო / დამალვოდეს	დამალულიყვნენ / დამალვოდნენ

III კავშირებითი – (I wish) I could hide / from someone

დამალულიყოს / დამალვოდეს	დამალულიყონ / დამალვოდენ
--------------------------	--------------------------

This last row is disappearing in modern Georgian and its meaning is a redundancy of II თურმეობითი.

3. Besides the prefix-produced forms, the dynamic passive has unmarked forms – ვთბები (“I’m becoming warm”) and the forms produced by the suffix “-დ” – ვწითლდები (“I’m becoming red”) from წითელი (“red”). Such verbal forms are mostly produced from nouns: კაცი – კაცდება, ქალი – ქალდება, შავი – შავდება, თეთრი – თეთრდება, etc.

I Series

აწმყო – I am becoming warm/red / I become warm/red

ვთბები / ვწითლდები	ვთბებით / ვწითლდებით
თბები / წითლდები	თბებით / წითლდებით
თბება / წითლდება	თბებიან / წითლდებიან

უწყვეტელი – I was becoming warm/red

ვთბებოდი / ვწითლდებოდი	ვთბებოდით / ვწითლდებოდით
თბებოდი / წითლდებოდი	თბებოდით / წითლდებოდით
თბებოდა / წითლდებოდა	თბებოდნენ / წითლდებოდნენ

აწმყოს კავშირებითი – (if/I wish) I were warm/red

ვთბებოდე / ვწითლდებოდე	ვთბებოდეთ / ვწითლდებოდეთ
თბებოდე / წითლდებოდე	თბებოდეთ / წითლდებოდეთ
თბებოდეს / წითლდებოდეს	თბებოდნენ / წითლდებოდნენ

მოგადი – I will become warm/red

გავთბები / გავწითლდები	გავთბებით / გავწითლდებით
გათბები / გაწითლდები	გათბებით / გაწითლდებით
გათბება / გაწითლდება	გათბებიან / გაწითლდებიან

ხოლმეობითი – I would become warm/red

გავთბებოდი / გავწითლდებოდი	გავთბებოდით / გავწითლდებოდით
გათბებოდი / გაწითლდებოდე	გათბებოდით / გაწითლდებოდით
გათბებოდა / გაწითლდებოდეს	გათბებოდნენ / გაწითლდებოდნენ

მყოფადის კავშირებითი – (if/I wish) I were to become warm/red

გავთებოდე / გავწითლდებოდე გავთებოდეთ / გავწითლდებოდეთ
გათებოდე / გაწითლდებოდე გათებოდეთ / გაწითლდებოდეთ
გათებოდეს / გაწითლდებოდეს გათებოდნენ / გაწითლდებოდნენ

II Series

წყვეტილი/აორისტი – I became warm/red

გავთბი / გავწითლდი გავთბით / გავწითლდით
გათბი / გაწითლდი გათბით / გაწითლდით
გათბა / გაწითლდა გათბნენ / გაწითლდნენ

II კავშირებითი – I (must/can/want to) become warm/red

გავთბე / გავწითლდე გავთბეთ / გავწითლდეთ
გათბე / გაწითლდე გათბეთ / გაწითლდეთ
გათბეს / გაწითლდეს გათბნენ / გაწითლდნენ

III Series

I თურმეობითი – (it seems) I have become warm/red

გავმთბარვარ / გავწითლებულვარ გავმთბარვართ / გავწითლებულვართ
გამთბარხარ / გაწითლებულხარ გამთბარხართ / გაწითლებულხართ
გამთბარა / გაწითლებულა გამთბარან / გაწითლებულან

II თურმეობითი and *III კავშირებითი* – (if) I had become warm/red

გავმთბარიყავ(ი) / გავწითლებულიყავ(ი) გავმთბარიყავით / გავწითლებულიყავით
გამთბარიყავ(ი) / გაწითლებულიყავ(ი) გამთბარიყავით / გაწითლებულიყავით
გამთბარიყო / გაწითლებულიყო გამთბარიყვნენ / გაწითლებულიყვნენ

These verbs can be two-personal by adding an indirect object and having the forms of objective version.

ვთბები – ვუთბები / ვუთბებოდდი / გავუთბები / გავუთბი, etc.

ვწითლდები – ვუწითლდები / ვუწითლდებოდდი / გავუწითლდები / გავუწითლდი,
etc.

Texts

დედოფალს აქვს ბევრი სამკაული და პარფიუმერია. ოქროს ბეჭედი, ვერცხლის სამაჯური, მძივები, საყურეები, სუნამოები, პომადები, თვალის ფანქრები, ფრჩხილების ლაქი, მაკრატელი და ქლიბი. საერთოდ, ქალებს ძალიან უყვართ ასეთი რამეები. მეფეს კი ქვეყანაში ომისა და მშვიდობის საქმეები ეხება.

შენ წარმოიდგინე, ეს სტუმრების განსხვავებული ჯგუფია და საკმაოდ კარგი ურთიერთობები გვექნება უდავოდ. აი, ამ პიროვნებამ მიიღო ეს წერილები, წაიკითხა და დაბეჭდა ტექსტები. გაამზადა ყველაფერი ჩვენი სტუმრებისათვის. ყოჩაღ! ახლა მან უნდა გაათბოს სახლი და დაწეროს წერილები.

- წარმოგიდგენია, ერთი შეშლილ პოეტს ჰყავდა ერთი ვირთხა.
- ვირთხა თაგვია?
- საერთოდ, ვირთხები თაგვებისაგან განსხვავდებიან.
- რა განსხვავებაა?
- დიდი სხვაობაა ზომებში. ვირთხის სიმაღლე, საერთო ზომა და წონა მეტია.
- როგორც ვიცი, ვირთხას უყვარს ოქროს სამკაულები. მე ამის შესახებ ერთი ზღაპარიც ვიცი.
- მართლა? რა საინტერესოა!

Exercises

1. Translate:

- a) ეს ჩემი უფროსი დაა, ეს კი ჩემი უმცროსი ძმა გახლავთ.
- b) დედოფალი და მეფე რომელ ქვეყანაში არის ახლაც?
- c) წარმოგიდგენია, მე არა მაქვს პარფიუმერია! ჩემმა შვილმა დამიძალა, ასე მითხრა, რომ თითქოს მე ეს არ მიხდება.
- d) მძივი, საყურე, ბეჭედი, სამაჯური, პომადა და თვალის ფანქარი ქალის სამკაულებია.
- e) საერთოდ, სუნამო, ფრჩხილების ლაქი, მაკრატელი და ქლიბი ქალის ნივთებია.
- f) – ომი თუ მშვიდობა? – რა თქმა უნდა, მშვიდობა! ჩვენ ყველას მშვიდობა გვინდა საქართველოში.
- g) – თუ შეიძლება, ამიწონეთ ორი კილო კიტრი და კომბოსტო. რამდენი

მოგართვათ? – გადაიხადეთ სამი ლარი.

h) – ამიწონეთ ნახევარი კილო ძროხის ხორცი. რა ღირს ეს ხორცი? – ოთხი ლარი.
გადაიხადეთ!

i) ცხადია, განსხვავებული ურთიერთობები გვაქვს უმცროსებთან და უფროსებთან.

j) ეს ზოლიანი კაბა და ვერცხლისფერი სამკაულები უდავოდ გიხდება.

2. Translate:

a) How much does it cost?

b) How much should I give you?

c) – Do you have any cosmetics here? – I have lipstick, an eyebrow pencil, scissors and perfume.

d) The king gave to the queen many golden and silver jewelry – earrings, rings, bracelets, and necklaces. Can you imagine this!

e) Tell me something about rats and mice. Where do they live and what do they eat?

f) I am hiding from him. I would hide. I'll hide from her.

g) I wish I could warm my house. But I can not.

h) Please, pay 5 GEL for it.

i) No doubt, this is an interesting group of crazy people!

j) A special relationship between younger and elder relatives is usual in Georgia.

3. Conjugate the following verbs in all series with both one-personal and two-personal forms:

ვიფარები / ვეფარები (cover)

ვიხატები / ვეხატები (paint)

ტკბება / უტკბება (sweet)

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate a few passive verbs that you know.

Lesson 26

Vocabulary

taxi	ტაქსი
wheel	თვალი
tire	საბურავი
steering wheel	საჭე
engine	მოტორი
hatchback, trunk	საბარგული
motorcycle	მოტოციკლეტი
bicycle	ველოსიპედი
fire engine	სახანძრო მანქანა
truck	სატვირთო მანქანა
ambulance	სასწრაფო მანქანა
avenue	გამზირი
way, road	გზა
to do; to make	გაკეთება
to spoil; to damage	გაფუჭება
spoiled; damaged	გაფუჭებული
answer	პასუხი
memory	მეხსიერება
gift	საჩუქარი
member	წევრი
government	მთავრობა
guidance; to rule, to govern	ხელმძღვანელობა
recently	ამასწინათ
sport(s)	სპორტი
swimming; to swim	ცურვა
football (soccer)	ფეხბურთი
volleyball	ფრენბურთი
basketball	კალათბურთი
tennis	ჩოგბურთი
handball	ხელბურთი

wrestling	ჭიდაობა
boxing	კრივი, ბოქსი
gymnastics	ტანვარჯიში
horseback riding	ცხენოსნობა
skiing	თხილამურებით სრიალი
skating	ციგურაობა
chess	ჭადრაკი
dominos	დომინო
backgammon	ნარდი
card(s)	კარტი
competition	შეჯიბრი
referee	მსაჯი
coach	მწვრთნელი
team	გუნდი, ნაკრები
stadium	სტადიონი
sport hall	სპორტული დარბაზი
fan	გულშემატკივარი

Phrases

remember!	გახსოვდეს!
I don't remember	აღარ მახსოვს
I'm a fan for/of	ვგულშემატკივრობ

Grammar

1. The words of another person usually are exposed by the suffix “-ო”.

მან თქვა, დავხატე <u>ლ</u> .	“He said he had painted.”
იმათ მითხრეს, მოვიდეს <u>ლ</u> .	“They told me – you're coming.”
იმან მითხრა, ეს არ გიხდება <u>ლ</u> .	“She told me, this doesn't suit me.”

2. The static passive is opposite to the dynamic passive. Examples: (ა)წერია – (it) is written, (ა)ხატია – (it) is painted, აფარია – (it) is covered, აბია – (it) is tied, etc. They expose an act which is already done. Such forms don't have certain rows in the I series.

3. Conjugation of the static passive:

I Series

აწმყო – I am written

ვწერივარ	ვწერივართ
წერიხარ	წერიხართ
წერია	წერიან

უწყვეტელი and *აწმყოს კავშირებითი* do not exist for this verb.

მოვადი is produced based on the forms of the “ე-” prefix for the two-personal dynamic passive, but these are only one-personal verbs.

მოვადი – I will be written

ვეწერები	ვეწერებით
ეწერები	ეწერებით
ეწერება	ეწერებიან

ბოლძეობითი – I would be written

ვეწერებოდი	ვეწერებოდით
ეწერებოდი	ეწერებოდით
ეწერებოდა	ეწერებოდნენ

მოვადის კავშირებითი – (if/I wish) were to be written

ვეწერებოდე	ვეწერებოდეთ
ეწერებოდე	ეწერებოდეთ
ეწერებოდეს	ეწერებოდნენ

II Series

The forms of the dynamic passive are repeated in this series. But very often these forms do not exist.

წყვეტილი/აორისტი – I was written

ვეწერე	ვეწერეთ
ეწერე	ეწერეთ
ეწერა	ეწერნენ

II კავშირებითი – I (must/can/want to) be written

ვეწერო ვეწერთ

ეწერო ეწერთ

ეწეროს ეწერონ

III Series

In the I and II series there is no difference between the one-personal and two-personal verbs. But the III series shows a difference.

Below the first verb is one-personal and the second verb is two-personal.

I თურმეობითი – (it seems) I have been written / for him/her/it

ვწერებულვარ / ვ(ს)წერებივარ ვწერებულვართ / ვ(ს)წერებივართ

წერებულხარ / სწერებიხარ წერებულხართ / სწერებიხართ

წერებულა / სწერებია წერებულან / სწერებიან

II თურმეობითი – (if) I had been written / for him/her/it

ვწერებულიყავ(ი) / ვ(ს)წერებოდი ვწერებულიყავით / ვ(ს)წერებოდიით

წერებულიყავ(ი) / სწერებოდი წერებულიყავით / სწერებოდიით

წერებულიყო / სწერებოდა წერებულიყვნენ / სწერებოდნენ

III კავშირებითი – (I wish) I could be written / for him/her/it

ვწერებულიყო / ვ(ს)წერებოდე ვწერებულიყვნეთ / ვ(ს)წერებოდეით

წერებულიყო / სწერებოდე წერებულიყვნეთ / სწერებოდეით

წერებულიყოს / სწერებოდეს წერებულიყვნენ / სწერებოდნენ

4. In Georgian the subject does verbal act itself or makes the indirect object to do it; or the subject acts with the help of the indirect object. In such forms the indirect object is what actually performs the verbal act. The subject makes it act. This is a category of contact. The most productive suffixes of contact is “-ინ” with thematic marker “-ებ”. Another marker “-ევ” is very seldom used, sometimes it appears in combination with “-ინ” accompanied with the same thematic marker “-ებ”.

Compare:

† ვხატავ	ვწერ	ვაკეთებ	ვკლავ
“I paint”	“I write”	“I do (it)”	“I kill (her)”
‡ ვხატავ <u>ინ</u> ებ	ვაწერ <u>ინ</u> ებ	ვაკეთებ <u>ინ</u> ებ	ვაკვლევ <u>ინ</u> ებ
“I make him paint”	“I make him write”	“I make him do (it)”	“I make him kill (her)”

† Direct contact to the verbal act.

‡ The subject makes the indirect object perform the verbal act, as an indirect or intermediary contact.

Texts

- ეს გუნდი ამ სტადიონზე დღეს პირველად თამაშობს. რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობ ჩემი ქვეყნის ნაკრებს. საერთოდ, ბრაზილიელები კარგად თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ იტალიელთა გუნდიც საკმაოდ კარგია. გახსოვს, როგორ კარგად ითამაშეს ამასწინათ?
- სამწუხაროდ, ვერ ვუყურე მაგ თამაშს. ვინ არის ამათი მწვრთნელი? მე მგონი, ფრანგია. მსაჯი კი ბელგიელია.
- რომელი სპორტი მოგწონთ: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ჩოგბურთი, ხელბურთი, ჭიდაობა, კრივი, ტანვარჯიში, ჭადრაკი, ცხენოსნობა, თხილამურებით სრიალი, ციგურაობა?
- ყველა სპორტი კარგია.
- გახსოვდეს, სპორტი სასარგებლო და აუცილებელია შენი ჯანმრთელობისათვის. აი, ორი ბილეთი და კალათბურთზე წავიდეთ ხვალ სადამოს. ეს ჩემი საჩუქარია შენთვის. ხომ გაგეხარდა?
- რა საკვირველია, სასიამოვნოა. გმადლობთ.
- არაფერს.

ეს გზა გაფუჭებული იყო და გააკეთეს. ძალიან კარგი. ახლა შეიძლება მანქანით სიარული. აქ აქამდე ვერ დადიოდა ველოსიპედის გარდა ვერაფერი, ვერც მოტოციკლეტი და ვერც სატვირთო მანქანა. ჩვენი გამზირიც გააკეთეს ამასწინათ. ასე, რომ როცა გინდა, მობრძანდი ჩემთან. გზაში მანქანა აღარ გაგიფუჭდება.

მანქანის ნაწილებია: საბურავი, საჭე, მოტორი, საბარგული.

Exercises

1. Translate:

- a) ამ გუნდმა მართლა თვითონ მოიგო, თუ მსაჯმა მოაგებინა?
- b) – ამასწინათ გზა გაფუჭდა და გააკეთეს. – ვინ გააკეთა? – ალბათ, ქალაქის ხელმძღვანელობამ, ან ამ ქალაქის მთავრობამ.
- c) ტაქსის ნაწილებია: საჭე, მოტორი, საბურავი, საბარგული.
- d) ტაქსი, მოტოციკლეტი, ველოსიპედი, სახანძრო მანქანა, სატვირთო მანქანა, სასწრაფო მანქანა და აღარ მახსოვს, კიდევ რა ტრანსპორტი იყო სტადიონზე.
- e) ნარდი, კარტი და დომინო სერიოზული სპორტია? როგორ ფიქრობ?
- f) სერიოზული სპორტია ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ჩოგბურთი, ხელბურთი, ჭიდაობა, კრივი, ტანვარჯიში, ჭადრაკი, ცხენოსნობა, თხილამურებით სრიალი, ციგურაობა.
- g) რომელ სპორტულ დარბაზშია შეჯიბრი კალათბურთში? ვინ არის მსაჯი?
- h) – ეს გუნდი მოიგებს თუ წააგებს? რა თქვა მწვრთნელმა, მოვიგებთო? – კი, მოვიგებთო.
- i) აქ წერია, რომ ერთი თამაში აქვს კიდევ ამ ნაკრებს და ვნახოთ, რას იზამს. რას გააკეთებინებს ეს მწვრთნელი.
- j) – რა გახატია ტანსაცმელზე? – არ ვიცი, რა მაწერია პერანგზე. – მეთერთმეტე ნომერი.

2. Translate:

- a) Which sport do you love more: basketball, football, chess, swimming, tennis or skiing?
- b) What is written here?
- c) What will this team do? Will they win?
- d) If I'm painted on your clothes, I must be a great sportsman.
- e) I'm going to watch wrestling and handball tonight.
- f) Taxi! I don't remember where to go...
- g) Remember this sport hall will be full today! You should come earlier if you want to sit down somewhere.
- h) I don't play cards or dominos.

i) Will your brother make you play chess?

j) I'll make you play this game with me.

3. Conjugate the following verbs in all series:

აფაროს (covered)

ახატოს (painted)

აბოს (tied)

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate some passive verbs that you know.

Lesson 27

Vocabulary

church	ეკლესია, ტაძარი
orthodox	მართლმადიდებელი
religion	რელიგია
state	სახელწიფო
post office	ფოსტა
list	სია
means	საშუალება
order	ბრძანება
request, ask	თხოვნა
promise	შეპირება
electricity	ელექტროობა
(electrical) current	დენი
light	შუქი
victory	გამარჯვება
defeat; to lose	დამარცხება
science	მეცნიერება
literature	ლიტერატურა
history	ისტორია
physics	ფიზიკა
chemistry	ქიმია
math	მათემატიკა
geometry	გეომეტრია
astronomy	ასტრონომია
geology	გეოგრაფია
biology	ბიოლოგია
anatomy	ანატომია
zoology	ზოოლოგია
botany	ბოტანიკა
school	სკოლა
gymnasium	გიმნაზია

kindergarden	საბავშვო ბაღი
institute	ინსტიტუტი
research	გამოკვლევა, კვლევა
article	სტატია
humanitarian sciences	ჰუმანიტარული მეცნიერებები
natural sciences	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
foreign languages	უცხო ენები
development	განვითარება
important	მნიშვნელოვანი
namely	კერძოდ

Phrases

promise me!	შემპირდი!
I promised you	შეგპირდი
in our school they teach...	ჩვენს სკოლაში ასწავლიან...
to turn on (electricity)	(დენის) ჩართვა
to turn off (electricity)	(დენის) გამორთვა OR გამოთიშვა

Grammar

1. Usually participles are used as nouns or adjectives.

- a) The participles of transitive verbs are produced by the following affixes: მ---ელ-, მ---არ-/ალ-. დამწერი (“one, who wrote”), მწერალი (“writer”), მხატვარი (“painter”), მასწავლებელი (“teacher”), etc.
- b) The future participles of passive verbs are produced by the affixes სა- and ს---ელ-: (და)საწერი (“something to paint”), (და)სახატი (“something to write”), (გა)საკეთებელი (“something to do”), etc.
- c) The past participles of passive verbs are produced by the following affixes: -ილ-, -ულ-, ნა-, მ---არ-. დაწერილი (“written”), გაკეთებული (“made”), ნახატი (“picture”; “painted”), დახატული (“painted”), დამდნარი (“melted”), etc.

These participles can have negative forms as well, produced by უ- and უ---ელ-: დაუხატავი (“unpainted”), დაუწერიელი (“unwritten”), etc.

2. Medio-actives are verbs with the form of active-transitive verbs but without any direct object. Compare:

a)

ხატავს	(“paints” – active)	გორავს	(“rolls” – medio-active)
წერს	(“writes” – active)	დუღს	(“boils” – medio-active)

b)

active	აგორებს	(S., O.d.)	–	უგორებს	(S., O.d., O.ind.)
medio-active	გორავს	(S.)	–	უგორავს	(S., O.ind.)
active	ადუღებს	(S., O.d.)	–	უდუღებს	(S., O.d., O.ind.)
medio-active	დუღს	(S.)	–	უდუღს	(S., O.ind.)

c)

active	აგორებს	(S., O.d.)	–	უგორებს	(S., O.d., O.ind.)
medio-active	გორდება	(S.)	–	უგორდება	(S., O.ind.)
medio-active	გორავს	(S.)	–	უგორავს	(S., O.ind.)
active	ადუღებს	(S., O.d.)	–	უდუღებს	(S., O.d., O.ind.)
medio-active	დუღდება	(S.)	–	უდუღდება	(S., O.ind.)
medio-active	დუღს	(S.)	–	უდუღს	(S., O.ind.)

3. Conjugation of medio-actives in one-personal and two-personal forms (ტირილი – “to cry”):

I Series

აწმყო – I cry/am crying / with him/her/it

ვტირი	/	ვუტირი	ვტირით	/	ვუტირით
ტირი	/	უტირი	ტირით	/	უტირით
ტირის	/	უტირის	ტირიან	/	უტირიან

უწყვეტელი – I was crying / with him/her/it

ვტიროდი	/	ვუტიროდი	ვტიროდით	/	ვუტიროდით
ტიროდი	/	უტიროდი	ტიროდით	/	უტიროდით
ტიროდა	/	უტიროდა	ტიროდნენ	/	უტიროდნენ

აწმყოს კავშირებითი – (if/I wish) I were crying / with him/her/it

ვტიროდე / ვუტიროდე	ვტიროდეთ / ვუტიროდეთ
ტიროდე / უტიროდე	ტიროდეთ / უტიროდეთ
ტიროდეს / უტიროდეს	ტიროდნენ / უტიროდნენ

Thematic markers appear here and the prefix “o-” produces these three rows of the *მყოფადი* group in one-personal verbs.

მყოფადი – I will cry / with him/her/it

ვტირებ / ვუტირებ	ვტირებთ / ვუტირებთ
იტირებ / უტირებ	იტირებთ / უტირებთ
იტირებს / უტირებს	იტირებენ / უტირებენ

ბოლმეობითი – I would cry / with him/her/it

ვტირებდი / ვუტირებდი	ვტირებდით / ვუტირებდით
იტირებდი / უტირებდი	იტირებდით / უტირებდით
იტირებდა / უტირებდა	იტირებდნენ / უტირებდნენ

ბოლმეობითი – (if/I wish) I were to cry / with him/her/it

ვტირებდე / ვუტირებდე	ვტირებდეთ / ვუტირებდეთ
იტირებდე / უტირებდე	იტირებდეთ / უტირებდეთ
იტირებდეს / უტირებდეს	იტირებდნენ / უტირებდნენ

II Series

In the II series the subjects of the medio-active verbs are ergative just like the subjects of transitive verbs.

წყვეტილი/აორისტი – I cried / with him/her/it

ვტირე / ვუტირე	ვტირეთ / ვუტირეთ
იტირე / უტირე	იტირეთ / უტირეთ
იტირა / უტირა	იტირეს / უტირეს

II კავშირებითი – I (must/can/want to) cry / with him/her/it

ვტირო / ვუტირო	ვტიროთ / ვუტიროთ
იტირო / უტირო	იტიროთ / უტიროთ
იტიროს / უტიროს	იტირონ / უტირონ

III Series

As medio-actives follow the model of conjugation of transitive (in other words – active) verbs, in this series they have inversion just like transitive verbs. Thematic markers also appear here.

I თურმეობითი – (it seems) I have cried / with him/her/it

მიტირნია / მიტირებია	გვიტირნია / გვიტირებია
გიტირნია / გიტირებია	გიტირნიათ / გიტირებიათ
უტირნია / უტირებია	უტირნიათ / უტირებიათ

II თურმეობითი – (if) I had cried / with him/her/it

მეტირნა / მეტირებინა	გვეტირნა / გვეტირებინა
გეტირნა / გეტირებინა	გეტირნათ / გეტირებინათ
ეტირნა / ეტირებინა	ეტირნათ / ეტირებინათ

III კავშირებითი – (I wish) I could cry / with him/her/it

მეტირ(ნ)ოს / მეტირებინოს	გვეტირ(ნ)ოს / გვეტირებინოს
გეტირ(ნ)ოს / გეტირებინოს	გეტირ(ნ)ოთ / გეტირებინოთ
ეტირ(ნ)ოს / ეტირებინოს	ეტირ(ნ)ოთ / ეტირებინოთ

Texts

საქართველოში ბევრი მართლმადიდებლური ეკლესიაა. ქართველები ქრისტიანი მართლმადიდებლები არიან მეოთხე საუკუნიდან. ეს სახელწიფო რელიგიაა. ამ ქვეყანაში განვითარებულია ხელოვნება და მეცნიერება. ჩვენს სკოლებში ასწავლიან სხვადასხვა საგნებს. ესენია: ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, გეომეტრია, ისტორია, გეოლოგია, ბიოლოგია, მათემატიკა, ასტრონომია, ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა და ხელოვნება.

თბილისში არის მრავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სადაც მეცნიერები მუშაობენ სხვადასხვა სფეროში. ტარდება ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ამასწინათ ძალიან საინტერესო სტატია იყო დაწერილი, თუ ნახეთ.

მე ვარ ჰუმანიტარული მეცნიერებების სპეციალისტი. ჩემი უფროსი ძმა კი გახლავთ საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერი. კერძოდ, ის ფიზიკოსია. უნდა გითხრათ,

რომ ის საკმაოდ სერიოზული მეცნიერია.

შემპირდი, რომ კარგად ისწავლი უცხო ენებს. თუ არ გინდა, რომ უცხო ენების სპეციალისტი იყო, ენების ცოდნა მაინც აუცილებელია. ახლა კი უკვე გვიანია, გამორთე შუქი და დაიძინე.

Exercises

1. Translate:

- a) რას ასწავლიან თქვენს სკოლაში?
- b) ამ სკოლა-გიმნაზიაში ისწავლება ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, გეომეტრია, ისტორია, გეოლოგია, ბიოლოგია, მათემატიკა, ასტრონომია, ანატომია, ზოოლოგია და ბოტანიკა.
- c) – თქვენთან უცხო ენებს არ ასწავლიან? – რა თქმა უნდა, ასწავლიან. აბა, როგორ!
- d) საქართველოში მართლმადიდებლობა სახელწიფო რელიგიაა.
- e) – თქვენ არა ხართ ამ სიაში. – მერე ჩამწერეთ! – უკაცრავად, ეს ბრძანებაა თუ თხოვნა? – ცხადია, თხოვნაა.
- f) ისტორიას ბევრი გამარჯვება და დამარცხება ახსოვს.
- g) თუ ამის საშუალება გაქვთ, აუცილებლად უნდა ასწავლოთ ბავშვებს უცხო ენები საბავშვო ბაღიდან.
- h) შემპირდი, რომ მოხვალ.
- i) ეს მნიშვნელოვანი სტატია იყო. ყოჩაღ!
- j) სამეცნიერო ინსტიტუტები და ასევე ჩვენი ყველა უნივერსიტეტიც ახალ სისტემაზე მუშაობს.

2. Translate:

- a) Turn the light on. Turn the light off.
- b) Promise me that you will paint me.
- c) We study many subjects: geology, geography, literature, foreign languages and history. We don't study math, physics and chemistry.
- d) Georgia is an orthodox country. This is the state religion in this country since the fourth century.

- e) Tell me about your institute, do you have new research?
- f) Send me this article, please. I think this is important for me.
- g) You must win! Don't lose! Is it a request or an order?

3. Conjugate the following verbs in all series:

გორავს / უგორავს ("rolls")

დუღს / უდუღს ("boils")

Homework

Create a few new sentences using the new words and phrases. Conjugate some medio-active verbs that you know.

Lesson 28

Vocabulary

nation	ერი
nationality	ეროვნება
birth; to be born	დაბადება
birthday	დაბადების დღე
wedding	ქორწილი
to bake	გამოცხობა
to marry	დაოჯახება, ოჯახის შექმნა, დაქორწინება
to marry (for men only)	ცოლის მოყვანა
to marry (for women only)	ცოლად გაყოლა, გათხოვება
divorce; to divorce	გაყრა
address	მისამართი
last	ბოლო
but; instead of	სამაგიეროდ
all the same	სულერთია
useless	ზედმეტი
grammar	გრამატიკა
exercise	სავარჯიშო
joy; to enjoy	მხიარულება
joyful	მხიარული
consent; to agree	თანხმობა
to find	პოვნა
to be lost	დაკარგვა
to come back, to return	დაბრუნება
congratulations; to congratulate	მილოცვა
sadness	სევდა, დარდი, მოწყენა
sad	სევდიანი, დარდანი, მოწყენილი
hope	იმედი

Phrases

I miss him/her/it	მენატრება
I'll try	შევეცდები
I believe	მჯერა
unlike me	ჩემგან განსხვავებით
he/she shouldn't do this	ზედმეტი მოუვიდა
don't tell me! (don't do it!)	არ გამაგონოთ!
they will agree	შეთანხმდებიან
enjoy!	იმხიარულე! OR გაერთე!
come back!	დაბრუნდი!
congratulations!	გილოცავთ!
congratulations from me!	მიულოცე ჩემ მაგიერ!
good luck	წარმატებებს გისურვებთ!
don't be sad!	ნუ იქნები მოწყენილი!

Grammar

1. Participles of medial verbs are produced by “მ-”, “მო---ე”, “მ---არე/-ალე” and “მ---არი-/-ალ-: მცურავი (“swimming”), მგმინავი (“moaning”), მღჩქარე (“hurrying”), მღჭიდავე (“wrestling”), მღცეკვავე (“dancing”), მხურვალე (“hot”), მღელვარე (“worrying”), მტირალი (“crying”), etc.

Only one participle of the verb “to go” ვალ (სვლა) has all three tenses:

Present	მომავალი	“one, who is coming”
Future	მოსავალი	“one, who will come”
Past	მოსული	“one, who came”

2. All kinds of participles can receive cases just like nouns.

	Singular	Plural
Nom.	მგორავი	მგორავები
Erg.	მგორავმა	მგორავებმა
Dat.	მგორავს	მგორავებს
Gen.	მგორავის	მგორავების
Instr.	მგორავით	მგორავებით
Adv.	მგორავად	მგორავებად
Voc.	მგორავო	მგორავებო

3. Medio-passives use the forms for passive (opposite to medio-actives). The number of medio-passives is not great in Georgian. დგას (“stands”), ზის (“sits”), წევს (“lies”), ძევს (“lies [on something]”), ძინავს (“sleeps”), უყვარს (“loves”), სძულს (“hates”), შურს (“is jealous”), სწადია (“wants”), სურს (“wishes”), შია (“is hungry”), სწყურია (“is thirsty”), აქვს (“has”), ღირს (“costs”), ჰღვიძავს (“is awakened”), ახსოვს (“remembers”), ჰგავს (“looks like”), ბნელია (“it’s dark”), ცხელია (“it’s hot”), გრილია (“it’s cool”).

There are two groups of medio-passives: the verbs of the A-group have forms only in four rows in the I series, but they have all forms of the II series. The verbs of the other B-group don’t have the forms of the II series, but they have all forms of the I series.

a) წოლა (“to lie”): one-personal – ვწევარ and two-personal – ვუწევარ.

I Series

აწმყო – I lie/am lying / with him/her/it

ვწევარ / ვუწევარ	ვწევართ / ვუწევართ
წევხარ / უწევხარ	წევხართ / უწევხართ
წევს / უწევს	წევანან / უწევანან

უწყვეტელი and *აწმყოს კავშირებითი* do not exist for this verb.

The prefix “ი-” produces the forms of the one-personal verbs, and the prefix “ე-” produces the forms of the two-personal verbs in *მყოფადი* rows.

მყოფადი – I will lie / with him/her/it

ვიწვები / ვეწვები	ვიწვევებით / ვეწვევებით
იწვები / ეწვები	იწვევით / ეწვევით
იწვება / ეწვება	იწვევიან / ეწვევიან

ბოლმეობითი – I would lie / with him/her/it

ვიწვებოდი / ვეწვებოდი	ვიწვევობოდი / ვეწვევობოდი
იწვებოდი / ეწვებოდი	იწვევობოდი / ეწვევობოდი
იწვებოდა / ეწვებოდა	იწვევობდნენ / ეწვევობდნენ

მყოფადის კავშირებითი – (if/I wish) I were to lie / with him/her/it

ვიწვებოდე / ვეწვებოდე	ვიწვევობდეთ / ვეწვევობდეთ
იწვებოდე / ეწვებოდე	იწვევობდეთ / ეწვევობდეთ
იწვებოდეს / ეწვებოდეს	იწვევობდნენ / ეწვევობდნენ

II Series

წყვეტილი/აორისტი – I lay / with him/her/it

ვიწექი / ვეწექი	ვიწექით / ვეწექით
იწექი / ეწექი	იწექით / ეწექით
იწევა / ეწევა	იწვნენ / ეწვნენ

II კავშირებითი – I (must/can/want to) lie / with him/her/it

ვიწვე / ვეწვე	ვიწვეთ / ვეწვეთ
იწვე / ეწვე	იწვეთ / ეწვეთ
იწვეს / ეწვეს	იწვნენ / ეწვნენ

III Series

This verb needs the auxiliary verb “to be” ყოფნა for the one-personal forms:

-ვარ(თ), -ხარ(თ), -ვიყავ(ით), -იყავ(ით), -ვიყო(თ), etc.

I თურმეობითი – (it seems) I have lain / with him/her/it

წოლილვარ / წოლოდი	წოლილვართ / წოლოდით
წოლილხარ / წოლოდი	წოლილხართ / წოლოდით
წოლილა / წოლოდა	წოლილან / წოლოდნენ

II თურმეობითი and *III კავშირებითი* – (if) I had lain / with him/her/it

ვწოლილიყავ(ი) / ვწოლოდე ვწოლილიყავით / ვწოლოდეთ

წოლილიყავ(ი) / წოლოდე წოლილიყავით / წოლოდეთ

წოლილიყო / წოლოდეს წოლილიყვნენ / წოლოდნენ

b) სიყვარული (“to love”):

აწმყო – he/she loves/is loving me

ვუყვარვარ ვუყვარვართ

უყვარხარ უყვარხართ

უყვარს უყვართ

უწყვეტელი – he/she was loving me

ვუყვარდი ვუყვარდით

უყვარდი უყვარდით

უყვარდა უყვარდნენ

აწმყოს კავშირებითი – (if/I wish) he/she were loving me

ვუყვარდე ვუყვარდეთ

უყვარდე უყვარდეთ

უყვარდეს უყვარდნენ

მოგადი – he/she will love me

ვეყვარები ვეყვარებით

ეყვარები ეყვარებით

ეყვარება ეყვარებათ

ბოლმეობითი – he/she would love me

ვეყვარებოდი ვეყვარებოდით

ეყვარებოდი ეყვარებოდით

ეყვარებოდა ეყვარებოდნენ

მოგადის კავშირებითი – (if/I wish) he/she were to love me

ვეყვარებოდე ვეყვარებოდეთ

ეყვარებოდე ეყვარებოდეთ

ეყვარებოდეს ეყვარებოდნენ

II Series

There are no forms of II Series for this verb.

III Series

I თურმეობითი – (it seems) he/she has loved me

ვევარებივარ	ვევარებივართ
(ჰ)ვევარებიხარ	(ჰ)ვევარებიხართ
(ჰ)ვევარებია	(ჰ)ვევარებიათ

II თურმეობითი – (if) he/she had loved me

ვევარებოდი	ვევარებოდით
(ჰ)ვევარებოდი	(ჰ)ვევარებოდით
(ჰ)ვევარებოდა	(ჰ)ვევარებოდნენ

III კავშირებითი – (I wish) he/she could love me

ვევარებოდე	ვევარებოდეთ
(ჰ)ვევარებოდე	(ჰ)ვევარებოდეთ
(ჰ)ვევარებოდეს	(ჰ)ვევარებოდნენ

Texts

ამ გაკვეთილში პატარა ტექსტია. ეს ბოლო გაკვეთილია და სავარჯიშოებიც ცოტაა ამიტომ. სამაგიეროდ, ბევრი გრამატიკაა.

დღეს ჩემი დაბადების დღეა და ჩემი ბიძაშვილები და დეიდაშვილები მოვლენ. დედაჩემმა ნაცხვარი გამოაცხო ბავშვებისათვის. შაბათს კი ქორწილში მივდივართ. ჩემი დეიდაშვილი სხვა ეროვნების კაცს გაჰყვა ცოლად. დეიდაჩემს არ უნდოდა უცხო ერის შვილი სიძედ, მაგრამ რა უნდა ექნა? ჩემს დეიდაშვილს შეუყვარდა. ალბათ, იმ უცხოელსაც ძალიან ეყვარება შენი დეიდაშვილი. იცხოვრებენ ტკბილად და ბედნიერად. მაგრამ ჯერ არ იციან, რომელ ქვეყანაში უნდა იცხოვრონ. იმედია, შეთანხმდებიან. გილოცავთ! შენს დეიდაშვილს მიულოცე ჩემ მაგიერ! წარმატებებს გისურვებთ!

Exercises

1. Translate:

- a) იმხიარულე! ნუ იქნები მოწყენილი! გაერთე! ქორწილია.
- b) ვინ მოიყვანა დავითმა ცოლად? ვის გაჰყვა ცოლად ნანა?
- c) – რა ეროვნების სიდედრი გყავთ? – რუსი გახლავთ, ჩემო ბატონო.
- d) მენატრება თბილისი. შენ არ გენატრები?
- e) აი, ნამდვილად ზედმეტი მოგივიდა! არ უნდა გეთქვა ასე, შეიძლება ეწყინოს. სიმართლე ნუ ეწყინება.
- f) – სადა ხარ, სად დაიკარგე? – შენგან განსხვავებით შევეცდები არ დაგეკარგო. – წარმატებებს გისურვებ!
- g) – რა იპოვე? – რაც დავკარგე, ის ვიპოვე. – ძალიანაც კარგი!
- h) არ მიყვარს ზედმეტი მხიარულება, არც ზედმეტი სევდა ან დარდი.
- i) უ ხარ მოწყენილი, მე მჯერა მისი, სულერთია, ის მაინც დაბრუნდება. იმედია!
- j) დაბრუნდი! არ გამაგონოთ გაყრა! იმედია, ახალგაზრდები შეთანხმდებიან, ნუ ხარ ასე სევდიანი!

2. Translate:

- a) Don't you miss me?
- b) They will agree. Enjoy!
- c) Congratulations. I hope all will be OK.
- d) My cousin married a Georgian man. My uncle is happy.
- e) – Will they agree? – Sure. Good luck to you!
- f) Don't be so sad. Everything will be OK.
- g) I believe this! Good luck to you!

3. Conjugate the medio-passive verbs from both groups A and B in all series.

4. Create a few new sentences using the new words and phrases.

Homework

Repeat all material.

წარმატებებს გისურვებთ!

The Conjugation System

The Georgian verb has three series and 11 so called *mts'krivi* or screeves (rows) of conjugation. There are 11 rows of conjugation in Georgian.

I Series

ats'mq'o – **Present Indicative** – is indefinite or present continuous, narrative (*vkhat'av* – I paint / I am painting). Sometimes these forms without a preverb may be poly-semantic with a meaning of future tense: *vkhat'av* – now and *vkhat'av* – tomorrow.

uts'q'vet'eli – **Imperfect** – is past continuous, narrative (*vkhat'avdi* – I was painting).

ats'mq'os k'avshirebiti – **Present Subjunctive** – is the present subjunctive (*vkhat'avde* – if I paint / if I were painting).

mq'opadi – **Future Indicative** – is the imperfect future indefinite, narrative (*davkhat'av* – I will paint).

kholmeobiti – **Conditional** – is the future in the past conditional (*davkhat'avdi* – I would paint).

mq'opadis k'avshirebiti – **Future Subjunctive** – is the future subjunctive, conditional (*davkha'tavde* – if I were to paint).

II Series

ts'q'vet'ili / aoristi – **Aorist Indicative** – is the general past, narrative: (*da*)*vkhat'e* – I have painted / I painted. It could be in the present/past perfect with preverbs.

II k'avshirebiti – **Optative** – is the future subjunctive: (*da*)*vkhat'o* – I should paint. It could also be in the present/past perfect with preverbs.

III Series

I turmeobiti – **Perfect** – is the past narrative (the subject can hardly believe in his act: *turme* – it seems): (*da*)*mikhat'avs* – it seems I painted / I have/had painted. It could be in the present/past perfect with preverbs.

II turmeobiti – **Pluperfect** – and III k'avshirebiti – **Perfect Subjunctive** – are very close rows; they are future in the past subjunctive conditional: (*da*)*mekhat'a* – (*da*)*mekhat'os* – if I had painted it.

The subjunctive mood is exposed by the following rows: *ats'mq'os k'avshirebiti*, *kholveobiti*, *mq'opadis k'avshirebiti*, *II k'avshirebiti* and *III k'avshirebiti*.

The imperatives in modern Georgian don't have special rows. They use the following rows:

- a) *ts'q'vet'ili – dakhat'e!*
- b) *II k'avshirebiti* – for the I and the III persons – *(ar) davkhat'ot!* *(ar) dakhat'on!* For negative imperatives of the II person – *ar (da)khat'ot!*
- c) *mq'opadi* is seldom used, only for very categorical orders – *(ar) davkhat'av!*

Negative forms are produced by adding “*ar*” or “*ver*”. “*ar*” is more categorical.

Compare:

- | | | |
|-----------------------|---|------------------|
| <i>ar davkhat'av</i> | – | I will not paint |
| <i>ver davkhat'av</i> | – | I can't paint |

Indefinite

1. Present – *ats'mq'o*
2. Past – *ts'q'vet'ili (aoristi)*
3. Future – *mq'opadi*
4. Future in the past – *kholveobiti*

Continuous

1. Present – *ats'mq'o*
2. Past – *uts'q'vet'eli*
3. Future – *ats'mq'o*
4. Future in the past – *II turmeobiti / III k'avshirebiti*

Perfect

1. Present – *ts'q'vet'ili (aoristi)* or *I turmeobiti*
2. Past – *ts'q'vet'ili (aoristi)* or *I turmeobiti*
3. Future – *mq'opadi*
4. Future in the past – *II turmeobiti / III k'avshirebiti*

Perfect-continuous

1. Present – *uts'q'vet'eli*
2. Past – *uts'q'vet'eli*
3. Future – *mq'opadi*
4. Future in the past – *II turmeobiti / III k'avshirebiti*

Common Phrases

hello	<i>gamarjoba</i>	გამარჯობა
how are you?	<i>rogor khar?</i>	როგორ ხარ?
I am fine, thanks	<i>me k'argad, gmadlobt</i>	მე კარგად, გმადლობთ
I am well, and you?	<i>k'argad, shen?</i>	კარგად, შენ?
goodbye	<i>nakhvamdis</i>	ნახვამდის
good morning	<i>dila mshvidobisa</i>	დილა მშვიდობისა
good evening	<i>saghamo mshvidobisa</i>	სალამო მშვიდობისა
goodnight	<i>dzili nebisa</i>	ძილი ნებისა
sorry (I am sorry)	<i>bodishi</i>	ბოდიში
excuse me	<i>uk'atsravad</i>	უკაცრავად
thank you	<i>gmadlobt</i>	გმადლობთ
many thanks	<i>didi madloba</i>	დიდი მადლობა
thank you very much	<i>didi madloba</i>	დიდი მადლობა
please	<i>tu sheidzleba</i>	თუ შეიძლება
yes	<i>diakh (formal), k'i (neutral), kho (informal - like "yeah")</i>	დიახ (formal), კი (neutral), ხო (informal – like "yeah")
no	<i>ara</i>	არა
and	<i>da</i>	და
big	<i>didi</i>	დიდი
small	<i>p'at'ara</i>	პატარა
good	<i>k'argi</i>	კარგი
very	<i>dzalian</i>	ძალიან
that's good	<i>k'argia</i>	კარგია
that's bad	<i>tsudia</i>	ცუდია
too much	<i>dzalian bevri</i>	ძალიან ბევრი
quickly	<i>chkara</i>	ჩქარა

few, a little	<i>tsot'a</i>	ცოტა
don't	<i>nu</i>	ნუ

what?	<i>ra?</i>	რა?
where is ... ?	<i>sad aris ... ?</i>	სად არის ... ?
do you want ...?	<i>... ginda?</i>	... გინდა?
how many?	<i>ramdeni?</i>	რამდენი?
how?	<i>rogor?</i>	როგორ?

I know	<i>me vitsi</i>	მე ვიცი
I like	<i>me momts'ons</i>	მე მომწონს
this is beautiful	<i>es lamazia</i>	ეს ლამაზია
love	<i>siq'varuli</i>	სიყვარული
I love you	<i>me shen miq'varkhar</i>	მე შენ მიყვარხარ

I want	<i>me minda</i>	მე მინდა
I don't want	<i>me ar minda</i>	მე არ მინდა
I want ...	<i>... minda</i>	... მინდა
we want ...	<i>... gvinda</i>	... გვინდა
he/she wants ...	<i>... unda</i>	... უნდა

you know	<i>shen itsi</i>	შენ იცი
you like	<i>shen mogts'ons</i>	შენ მოგწონს
you want	<i>shen ginda</i>	შენ გინდა
you are going	<i>shen midikhar</i>	შენ მიდიხარ

Date / Time

yesterday	<i>gushin</i>	გუშინ
today	<i>dghes</i>	დღეს
tomorrow	<i>khval</i>	ხვალ

day after tomorrow	<i>zeg</i>	ზეგ
minute	<i>ts'uti</i>	წუთი

Traveling / Home

Georgia	<i>sakartvelo</i>	საქართველო
I like Georgia	<i>me momts'ons sakartvelo</i>	მე მომწონს საქართველო
where are you from?	<i>saidan khart?</i>	საიდან ხართ?
I am from London	<i>me londonidan var</i>	მე ლონდონიდან ვარ
I am English	<i>me ingliseli var</i>	მე ინგლისელი ვარ
nice to meet you	<i>sasiamovnoa tkveni gatsnoba</i>	სასიამოვნოა თქვენი გაცნობა
do you speak (know) English?	<i>inglisuri itsi?</i>	ინგლისური იცი?
I don't speak (know) Georgian	<i>me kartuli ar vitsi</i>	მე ქართული არ ვიცი
I don't understand	<i>ver gavige</i>	ვერ გავიგე
how was your trip?	<i>rogor imgzavret?</i>	როგორ იმგზავრეთ?
I want to go to Tbilisi	<i>me minda ts'avide tbilisshi</i>	მე მინდა წავიდე თბილისში
let's go	<i>ts'avidet</i>	წავიდეთ
I am going	<i>me mivdivar</i>	მე მივდივარ
see you later	<i>momaval shekhvedramde</i>	მომავალ შეხვედრამდე
guest	<i>st'umari</i>	სტუმარი
hotel	<i>sast'umro</i>	სასტუმრო
house	<i>sakhli</i>	სახლი
to the house/home	<i>sakhlshi</i>	სახლში
street	<i>kucha</i>	ქუჩა
avenue	<i>gamziri</i>	გამზირი

Food / Table / Shopping

feast	<i>supra</i>	სუფრა
toast master at a table	<i>tamada</i>	თამადა
bread	<i>p'uri</i>	პური

a national dish – bread with cheese filling	<i>khach'ap'uri</i>	ხაჭაპური
tea	<i>chai</i>	ჩაი
water	<i>ts'q'ali</i>	წყალი
wine	<i>ghvino</i>	ღვინო
vodka	<i>araq'i</i>	არაყი
bear	<i>ludi</i>	ლუდი
money	<i>puli</i>	ფული
lari (Georgian currency)	<i>lari</i>	ლარი
how much is ...?	<i>ra ghirs ...?</i>	რა ღირს ...?

Common Phrases Used in Newspapers

against him/her/it	მის წინააღმდეგ
although	იმდენადვე
considering; taking into account	იმის გათვალისწინებით
at the same time	ამავე დროს
the chance/prospect/likelihood of it	იმის შანსი
for all of these factors/reasons	ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით
the main stumbling block	მთავარი პრობლემა
it cost an arm and a leg	ღირებულება ძალიან ძვირი იყო
to get it right	ვითარების სწორად აღქმა
nevertheless	თუმცა; ამის მიუხედავად
it's very slim	ეს ძალიან მცირეა
which has slowed to a crawl	რაც შეფერხებულია
let them do it their way	აცალეთ მათ გააკეთონ ის რაც სურთ
this way; thus	ამ გზით
this will not fly	ეს არ იმუშავებს; ეს არ გამოვა
in each of these cases	ყველა მსგავსი შემთხვევის დროს
a penny's worth	გამკლავების უუნარობა
insofar as it ever was	თუკი მსგავსი რამ ოდესმე იყო
the problem boils down to	პრობლემა არის
things are never so bad that they can't get worse	ცუდზე უარესი ყოველთვის შეიძლება მოხდეს

going back to the issue	საკითხს დავუბრუნდეთ
knowing the ropes	წვრილმანების გაგება; ცოდნა
something to worry about	შესა შფოთებელი; რის გამოც შეშფოთება ღირს
they point/pointed out	მივლენ/მივიდნენ იმ დასკვნამდე
waking up on the wrong side of the bed	ცუდ/შავ დღეში ყოფნა
the real question rising	რეალური კითხვა ისმის
so-called	ეგრეთწოდებული (ე.წ.)
but all in all; but in general	მაგრამ ისე ზოგადად
the only surefire way	ერთადერთი საიმედო გზა
in either/both case	ორივე შემთხვევაში
by no means	არავითარ შემთხვევაში
by all means	ყოველ შემთხვევაში
not playing with a full deck	უგუნური/არაკომპეტენტური ვინმე
it may prove still trickier	შეიძლება კიდევ უფრო რთული აღმოჩნდეს
relations are at a standstill	ურთიერთობები გაყინულია
would jeopardize relations	საფრთხეს შეუქმნის ურთიერთობებს
staying on air (broadcast)	ეთერში დარჩენა
there are other options as well	მაგრამ აგრეთვე უნდა სხვა მოსაზრებებიც არსებობდეს
this has been the usual chain of events	ასეთია მოვლენების ჩვეულებრივი განვითარება
is rife with corruption	კორუფციის ჭაობშია ჩაფლული
they need to do something	მათ რამე უნდა იღონონ
it's truly an explosive issue	ეს მართლაც ფეთქებადსაშიში პრობლემაა
he/she stressed that despite his misgivings	ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი წუხილის მიუხედავად
ull-scale/all out assault/attack/offense	სრულმასშტაბიანი შეტევა
a picture is worth a thousand words	ეს სურათი/ნახატი უფრო აღწერითია ვიდრე სიტყვები
is on the fence	გადაუწყვეტელია
over the top	ძალიან; მეტისმეტად
the ball is in his court	ეს ახლა მისი გადასაწყვეტია
let's see how long this will last	ვნახოთ ეს რამდენ ხანს გაგრძელდება
de facto	დე-ფაქტო

it was slow to catch on	ორიენტაციისთვის დრო დასჭირდა
by the end of the year	წლის ბოლომდე
now wait a minute	ერთი წუთით
why deny yourself the right	რატომ აძლევთ თავს უფლებას
clearing up/looking into a matter	საკითხის გარკვევა
for many	ძალიან ბევრისთვის
recently	ამას წინათ; ამ ბოლო დროს
he/she was kicked out of the country	ის ქვეყნიდან გააძევეს
they live below the poverty line	სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ
sensitive areas include	მგრძობიარე თემებია
in particular	კერძოდ კი
it's not a key concern	არავის განსაკუთრებულად არ აღელვებს
the long-term picture	გრძელვადიანი სურათი
it's far more interesting	გაცილებით საინტერესოა
in the short term	უახლოეს მომავალში
once it finishes work	როგორც კი მუშაობას დაასრულებს
trial due to begin	სასამართლო უნდა დაიწყოს
highlights the dangers we face	ხაზს უსვამს იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით
court documents read	სასამართლოს დოკუმენტებში ნათქვამია
designed for static targets	შექმნილია სტატიკური სამიზნეებისათვის
they began a hunger-strike	შიმშილობა დაიწყეს
in total; overall; wholly	მთლიანობაში
rethinking one' own past	საკუთარი წარსულის გადააზრება
government agencies	სამთავრობო სააგენტოები
they are still being counted	მათ დღემდე ითვლიან
they are starting everything from scratch	ყველაფერს თავიდან იწყებენ
that impression is compounded by changes	ამ შთაბეჭდილებას ის ცვლილებები ქმნის
is becoming more vocal	სულ უფრო ხმამაღლა ისმის
he/she/it gave it a wide berth	მან მას თავი აარიდა
do something more than talking	იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე მხოლოდ ლაპარაკია

Verbal Phrases

To Want to Read (It)

Present

I want to read (it)	მინდა (რომ) წავიკითხო (ის)
